პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

7 ივნისი **ორშაბათი** 2010
№ 131 (13 119) ფასი 60 თეთრი



მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა

**4** დღე

# ირაკლი ცირეკიძის მადრიდული ოქრო




**ჩ**ვენმა ძიუდოისტებმა ერთი ოქროთი და ორი ბრინჯაოთი დაამთავრეს გამოსვლა მადრიდის მსოფლიოს თასზე. ჩემპიონი **ირაკლი ცირეკიძე** (100) გახდა, მესამე ადგილებზე კი **ამირან პაპინაშვილი** (60) და **ნუგზარ ტატალაშვილი** (73) გავიდნენ.

ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი ცირეკიძე პარიზული „დიდი მუზარადის" შემდეგ დაუბრუნდა ტატამს და მადრიდში კარგადაც იჭიდავა - 5 შეხვედრიდან 3 იპონით მოიგო, 2 - ვაზარით. ეტყობა, ის სრული დატვირთვით ემზადება მსოფლიოს ჩემპიონატისთვის და კარგ ფორმაშიცაა.

პირველ ბრძოლაში ცირეკიძე საკმაოდ ძლიერ ფრანგ **კრისტოფ ჰუმბერტს** ხვდებოდა, რომელიც ჯერ გააფრთხილებინა, 2 წუთის მერე კი ვაზარზე დააგდო და უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა. ბრიტანელი **ჯეიმს ოსტინი** აშკარად არ არის მისი სადარი და აკი იოლადაც აპამპულავა ვაზარ-იპონით. ირაკლისთან ახლოს ვერც სლოვენიელი **პრიმოჟ ფერიანი** მივიდა და შედეგიც შესაფერისი იყო - გაფრთხილება პირველივე წუთზე და იპონი 1,23-ზე.

ნახევარფინალში ცირეკიძის მეტოქე უტიტული, თუმცა საკმაოდ ძლიერი ბრაზილიელი **ლეონარდო ლეიტე** გახლდათ. პაექრობის შუაწელში ცირეკიძემ ორი გაფრთხილებით იუკო მოინადირა, ვაზარისთვის კი სამ წუთზე ცოტა მეტი დასჭირდა. ფინალში დიდად ვერც ლატვიელი **ეუგენიუს ბოროდავკო** გაუძალიანდა - მეორე წუთისთვის ცირეკიძე კვლავ ორი გაფრთხილებით იგებდა იუკოს, მეოთხე წუთისთვის კი მორიგი წმინდა გდება შეასრულა.

ტურნირზე წონის ლიდერები არ გამოდიოდნენ და ილუზია იქნება იმაზე ფიქრი, რომ ცირეკიძე მათთანაც ასე იოლად მოიგებს, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად მისასალმებელია - ყველა ორთაბრძოლაში გააკეთა გდება და თანაც, ესოდენ მაღალი დონისა!

გაგვაოცა ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელმა მესამე პრიზიორმა ტატალაშვილმა, რომელიც უფროსებში პირველ სეზონს ატარებს. ქვეჯგუფში მან ოთხივე შეხვედრა (ფრანგ **ლორან მესეჟოსთან**, განელ **ემანუელ ნარტეისთან**, ბერძენთა ქართველყოფილ **არის კოტანიდისთან**, ესპანელ **მიგელ რომეროსთან**) წმინდად მოიგო და დამაჯერებლად გავიდა ნახევარფინალში. იქ კი გამოცდილ ჩეხ **იარომირ იეჟეკთან** დამარცხდა, ხოლო ბრინჯაოსთვის ბრძოლაში ბრაზილიელი **ბრუნო მენდოსა** დააიპონა.

პაპინაშვილი მეოთხედფინალში დამარცხდა ფრანგ **ისამ ნოურისთან**, მანამდე კი იპონით იტალიელ **მატია გალბიატის** სძლია, ბრაზილიელ **ბრუნო ალვეშს** ვაზარით გასცდა, დამამშვიდებელში კი წმინდად დაამარცხა მონაკოელი **იან სიკარდი** და ჩინელი **ა ლამუსი**.

ბრინჯაოსთვის იჭიდავეს **მინდია ბოდაველმა** (90) და მძიმეწონოსანმა **ადამ ოქრუაშვილმაც**, მაგრამ ორივემ წააგო. სამწუხაროდ, ჩვენი გუნდის სხვა წევრები წარუმატებლად გამოვიდნენ, მათ შორის, ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაურიც** (100) - ის პირველივე წრეში სლოვაკ **ზოლტან პალკოვაცთან** დამარცხდა.

**ირაკლი თავაძე**



# ბენიტესი დღეს ან ხვალ...

## ...მაგრამ რაფა 10 მილიონს ითხოვს, მორატი კი მხოლოდ ექვსს იძლევა

„ინტერის" პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** პირველად გუშინ დაადასტურა, რომ **ჟოზე მოურინიოს** შემცვლელად მხოლოდ **რაფა ბენიტესი** ესახება. ნავთობის მაგნატმა ესპანელი ცამდე აიყვანა, თუმცა ვერ გეტყვით, ეს იქამდე იყო, ვიდრე ბენიტესი ხელფასის სახით 10 მილიონ ევროს მოითხოვდა, თუ ამის შემდეგ...

მოკლედ, რაფა მადას ნამდვილად არ უჩივის, თან 3-წლიანი კონტრაქტი უნდა. მორატის წინადადებაა 6 მილიონი 4 წელიწადზე. საინტერესოა, როგორ მორიგდებიან მხარეები. მიმომხილველთა მტკიცებით, „ინტერის" საბოლოო წინადადება 7.5-8 მილიონი ევრო იქნება და თუ ბენიტესი ამაზე დათანხმდა, კონტრაქტი დღეს საღამოს ან ხვალ შუა დღისთვის გაფორმდება.

სხვათა შორის, „ლივერპულის" ყოფილი თავკაცი უკვე იტალიაშია. ოჯახთან ერთად ის სარდინიაზე ისვენებს...

# ჩვიდმეტი გაელვება




გვერდი 11



# რატომ იჩხუბა მერაბიშვილმა ვოივოდინას კაპიტანთან?

ინტერვიუ >> გვერდი 4



ფრანჩესკა სკიავონე

# პირველი იტალიელი და რაფა

>> გვერდი 16



# რობენიც?!

## შეშფოთებული ჰოლანდია დიაგნოზის მოლოდინში

მუნდიალის წინ >> გვერდი 6-9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტორპედო

# გიგიაძე და აშვეთია ტორპედოში?

## მუმლაძეს ბზიკაძე და ღურწკაია დაეხმარება

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული ქუთაისის „ტორპედო 2008“ დიდ სატრანსფერო განამანიაშია. უკვე ვწერდით, რომ გუნდს „ვიტ ჯორჯიას“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი **გიორგი დათუნაიშვილი** დაემატა. ამას გარდა, წარმატებით დასრულდა თბილისის „დინამოდან“ მარცხენა მცველ **თენგიზ ჩიკვილაძის,** ხოლო ცხინვალის „სპარტაკიდან“ მარჯვენა მცველ **დაჩი ფოფხაძის** ტრანსფერებზე მუშაობაც. ისინი უკვე „ტორპედო 2008-ის“ ფეხბურთელები არიან. გრძელდება მოლაპარაკებები თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაიასა** და „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელ **ვახტანგ კვარაცხელიას** დამატებაზე. თუმცა ორივე მათგანს თავის კლუბთან კონტრაქტი აკავშირებს და შესაბამისად, მოლაპარაკებები გრძელდება. მიდის მუშაობა რუსთავის „ოლიმპის“ ტანმაღალ მცველ **ნოდარ მაჭავარიანის** ტრანსფერთან დაკავშირებითაც...

ქუთათურთა სატრანსფერო გეგმებშია ვეტერანი მცველი **სევასტი თოდუაც** (6 მატჩი ეროვნულ ნაკრებში). შეგახსენებთ, რომ 34 წლის ფეხბურთელმა ახლახან დასრულებული სეზონი ზუგდიდის „ბაიაში“ ჩაამთავრა, მანამდე ის „ზესტაფონში“ გამოდიოდა, 2001/02 და 2003/04 წლებში კი, სხვათა შორის, ქუთაისის „ტორპედოს“ ღირსებას იცავდა.

ქუთაისელებს სჭირდებათ გაძლიერება. „ტორპედოს“ მწვრთნელმა **რამაზ მუმლაძემ** რამდენიმე დღის წინ აღნიშნა, უცხოეთში მოასპარეზე ერთ-ერთი ქართველი ფეხბურთელის ჩამოყვანაც არ არის გამორიცხულიო. მას ამ ლეგიონერის ვინაობა არ დაუსახელებია, მხოლოდ ეს დაამატა, ყველაფერი 10-11 ივნისს გაცხადდებაო.

გასაგებია, რომ „ტორპედოს“ მესვეურები ტრანსფერებზე კონკრეტულ ლაპარაკს ხშირ შემთხვევაში ერიდებიან და ისღა დაგვრჩენია, ინფორმაციები სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით მოვიძიოთ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი წყაროსგან გავიგეთ, რომ ლაპარაკია სიმფეროპოლის „ტავრიადან“ **ვასილ გიგიაძის** დამატებაზე. transfermarkt.de-ს მონაცემებით, მისი სატრანსფერო ფასი თითქმის ნახევარი



ვასილ გიგიაძე

მილიონი, უფრო ზუსტად კი 450 ათასი ევროა. სხვათა შორის, გიგიაძე, რომელიც 3 ივნისს 33 წლის გახდა, ქუთაისშია დაბადებულ-გაზრდილი და 1996/97 წლებში სწორედ „ტორპედოში“ გამოდიოდა. გიგიაძის სატრანსფერო ფასი ქართული კლუბისთვის მართლაც სოლიდურია, თუმცა 30 ივნისს მას „ტავრიასთან“ კონტრაქტი ეწურება და სხვა გუნდში გადასვლა თავისუფალი აგენტის სტატუსით შეუძლია. თოდუას დარად, ეროვნულ ნაკრებში გიგიაძესაც 6 თამაში აქვს ჩატარებული.

გავრცელებული ხმებით, არ არის გამორიცხული, ქუთაისის „ტორპედოში“ ფორვარდი **მიხეილ აშვეთიაც** ვიხილოთ. აშვეთია რამდენიმე თვის უთამაშებელია და ვნახოთ, დაიწყებს თუ არა გუნდთან ერთად მზადებას.



მიხეილ აშვეთია

რიონისპირელებს დაუკავშირეს კიდევ ერთი თავდამსხმელის, **ირაკლი მოდებაძის** (ერთი მატჩი ეროვნულ ნაკრებში) შესაძლო ტრანსფერიც. მოდებაძემ გასული სეზონი ზაპოროჟიეს „მეტალურგში“ ჩაამთავრა. transfermarkt.de მას 250 ათას ევროდ აფასებს. მალე ისიც თავისუფალი აგენტი გახდება და ვნახოთ, ჭორია თუ მართალი „ტორპედოსთან“ მისი დაკავშირება.

დაბოლოს, შეგახსენებთ, რომ რამაზ მუმლაძის ასისტენტი **იასონ ბზიკაძე** იქნება. მეკარეთა მწვრთნელად „ვიტ ჯორჯიაში“ ნამუშევარი **არჩილ ღურწკაია** გაამწესეს, დუბლებს კი გაწვრთნის **გია გიგატაძე,** რომელსაც **გიორგი სუხიაშვილი** დაეხმარება.

**დავით ცაბაძე**

ოლიმპი

# ნატვრობი ბრაზილიელის მოლოდინში

## სად ითამაშებენ მაჭავარიანი და გიგაური?

სათაურმა შეცდომაში არ შეგიყვანოთ - ლაპარაკი არ არის „ატლეტიკო პარანენსედან“ გასულ სეზონში იჯარით აყვანილ ფეხბურთელებზე. **ანდერსონ აკინოსა** და **ალექს ფრაგას** საქართველოში დაბრუნების შანსს მიზერულიც არ ეთქმის. ამით თავად „ოლიმპიც“ აღარ არის დაინტერესებული...

სამაგიეროდ, რუსთაველები ბრაზილიელ თავდამსხმელ **ჟოზე ოლივეირა** და **სილვას** ელიან. ეს ფეხბურთელი „ოლიმპისთვის“ უცნობი არ გახლავთ. რუსთავში ის ორი წლის წინაც, ზაფხულის სატრანსფერო პერიოდში გასინჯეს:

*„ოლივეირა და სილვამ მაშინ ჩვენზე ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მახსოვს, „სიმურგს“ შევხვდით და აზერბაიჯანელებსაც ისე მოეწონათ, მასში 200 ათას დოლარს იხდიდნენ. ეგ იყო, მაშინ ფეხბურთელს არ გაუმართლა - თამაშის დროს მენისკი დაიზიანა და კარგა ხნით დაისვენა. ახლა ისევ ათამაშებულა და მისი ჩამოყვანა კვლავ შემოგვთავაზეს. ბრაზილიელთან ერთად სერბი მცველის გასინჯვასაც ვაპირებთ. მათ ბილეთის ფული უკვე გავუგზავნეთ. უახლოეს დღეებში ახალი სეზონისთვის მზადებას დავიწყებთ და ისინიც ამ დროისთვის შემოგვიერთდებიან“*, - გვითხრა „ოლიმპის“ ვიცე-პრეზიდენტმა **ზურაბ ჯაფარიძემ.**

ჯაფარიძემ არ დაადასტურა გავრცელებული ინფორმაცია, „ოლიმპში“ თბილისის „დინამოს“ ყოფილი კაპიტნის **დავით დიღმელაშვილის** გადასვლის თაობაზე. სამაგიეროდ, ვიცე-პრეზიდენტმა არ დამალა, რომ ცენტრალურ მცველ **ნოდარ მაჭავარიანს** სხვაგან გადასვლას სთავაზობენ: *„მაჭავარიანის დატოვება კი გვსურს, მაგრამ მას ქუთაისის „ტორპედოში“ იწვევენ. ახლა ფეხბურთელის გადასაწყვეტია, ჩვენთან დარჩება თუ კარიერას ქუთაისში გააგრძელებს“.*

ჩვენი ინფორმაციით, მაჭავარიანს არა მხოლოდ „ტორპედო“, არამედ „ზესტაფონიც“ იწვევს, ისევე როგორც რუსთაველთა კიდევ ერთ ცენტრალურ მცველ **დავით გიგაურს.** მოლაპარაკებები ჯერ კიდევ მიმდინარეობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ინტერვიუ

# რამაზ მუმლაძე

# უამბიციო ტორპედო ბუნებაში არ არსებობს



**ზაფხულის** სატრანსფერო პერიოდში ყველაზე პოპულარულ თემად ქუთაისის „ტორპედოს“ გეგმები იქცა. უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული კლუბი „ვიტ ჯორჯიადან“ გიორგი დათუნაიშვილის, ხოლო თბილისის „დინამოდან“ თენგიზ ჩიკვილაძის გადაბირებას აპირებდა. რუსთავის „ოლიმპის“ მაგალითი ამტკიცებს, რომ კლუბს გულშემატკივარი ბოლომდე ვერ გაითავისებს, თუ ის ქალაქთან და ადგილობრივ ფეხბურთელებთან არაა გაიგივებული და... „თბილისელობის“ ელფერი დაჰკრავს. ეს ფაქტორი კიდევ უფრო მძაფრად მოქმედებს ქუთაისში, რომელიც წლების განმავლობაში თავად იყო ფეხბურთელების „ექსპორტიორი“.

- ეტყობა, ამის გათვალისწინებით გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ტორპედო“ თავის ყოფილ მოთამაშეებს იბრუნებდა, მაგალითად, სევასტი თოდუას, რომელთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. ამას გარდა, ამტკიცებდნენ, თითქოს ახალი სეზონიდან ქუთაისს თავდამსხმელი გია მეგრელაძე და ძმები - ლაშა და გიორგი ჭელიძეები დაუბრუნდებიან. მეგრელაძე ბოლოს უზბეკეთში თამაშობდა, ლაშა ჭელიძე - ბოლნისის „სიონში“, მისი ძმა კი - ისრაელის პირველი ლიგის კლუბში. სამივე ქუთაისელია და ცხადია, მშობლიურ ქალაქში სიამოვნებით დაბრუნდებიან.

ამ ჭორ-მართალში გასარკვევად „ტორპედოს“ მთავარ მწვრთნელ რამაზ მუმლაძეს დავუკავშირდით...

**- ბატონო რამაზ, ყველამ გაიგო, რომ „ტორპედო“ ფულს იხდის და ამ გუნდისკენ მიუწევთ გული. თავად თქვენ ვისი აყვანა გსურთ და ვის გთავაზობენ?**

- გეთანხმებით, მართლაც დიდია სხვაობა სასურველ და შემოთავაზებულ ფეხბურთელებს შორის...

**- რამდენად მართალია, თითქოს „ოლიმპიდან“ ნოდარ მაჭავარიანს იმატებთ?**

- ეს საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის და კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. ინტერესი კიდევ ბევრი ფეხბურთელის მიმართ გვაქვს.

**- როგორც შევიტყვეთ, თბილისის „ლოკომოტივის“ მეკარე მაქსიმე ქვილითაიას დამატება ფაქტობრივად გადაწყვეტილია...**

- ქვილითაიას შემთხვევაშიც ანალოგიური ვითარებაა. არ დავმალავ, მოლაპარაკება მიმდინარეობს, რადგან მისი გუნდი უმაღლესი ლიგიდან გავარდა. თუმცა ეს საკითხი კლუბებს შორის მოლაპარაკებით უნდა გადაწყდეს.

**- ჩიკვილაძის საკითხი თუ გადაწყდა?**

- გეტყვით მათ გვარებს, ვინც უკვე დავიმატეთ - თენგიზ ჩიკვილაძე, დაჩი ფოფხაძე და გიორგი დათუნაიშვილი. სამივემ კონტრაქტი გააფორმა და უკვე „ტორპედოს“ წევრია.

**- რამდენიმე ყოფილი ტორპედოელის დაბრუნებაზეც გავრცელდა ინფორმაცია და გვსურს, გადავამოწმოთ. მაგალითად, სევასტი თოდუას თუ იმატებთ?**

- ეს საკითხი განხილვის პროცესშია, თუმცა ჯერ ვერ ვიტყვი, რომ ტრანსფერი რეალურია.

**- შემდეგი კითხვა გია მეგრელაძეს ეხება...**

- არ მაქვს არანაირი ინფორმაცია და მისი დამატებაც არავის შემოუთავაზებია. ისე, ძალიანაც საინტერესო კანდიდატურაა, მაგრამ არ ვიცი, ამჟამად რა კონდიციაშია.

**- არც ლაშა და გიორგი ჭელიძეების აყვანაზე ფიქრობდით?**

- მათზეც იმავეს გეტყვით, რაც მეგრელაძეზე გითხარით.

**- ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ „ტორპედო“ უმაღლეს ლიგაში სერიოზული ამბიციით ბრუნდება...**

- სხვანაირი „ტორპედო“ ბუნებაში არც არსებობს და ცხადია, ამბიციური უნდა იყოს. სელექცია ჯერ ახლა დაიწყო და კიდევ რამდენიმე სერიოზული ფეხბურთელის დამატებას ვაპირებთ. ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**- მზადებას როდიდან დაიწყებთ?**

- 9 ივნისს თბილისში სამედიცინო შემოწმებას გავივლით, 11 ივნისიდან კი პირველ მოსამზადებელ ეტაპს ქუთაისში, „ტორპედოს“ ბაზაზე შევუდგებით. ახლა წყდება, მზადების მეორე ეტაპზე სად შევიკრიბებით. არ არის გამორიცხული, უცხოეთში გავემგზავროთ.

**მერაბ მამულაშვილი**

ლოკომოტივი

# სანაიას შემცვლელი მოუძებნეს

**თბილისის** „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა **გელა სანაიამ** „სამტრედიას“ წინადადება რომ მიიღო და კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა, მკითხველი უკვე ინფორმირებულია.

ბუნებრივია, უმწვრთნელოდ ვერც თბილისური კლუბი დარჩებოდა. სანაიას შემცვლელად დაინიშნა **ლაშა ჭალიაშვილი,** რომელიც მანამდე მთავარი მწვრთნელის ასისტენტად გახლდათ. ჭალიაშვილს მეკარეების მწვრთნელი **თამაზ ოდიკაძე** დაეხმარება.

ამ ახალგაზრდებმა საკმაოდ კარგად იმუშავეს, რისი დასტურიც „ლოკომოტივის“ ფეხბურთელების პროგრესია. პირველ ლიგაში კლუბი საკუთარ კადრებზე დაყრდნობას აპირებს. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი **ლევსო თოფურია** მათ ყოველნაირ ხელშეწყობას ჰპირდება.

**მერაბ მამულაშვილი**



ლოკომოტივის ყოფილი მწვრთნელი გელა სანაია

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

სატრანსფერო ამბები



ჯაბა დვალმა (მარცხნივ) ზესტაფონთან კონტრაქტი გაახანგრძლივა

# დვალი კიდევ სამი წლით

სეზონის დასრულებისთანავე, „ზესტაფონის" ორმა ფეხბურთელმა (**ლევან კორღალიძე, დავით გამეზარდაშვილი**) მოლდოვას რომ მიაშურა, ეს უკვე გაცნობეთ, დღეს კი სიახლეზე მოგიყვებით. როგორც გავიგეთ, კიშინიოველებს „ზესტაფონიდან" კიდევ ერთი ფეხბურთელის დამატება უნდოდათ - ლაპარაკი იყო ფორვარდ **ჯაბა დვალის** „დაჩიაში" დაბრუნებაზე და ამას კლუბის ოფიციალური პირებიც ადასტურებდნენ. თუმცა იმერლებმა ფორვარდი არ დათმეს. დვალი ზესტაფონელთა წამყვანი ფიგურაა. გასულ სეზონში მან 33 მატჩი ჩაატარა და გუნდს 12 გოლით შეეწია. როგორც შევიტყვეთ, ჯაბამ „ზესტაფონთან" 3-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და მისი ტრანსფერის საკითხიც დღის წესრიგიდან მოიხსნა. ეს ინფორმაცია იმერული კლუბის პრესატაშე **სერგო ფუტკარაძემ** დაგვიდასტურა.

შეგახსენებთ, რომ ახლახან „ზესტაფონმა" ორ-ორ წლიანი კონტრაქტები გააფორმა შემტევ ნახევარმცველებთან - **შოთა ბაბუნაშვილსა** და **გოგი ფიფიასთან**. გავრცელდა ხმები, თითქოს ფეროელები უმაღლესი ლიგიდან გავარდნილი „გაგრასგან" ორ მცველს დაიმატებენ - **დავით გიგაურსა** და **ზვიად ჩხეტიანს**. თავად ამ ფეხბურთელებთან დაკავშირება ვერ შევძელით. თუმცა ზესტაფონელთა პრესატაშე ფუტკარაძემ გიგაურისა და ჩხეტიანის შესაძლო ტრანსფერები არ დაგვიდასტურა.

ბოლოს კი დავძენთ, რომ **გია გეგუჩაძის** გუნდი 9 ივნისს სამედიცინო შემოწმებას თბილისში გაივლის, მეორე დღეს კი ორკვირიანი მოსამზადებელი შეკრების ჩასატარებლად ავსტრიაში გაემგზავრება და იქვე ოთხ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავს.

**დავით ცაბაძე**

ამბები

## თარხნიშვილი უეფამაც აღიარა

უეფას ოფიციალურ ვებგვერდზე მოლდოვის ჩემპიონატს წერილი მიეძღვნა და მისი ავტორი ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად ტირასპოლის „შერიფის" ქართველ კაპიტან **ვაჟა თარხნიშვილს** ასახელებს.

*„ჩემპიონატის 33 მატჩში მოლდოვის ჩემპიონებმა მხოლოდ და მხოლოდ 8 გოლი გაუშვეს, რაც დაცვის დამაჯერებელი თამაშის დამსახურებაა. დაცვის ლიდერი კი ვაჟა თარხნიშვილია. მოლდოვური პასპორტის მქონე ქართველმა ფეხბურთელმა მორიგი შედეგიანი სეზონი ჩაატარა. იმის მიუხედავად, რომ უკვე 38 წლისაა, შავ-ყვითლების კაპიტანი სულაც არ ჩქარობს ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას. თარხნიშვილის ტიტულთა ნუსხაში შედის მოლდოვის ათგზის ჩემპიონობა, ექვსი თასი, ოთხი სუპერთასი და ორიც თანამეგობრობის თასი", - ვკითხულობთ სტატიაში.*

უკვე გადაწყვეტილია, რომ თარხნიშვილი დიდ ფეხბურთს მომავალ სეზონშიც ითამაშებს. რამდენიმე დღეში იგი „შერიფთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის მზადებას დაიწყებს.

## კანდელაკი ისევ შტურმშია

ბრაცის „შტურმი" მომავალი სეზონისთვის მზადებას 9 ივნისიდან შეუდგება. ავსტრიული კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე იმ ფეხბურთელთა სიაცაა გამოქვეყნებული, რომლებსაც გუნდის სამწვრთნელო შტაბი შეკრებაზე ელის. ბუნებრივია, მათ შორისაა საქართველოს ნაკრების ნევრი **ილია კანდელაკიც**, რომელმაც გასული სეზონი სტაბილურად ჩაატარა და სისტემატურად იყო „შტურმის" ძირითად შემადგენლობაში. „შტურმის" მთავარმა მწვრთნელმა ის მოთამაშეები ახსენა, რომელთა იმედიც სამომავლოდ ექნება და არ გამორჩენია არც კანდელაკი, რომელიც, სავარაუდოდ, კარიერას თავის ამჟამინდელ კლუბში გააგრძელებს.

## გურული უმაღლესში რჩება

უკრაინის პროფესიული ფეხბურთის ლიგამ 2008 წლის 19 აპრილს ჩატარებული მატჩის შესახებ გამოძიება დაასრულა. ამ დღეს ერთმანეთს ხარკოვის „მეტალისტი" და ლვოვის „კარპატი" შეხვდნენ და თამაში ხარკოველთა დამაჯერებელი გამარჯვებით, 4:0 დასრულდა. ამ შეხვედრამ მოგვიანებით გარკვეული ეჭვები აღძრა და ბოლო პერიოდში აქტიურად გამოთქვამდნენ ვარაუდებს იმის შესახებ, თითქოს მეტოქეები ერთმანეთს გაურიგდნენ. გუშინ კი უკრაინულმა პფლ-მ განაცხადა, რომ ჯერჯერობით, ამ მატჩის შედეგის საეჭვოობის შესახებ დოკუმენტები მოძიებული არაა და ამიტომაც, ხსენებულ კლუბებს ქვედა ლიგებში დაქვეითება არ ემუქრებათ. ეს ამბავი კი ჩვენთვის იმითაა საინტერესო, რომ „კარპატის" ღირსებას ქართველი ფორვარდი **სანდრო გურული** იცავს და სავარაუდოდ, ზაფხულში კლუბს არ შეიცვლის.

## იაშვილმა მეორეზე გადაინაცვლა

დასრულდა მასშტაბური გამოკითხვა გერმანული „კარლსრუეს" გულშემატკივართა შორის, რომლის მიზანიც კლუბის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენა იყო. თავდაპირველად, **ალექსანდრე იაშვილი** მეოთხე ადგილს იკავებდა, მაგრამ საბოლოოდ, „კარლსრუეს" ქართველმა კაპიტანმა ორ თანაგუნდელს გაასწრო და მხოლოდ **მათიას ციმერმანს** ჩამორჩა. გამოკითხვა, რომელშიც „კარლსრუეს" 9 ათასამდე გულშემატკივარმა მიიღო მონაწილეობა, დასრულებულია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

მწვრთნელის თვალით. ვიტ ჯორჯია

# გელა გომელაური
# თავიდანვე ვიცოდით, რომ სწორი გზით მივდიოდით
## ვეცდებით, გუნდის გაახალგაზრდავების პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გავიაროთ

**„ვიტ ჯორჯიასთვის" ზედიზედ მეორე სეზონი გამოდგა ტიტულიანი. ვეტერინარებს უკვე ყველა შესაძლო ქართული ჯილდო აქვთ მოგებული - შარშან მოპოვებულ ჩემპიონობას გუნდმა გასულ სეზონში საქართველოს თასი და სუპერთასიც მიამატა. „ჯორჯიას" ბოლო წარმატებების მთავარი შემოქმედი მისი ახალი თავკაცი გელა გომელაურია, რომელმაც გუნდის თამაშში ბევრი რამ შეცვალა.**

**გომელაურს განვლილი სეზონის შეჯამება ვთხოვეთ და ამავდროულად, სამომავლო გეგმებზეც გავესაუბრეთ.**

- პირველ რიგში, დიდ მადლობას გადავუხდი გაზეთ „ლელოს" საქართველოს ჩემპიონატის სრულყოფილად და ობიექტურად გაშუქებისთვის. ძალიან სასიამოვნოა, რომ მწვრთნელებისა და ფეხბურთელების შრომას თქვენ მაინც აფასებთ. „ლელოს" ყოველთვის ვკითხულობ, მაშინაც კი, როცა ჩემი ან ჩემი გუნდის კრიტიკაა გამოქვეყნებული. კარგად მესმის, რომ სამართლიანი კრიტიკის გარეშე საქმე არ გამოვა. მინდა, ქართული ფეხურთის უკეთესი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიშრომოთ. თუმცა ერთ აზრს მაინც ვერ გავიზიარებ - ხშირად იწერებოდა, რომ „ვიტ ჯორჯია" წარუმატებელ სეზონს ატარებდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. როცა გუნდი ჩავიბარე, „ვიტ ჯორჯიას" პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ მიზნად ჩემპიონატის საუკეთესო ოთხეულში შესვლა და შესაბამისად, ევროტურნირების საგზურის მოპოვება დამისახა. ამ ამოცანის შესრულება კი ჩემპიონატის დასრულებამდე დიდი ხნით ადრე გავინაღდეთ. ასე რომ, „ვიტ ჯორჯიასთვის" სეზონი წარმატებული იქნებოდა იმ შემთხვევაშიც კი, საქართველოს თასის ფინალში რომ დავმარცხებულიყავით. ბუნებრივია, თასის მოპოვებამ ძალიან გაგვახარა და ბედნიერი ვარ, „ვიტ ჯორჯიამ" ეს ტიტული პირველად ჩემი ხელმძღვანელობით რომ მოიპოვა. აქვე ერთსაც დავძენ: ძალიან გამაკვირვა ტელევიზიით გამოთქმულმა მოსაზრებამ, „ვიტ ჯორჯიას" მიერ „დინამოს" დამარცხება მოულოდნელობა იყოო. ვითომ რატომ იყო მოულოდნელობა? პირველად მოვუგეთ „დინამოს" თუ ბოლო წლებში მასთან ურთიერთშეხვედრებში „ვიტ ჯორჯია" უპირატესობას არ ფლობს?!

**- „ვიტ ჯორჯიას" ფაქტობრივი მთავარი მწვრთნელი ხართ, მაგრამ ოფიციალურად, ამ თანამდებობას მერაბ კოჭლაშვილი იკავებს. უახლოეს მომავალში ნავარაუდებია თუ არა თქვენი ამ პოსტზე ოფიციალურად დამტკიცება?**

- სიმართლე გითხრათ, ამას დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ფაქტი ისაა, რომ „ვიტ ჯორჯიას" მთავარი მწვრთნელი მე გახლავართ, ქაღალდზე კი ეს იმიტომ არაა დაფიქსირებული, რომ A ლიცენზიას არ ვფლობ. ამას კი თავისი მიზეზი აქვს. ორი წლის წინ, როცა თბილისში სამწვრთნელო კურსები ტარდებოდა, მას ფილტვების ანთების გამო ვერ დავესწარი. A ლიცენზიას პირველივე შესაძლებლობისთანავე ავიღებ.

თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ და იმათ გასაგონად, ვისაც ჩემი „ვიტ ჯორჯიაში" დანიშვნა შემთხვევითობა ჰგონია, მოკლედ შევახსენებ, რომ სამწვრთნელო საქმეში ყველა ეტაპი მაქვს გავლილი. ჩემს მწვრთნელად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი შეიტანა ცხონებულმა ნოდარ ახალკაცმა, რომელიც პირისპირ სისტემატურად მესაუბრებოდა და რჩევა-დარიგებებს მაძლევდა.



სწორედ მან მომცა იმ გაჭირვებულ წლებში მუშაობის სტიმული. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობის თანადგომით კი სტაჟირება იტალიაში, კოვერჩანოს ბაზაზე გავიარე. სხვა არაერთ ქვეყანაშიც ვყოფილვარ კურსებზე. ასე მაგალითად, თურქეთში ლუიშ ფელიპე სკოლარის ლექციები მომისმენია. მაქვს 20-წლიანი სტაჟი, არაერთი წელიწადი გავატარე „ნორჩ დინამოელში", ვიყავი საფეხბურთო სკოლა „ოლიმპის" დირექტორი, მიმუშავია ბავშვებთან, ჭაბუკებთან, საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრებებში, დუბლებში, რეგიონულ ლიგაში, პირველ ლიგაში და დრო იყო, უმაღლეს ლიგაშიც გამომეცადა საკუთარი შესაძლებლობები. ამისთვის კი „ვიტ ჯორჯიას" ხელმძღვანელობას და პირადად გურამ რუხაძეს დიდ მადლობას ვუხდი. მან ყოველგვარი ორჭოფობის გარეშე მიიღო გუნდის მთავარი მწვრთნელის შეცვლის გადაწყვეტილება. ზემოთ ჩემი მთავარი მწვრთნელობა ვახსენე და მინდა ყველამ იცოდეს, რომ ჩემს სამწვრთნელო შტაბში ყველას აქვს ფართო უფლება-მოვალეობები. მაქსიმალურად ვცდილობ, თითოეული მათგანი თავს კომფორტულად გრძნობდეს. მერაბ კოჭლაშვილი უაღრესად გამოცდილი სპეციალისტია, „ვიტ ჯორჯიაში" არაერთი წელიწადი გაუტარებია და მისი რჩევები ჩემთვის ყოველთვის ფასეულია. იმავეს ვიტყოდი მეკარეთა მწვრთნელ ლევან აბაშიძესა და სხვებზეც. მე და ჩემი თანაშემწეები ხშირად ვუზიარებთ ერთმანეთს საკუთარ აზრებს, ვკამათობთ კიდეც და გადაწყვეტილებებს ერთობლივად ვიღებთ. ჩემთვის არა მხოლოდ მწვრთნელები, გუნდის ავტობუსის მძღოლიც მნიშვნელოვანი ფიგურაა.

**- არაერთხელ გითქვამთ, რომ „ვიტ ჯორჯიაში" თქვენი სტილი დანერგეთ და გუნდი უფრო შემტევ და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობს. მთავარ მწვრთნელად დანიშვნიდან რამდენ ხანში დაინახეთ, რომ ახალი სტრატეგია ამართლებდა?**

- გუნდში ნებისმიერი სიახლის დანერგვას გარკვეული დრო სჭირდება და ასე იყო ჩვენს შემთხვევაშიც. თუმცა სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი „ვიტ ჯორჯიასთვის" ის გამოდგა, რომელშიც გუნდს პირველად ვუხელმძღვანელე. რა თქმა უნდა, „ზესტაფონთან" სათასო შეხვედრას ვგულისხმობ, სადაც მეტოქეს სამბურთიანი ჩამორჩენა ამოვუქაჩეთ და ამ გამარჯვებით საქართველოს თასისკენ დიდი ნაბიჯი გადავდგით. „ზესტაფონის" დამარცხებას არანაკლებ რთული მატჩები მოჰყვა ნახევარფინალში, სადაც პირველი შეხვედრა მარტვილში წავაგეთ. ყოველთვის ძნელია, მოიგო ზუსტად იმ სხვაობით, რომელიც გჭირდება, მაგრამ „მერანთან" განმეორებით მატჩში ჩემმა ბიჭებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს მტკიცე ხასიათი და ფინალშიც გაალწიეს, სადაც დამეთანხმებით, ასევე დამსახურებულად გავიმარჯვეთ. ბუნებრივია, ჩემპიონატში იყო წარუმატებელი მატჩებიც, მაგრამ თავიდანვე ვიცოდით, რომ სწორი გზით მივდიოდით და სეზონის დასკვნითმა ნაწილმა ეს დაამტკიცა კიდეც.

**- „ვიტ ჯორჯიამ" თასის ფინალში ნამდვილად ეფექტურად ითამაშა, მაგრამ შეძლებს კი არაერთი წამყვანი ფიგურის გარეშე დარჩენილი გუნდი ახალ სეზონში, მანამდე კი ევროთასებზე ღირსეულად ასპარეზობას?**

- დანაკლისი უდავოდ სერიოზული გვაქვს და არასერიოზული იქნება იმის თქმა, რომ ეს ამბავი თავსატეხს არ გაგვიჩენს, მაგრამ შევეცდებით, გუნდის კიდევ უფრო გაახალგაზრდავების პროცესი მაქსიმალურად უმტკივნეულოდ გავიაროთ. გრიგოლ ბედიაშვილმა სეზონი ძალიან დამაჯერებლად ჩაატარა და მის შემცვლელ მეკარეს დიდი მონდომება მართებს; ალექსანდრე კვახაძე და ლაშა ჯაფარიძე „ვიტ ჯორჯიას" წამყვანი მცველები იყვნენ, ლუკა რაზმაძე და გიორგი დათუნაიშვილი კი მოედნის ცენტრში სტაბილურად და საიმედოდ მოქმედებდნენ. არც ისაა გამორიცხული, წასულთა რიცხვი გაიზარდოს, მაგრამ ვფიქრობ, გვაქვს იმის რესურსი, რომ ისინი ღირსეულად შევცვალოთ. „ვიტ ჯორჯია" ყოველთვის ზრდიდა საკუთარ ნიჭიერ ახალგაზრდებს და არაერთი მათგანი უკვე დამკვიდრდა გუნდის ძირითად შემადგენლობაში. ამიერიდან მათი როლი გაიზრდება, მთავარ გუნდში სხვა ახალ სახეებსაც იხილავთ. რა თქმა უნდა, ჩვენი ახალგაზრდების წინაშე რთული ამოცანა დგას, მათ უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიური მომზადება სჭირდებათ. მჯერა, მათ საფეხბურთო ოსტატობა და ნიჭი ეყოფათ იმისთვის, რომ ახლავე შეძლონ „ვიტ ჯორჯიას" წარმატებების უზრუნველყოფა. ამასთან, გუნდში რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელიც რჩება და მათი დიდი იმედი მაქვს. ევროთასებს რაც შეეხება, ნამდვილად რთული იქნება იქ დიდი წარმატების მიღწევა, მით უფრო, რომ გათამაშებაში მეორე ეტაპიდან ვერთვებით და იქ იოლი მეტოქე არ არსებობს. ევროტურნირების შესახებ ხმამაღალი განცხადებების გაკეთებას მოვერიდები, მაგრამ იმის პირობას ვდებ, რომ ხუთ ძირითად საფეხბურთო კომპონენტში - სისწრაფე, ტექნიკა, ტაქტიკა, გამძლეობა, ძალა - „ვიტ ჯორჯია" ტოლს არავის დაუდებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ




ვოივოდინას კლუბის პრეზიდენტმა გიორგი მერებაშვილი (მარცხნივ) დააიმედა

# სეზონი ჩაამთავრე, ლიდერებს გავყიდით და პრობლემები მოგეხსნებაო...

## რატომ იჩხუბა მერებაშვილმა ვოივოდინას კაპიტანთან?

**თბილისის „დინამოს“ ყოფილი ლიდერი გიორგი მერებაშვილი სერბეთის ვიცე-ჩემპიონ „ვოივოდინაში“ ამ ზამთარს ჩაირიცხა და ტრანსფერი უფრო მაღალი დონის ლიგაში მოხვედრისთვის გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია. თუმცა სერბეთში მის თავს ისეთი ამბები დატრიალდა, კინაღამ კლუბი დატოვა. დეტალებს ჩვენი ინტერვიუდან შეიტყობთ...**

**- გიორგი, „ვოივოდინაში“ თქვენზე დიდ იმედს ამყარებდნენ, ამ დროს კი, სეზონი კინკილა გოლით დაასრულეთ. გუნდს ვერ შეეწყვეთ თუ სხვა პრობლემა იყო?**

- საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. თავდაპირველად, ძალიან კარგად მიმიღეს ფეხბურთელებმაც, მწვრთნელებმაც, ხელმძღვანელებმაც, ფანებმაც... ისე ვიყავი, როგორც საკუთარ სახლში, დიდ სითბოსა და მხარდაჭერას ვგრძნობდი... თუმცა შემდეგ ვითარება რადიკალურად შეიცვალა და ამის მიზეზი რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი გახლდათ. აღმოვაჩინე, რომ სამი-ოთხი თანაგუნდელი ცუდი თვალით მიყურებდა. არ უნდოდათ, თამაში საკუთარ თავზე ამეღო და ლიდერი გავმხდარიყავი და ეს მწვრთნელს პირდაპირ უთხრეს...

**- უსიამოვნება ვისთან მოგივიდათ?**

- კაპიტან დრაგან მრდიასთან, რომელიც სერბეთის ნაკრების სამუნდიალო შემადგენლობაში შეიყვანეს. სერბებისთვის დედის გინება ჩვეულებრივი ამბავია. ეს ვიცოდი და ჩასვლისთანავე თანაგუნდელებს ვთხოვე - ქართველებისთვის ეს ყველაზე დიდი შეურაცხყოფაა, ამის გამო ხალხი ერთმანეთს ხოცავს და არაფერი მაკადროთ, თორემ ვერ მოგითმენთ-მეთქი... ასეც იყო, თუმცა ერთ-ერთი მატჩის დროს პასი ვერ მივეცი და კაპიტანმა შემაგინა. მოედანზე არაფერი მითქვამს, მაგრამ მატჩის შემდეგ არაფერი დამიკლია, ეგ იყო, ხელი არ დამირტყამს. ვაჟკაცი კი მეგონა, მაგრამ უკან დაიხია. მას შემდეგ ასეთი არაფერი უკადრებიათ, თუმცა პასებს აღარ მაძლევდნენ, ფაქტობრივად, ბლოკადაში მომაქციეს... ლამის ფეხბურთი შემაზიზღა... ასეთ გარემოში გაძლება და თავის გამოჩენა ძალიან რთული იყო. მეორე წრის ბოლო ტურებში სულ შეცვლებზე ვთამაშობდი...

**- ბურთის თრევა „დინამოშიც“ გახასიათებდათ. თანაგუნდელები ამის გამო ხომ არ გაალიზიანეთ? აკი თავად თქვით, კაპიტანს პასი არ მივეციო...**

- ეს ნაკლი „დინამოშივე“ გამოვასწორე, სერბეთში კი პასს აქეთ არ მაძლევდნენ. მომხდართან ეს არაფერ შუაშია, უბრალოდ, შური ვიგრძენი... სხვათა შორის, ინტერნეტში ლევან კუტალიას ის ინტერვიუ წავიკითხე, სარაევოს „სლავიადან“ წამოსვლის მიზეზებზე რომ ლაპარაკობდა. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს ისტორიას ჰყვებოდა... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ „ვოივოდინაში“ საქმე ცემა-ტყეპამდე არ მისულა. კუტალიაც ხომ ბოსნიის სერბულ გუნდში თამაშობდა და მრჩება შთაბეჭდილება, რომ სერბეთში ლეგიონერის ცხოვრება არც ისე იოლია, თავიდან კბილს უსინჯავენ და თუ დააჩოქებენ, ხომ კარგი, თუ არა და, თავის ადგილს პოულობენ... ფინანსური პრობლემებიც შემექმნა. ჩასვლის შემდეგ ხელფასი საერთოდ არც ამიღია. ზამთარში „ვოივოდინას“ ფეხბურთელი 3 მილიონ ევროდ გაიყიდა „ჯენოაში“ და ამ ფულის იმედი მაქვსო, მითხრა პრეზიდენტმა. თუმცა იტალიელებმა ეს ფული არ გადმორიცხეს და „ვოივოდინამ“ „ჯენოას“ ფიფაში უჩივლა. ფიფას წესდებით, კონტრაქტის განყვეტის უფლება მქონდა და პრობლემებიც იმდენად სერიოზული იყო, მივედი იმ აზრამდე, რომ კლუბიდან უნდა წამოვსულიყავი...

**- ...და ახლა „ვოივოდინასთან“ კონტრაქტის განყვეტას ითხოვთ?**

- არა, ვრჩები. არადა, საკმაოდ საინტერესო ვარიანტები მქონდა, კონტრაქტს ბელგიის და ისრაელის კლუბები, აგრეთვე „ცრვენა ზვეზდა“ მთავაზობდნენ, მაგრამ კლუბთან კონტრაქტი მაკავშირებდა და, რაც მთავარია, ჩემი გაყიდვა „ვოივოდინას“ ინტერესებშია. ამ მხრივ, მშვიდად ვარ - მომამზადებენ, გათამაშებენ და თუ ძალიან უნიჭო არ ხარ, აუცილებლად ძლიერ კლუბში გაგყიდიან.

**- ასეთ აუტანელ გარემოში დარჩენას რა გაიძულებდათ? მით უფრო, რომ საინტერესო მინვევები გქონიათ...**

- თავის დამკვიდრება მინდოდა და ერთგვარი სპორტული აზარტიც გამიჩნდა. მინდოდა, დამემტკიცებინა, რომ თამაში შემიძლია. როგორი ამბავია - „ვოივოდინამ“ ქართული ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი იყიდაო, წერდნენ და ამ დროს, სეზონში მხოლოდ ერთი გოლი გავიტანე. ეს მდგომარეობა არ მაკმაყოფილებდა და პრეზიდენტთან მივედი. სიმართლე გითხრათ, იმ მომენტისთვის „ვოივოდინადან“ წამოსვლა გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ პრეზიდენტთან შეხვედრამ აზრი შემიცვალა. მითხრა, სეზონი ჩაამთავრე, შემდეგ ლიდერებს გავყიდით და პრობლემები მოგეხსნებაო. ჩემი იმედი აქვს, „ვოივოდინაში“ კი არა, მთელ სერბეთში საუკეთესო ფეხბურთელი უნდა გახდეო. ამ ლაპარაკს რომ მორჩა, ჯიბიდან ფული ამოიღო და ერთი თვის ხელფასი მომცა. პრეზიდენტს ვუთხარი - გაქცევა არ მიყვარს-მეთქი და ასე დავშორდით ერთმანეთს. მესმის, პრეზიდენტი და მწვრთნელი რომ იყოს უკმაყოფილო, ავდგებოდი და წამოვიდოდი, მაგრამ მე ფეხბურთელები გადამიდგნენ და ამიტომაც გადავწყვიტე დარჩენა და გაძლება. კიდევ კარგი, სერბეთში მამაჩემი მახლდა, თორემ მარტოს რა გამაჩერებდა. თამაშით ენერგიას ვერ ვხარჯავდი და დამატებით ვვარჯიშობდი...

**- საერთო ჯამში, სერბეთში გადასვლას როგორ აფასებთ?**

- დადებითად, რადგან ძალიან კარგი მოსამზადებელი პირობებია. ბაზაზე ხუთი იდეალური მოედანია, საუკეთესო ტრენაჟორები, სამედიცინო მომსახურება... ფეხბურთელს თავის გამოსავლენად ყველა პირობას უქმნიან. ნოვი სადიც ძალიან მომწონს - პატარა, ულამაზესი ქალაქია... მაგრამ მთავარი მაინც ფეხბურთია და სწორედ ამით ვარ უკმაყოფილო. მატჩში 20 ან 30 წუთით თამაში პროგრესისთვის საკმარისი არ არის. ამის მიუხედავად, უდიდესი ნაკლი გამოვასწორე - ადრე დაცვასა და ართმევაზე თამაში არ მეხერხებოდა, „ვოივოდინაში“ კი დაცვაშიც ჩავდივარ და ართმევაზეც ვთამაშობ. სხვაგვარად, ევროპაში არც გათამაშებენ.

**- „ვოივოდინა“ თბილისის „დინამოდან“ სხვა ფეხბურთელების წაყვანასაც აპირებდა. ამაზე რა იცით?**

- პრეზიდენტმა მითხრა, ზაფხულიდან ახალი გუნდის ჩამოყალიბებას ვიწყებო. ახლებში ქართველებსაც მოიაზრებს, თუმცა გვარები არ უთქვამს. ჯერ ძველები უნდა გაყიდოს და სასურველ ფეხბურთელებს ამის შემდეგ შეიძენს.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი

# დამსახურებული ნომინანტები

**2009/10 წლების სეზონის უკანასკნელი მატჩიდან (საქართველოს თასი ფინალს ვგულისხმობთ) ჯერ ორი კვირაც არ გასულა და ქართული გუნდების უმრავლესობამ... ახალი სეზონისათვის მზადება დაიწყო. ეგ კი არა, მსგავსი სატრანსფერო აქტიურობა ასე ნაადრევად როდის იყო, ველარც გაგვიხსენებია, არადა, XXII ჩემპიონატი... ორი თვის შემდეგ უნდა დაიწყოს! თუმცა, მანამდე ხომ ჩვენ ოთხ გუნდს ევროტურნირების მატჩები ელოდებათ და ყველას გვინდა, რომ „ოლიმპმაც“, „დინამომაც“, „ზესტაფონმაც“ და „ვიტ ჯორჯიამაც“, ჩემპიონთა ლიგისა თუ ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპებზე რაც შეიძლება წარმატებულად იასპარეზონ. სამწუხაროდ, ამ ოთხიდან ორ გუნდს („დინამო“, „ვიტ ჯორჯია“) სატრანსფერო ბაზარზე ჯერჯერობით აქტიურობისა არაფერი ეტყობა; უფრო, პირიქით არის, მაგრამ იმედი დავიტოვოთ, რომ ორივე კლუბის ხელმძღვანელობა მოახერხებს და თავიანთი გუნდებიდან წასულ წამყვან ფეხბურთელებს მეტ-ნაკლებად ღირსეულ შემცვლელებს მოუძებნიან...**

ჰო, დრო ჯერ კიდევ არის და ახალი სეზონის დაწყებამდე კიდევ არაერთი სატრანსფერო სიახლე გველოდება; მანამდე კი, ისევ... წინა ჩემპიონატს გვინდა დავუბრუნდეთ, უფრო ზუსტად, XXI ჩემპიონატის ნომინანტებს. შეგახსენებთ, რომ სულ ახლახან (კონკრეტულად - ორ ივნისს) „ლელოს“ ვერსიით სეზონის ნომინანტები გამოვავლინეთ: საუკეთესო მწვრთნელი, საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო ლეგიონერი, საუკეთესო არბიტრი; ამას გარდა, ამპლუების მიხედვით საუკეთესოებიც დავასახელეთ (მეკარე, მცველი, ნახევარმცველი, თავდამსხმელი), ისე როგორც „სეზონის აღმოჩენა“ და „საუკეთესო დებიუტანტ(ებ)ი“; რაღა თქმა უნდა, სეზონის სიმბოლური ნაკრებიც შევადგინეთ და თითქმის ყველა ნომინაციას, შესაბამისი „განმარტებაც“ თან დავურთეთ. ანუ, „ძირითად“ ნომინაციებში გამარჯვებულის გამოსავლენად, ისევ და ისევ, „ლელოს“ ტრადიციული „ტურის სიმბოლური ნაკრებებით“ და „თვის სიმბოლური ნაკრებებით“ ვიხელმძღვანელეთ. თუმცა, პრიორიტეტი მაინც „თვის სიმბოლურ ნაკრებში“ უფრო მეტჯერ მოხვედრილ მწვრთნელებსა თუ ფეხბურთელებს მივანიჭეთ; იმაზე აღარაფერს ვამბობთ, კონკრეტულმა მწვრთნელმა თუ ფეხბურთელმა... ჩემპიონატში რა შედეგს მიაღწია! მაგალითად, **კახა კაჭარავა** რვაჯერ დავასახელეთ „ტურის მწვრთნელად“, **თემურ მახარაძე** კი - შვიდჯერ; სამაგიეროდ, რუსთავის „ოლიმპის“ ჩემპიონობის ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი თემურ მახარაძე კოლეგებს შორის ყველაზე მეტჯერ (ოთხჯერ) დავასახელეთ „თვის მწვრთნელად“, მაშინ როცა იმავე კაჭარავას ეს პატივი ამ სეზონში არც ერთხელ ჰქონია.

ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოვლენაში **ანდერსონ აკინოს** სასარგებლოდ ერთდროულად ორმა ფაქტორმა „იმუშავა“: „ოლიმპის“ ბრაზილიელი ლეგიონერი ყველაზე მეტჯერ (14-ჯერ) დასავახელეთ „ტურის სიმბოლურში“, ასევე ყველაზე მეტჯერ (სამჯერ) მივიჩნიეთ „თვის ფეხბურთელად“. „ლელოს“ ვერსიით XXI ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელს მცირედით ჩამორჩნენ „დინამოს“ კაპიტანი **გურამ კაშია** და „ოლიმპის“ კაპიტანი **დავით იმედაშვილი**. ორივე ფეხბურთელი 13-13-ჯერ დავასახელეთ „ტურის სიმბოლურში“, ასევე ორ-ორჯერ „თვის ფეხბურთელად“ მივიჩნიეთ; სამაგიეროდ, „თვის სიმბოლურში“ აკინო თუ „მხოლოდ“ ხუთჯერ დავასახელეთ, კაშიასა და იმედაშვილს ეს პატივი ექვს-ექვსჯერ ერგოთ. ამპულების მიხედვით საუკეთესოების გამოვლენაში მცველის (გურამ კაშია), ნახევარმცველის (დავით იმედაშვილი) და თავდამსხმელის (ანდერსონ აკინო) შემთხვევებში, ვფიქრობთ, საკამათო არავისთვის არაფერი არ უნდა ყოფილიყო. ერთადერთი, შესაძლოა, ვინმეს „საუკეთესო მეკარის“ ნომინაციაზე გასჩენოდა გარკვეული კითხვები. საქმე იმაშია, რომ „ტურის სიმბოლურების“ მიხედვით, „ერთპიროვნული ლიდერი“ „ლოკომოტივის“ მეკარე **მაქსიმე ქვილითაია** იყო (რვაჯერ მოხვდა); სამაგიეროდ, „თვის სიმბოლურში“ მეკარეებს შორის ყველაზე მეტჯერ „ოლიმპის“ ვეტერანი გოლკიპერი **გრიგოლ ჭანტურია** მოხვდა - სამჯერ.

ახლა კი, ჩემპიონატის განმავლობაში შედგენილი ტურის და თვის სიმბოლური ნაკრებები გვინდა შევაჯამოთ. აქვე, მცირე განმარტებაც ორჯერ (XIX და XX ტურებში) სიმბოლური ნაკრები არ შეგვიდგენია; მიზეზი, გადადებული თამაშები იყო, რომლებიც მოგვიანებით... სხვადასხვა დროს ჩატარდა, ამას გარდა, სამი შემთხვევა იყო (VIII, X და XIII ტურები), როცა „ტურის მწვრთნელი“ არ დაგვისახელებია. მაშ, ასე: 2009-10 წლების სეზონის მწვრთნელებისა და ფეხბურთელების „მონაგარი“ ასე გამოიყურება:




### ტურის სიმბოლური ნაკრები (ვინ რამდენჯერ მოხვდა)

#### მწვრთნელები

კახა კაჭარავა (დინამო) - 8, თემურ მახარაძე (სიონი, ოლიმპი) - 7, გელა სანაია (ლოკომოტივი) - 3, ვლადიმერ ხაჩიძე (სპარტაკი) - 2, გია გეგუჩაძე (ზესტაფონი) - 2, გელა გომელაური (ვიტ ჯორჯია) - 2, ხვიჩა ქასრაშვილი (სიონი) - 2, ელგუჯა ქომეთიანი (ბაია) - 1, გოჩა ჩიქოვანი (სპარტაკი) - 1, ანატოლი პისკოვეცი (გაგრა) - 1, ვიქტორ კაშჩეი (გაგრა) - 1, მამუკა მესიაჩენკო, ლევან ანჯაფარიძე (სამტრედია) - 1,

#### მეკარეები

მაქსიმე ქვილითაია (ლოკომოტივი) - 8, გრიგოლ ჭანტურია (ოლიმპი) - 4, გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 4, გიორგი ლორია (დინამო) - 4, მინდია ბობლიაშვილი (სიონი) - 4, ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი) - 3, რევაზ თევდორაძე (გაგრა) - 2, ვლადიმერ ზუხბაია (სიონი) - 2, ზურაბ ბათიაშვილი (სპარტაკი) - 2, ზვიად სტურუა (გაგრა) - 1.

#### მცველები

გურამ კაშია (დინამო) - 13, ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი) - 6, ალექს ფრაგა (ოლიმპი) - 5, ბოიომო ფრიდოლინი (სპარტაკი) - 5, თენგიზ ჩიკვილაძე (სიონი, დინამო) - 5, ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი) - 5, ლევან ხმალაძე (დინამო) - 4, როინ ონიანი (ბაია) - 4, ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) - 4, ალექსანდრ კრსტესკი (დინამო) - 4, გიგა ბეჭვაია (ვიტ ჯორჯია) - 4, გივი დიდავა (სპარტაკი, სიონი) - 3, გულვერდ თომაშვილი (დინამო) - 3, თემურ ლონლაძე (ოლიმპი) - 3, გიორგი ტყეშელაშვილი (გაგრა) - 3, ნოდარ მაჭავარიანი, (ოლიმპი) - 2, პავლე დათუნაიშვილი (სპარტაკი, ოლიმპი) - 2, გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი) - 2, გიორგი ნერგაძე (დინამო) - 2, რევაზ ქემოკლიძე (სიონი) - 2, უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი) - 2, გიორგი ონიანი (ზესტაფონი) - 2, გიორგი ხატიაშვილი (ლოკომოტივი) - 2, ლაშა ჯაფარიძე (ვიტ ჯორჯია) - 2, მამუკა კობახიძე (ზესტაფონი) - 2, ლევან აკობია (ბაია) - 2, თორნიკე შალიკაშვილიი (გაგრა) - 1, ლაშა თოთაძე (გაგრა) - 1, ზაალ ელიავა (ზესტაფონი) - 1, დავით ლომაია (ვიტ ჯორჯია) - 1, რევაზ ნინუა (სამტრედია) - 1, გიორგი კვესეიშვილი (სამტრედია) - 1, დავით გიგაური (გაგრა) - 1, მიხეილ მახვილაძე (სიონი) - 1, გელა ხუბუა (სიონი) - 1, სევასტი თოდუა (ოლიმპი) - 1, ოლეგ გველესიანი (ოლიმპი) - 1, გურამ ადამაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, დავით ხურცილავა (ვიტ ჯორჯია) - 1, ლაშა ჭელიძე (სიონი) - 1, გიორგი კვახაძე (სპარტაკი) - 1, დავით გამეზარდაშვილი (ზესტაფონი) - 1, ლევან კაკუბავა (დინამო) - 1, გიორგი რეხვიაშვილი (ოლიმპი) - 1.




» მე-5 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ჩემპიონატი

შეჯამება

« მე-4 გვერდიდან

### ნახევარმცველები

დავით იმედაშვილი (ოლიმპი) - 13, ალექსანდრე გოგობერიშვილი (სიონი) - 9, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი) - 8, გია კვარაცხელია (ოლიმპი) - 7, გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი) - 6, შოთა კაშია (დინამო) - 5, ალექსანდრე კოშკაძე (დინამო) - 5, ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 5, გიორგი კახელიშვილი (ვიტ ჯორჯია, დინამო) - 4, გიორგი მერებაშვილი (დინამო) - 4, გიორგი ჩივაძე (სპარტაკი) - 4, დავით ოდიკაძე (სპარტაკი) - 3, თემურ შონია (სპარტაკი) - 3, ჩისამბა ლუნგუ (ბაია) - 3, ბუბა დაუშვილი (ზესტაფონი) - 3, შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი) - 3, ნიკა ძალამიძე (ბაია) - 3, შოთა ჩომახიძე (სამტრედია) - 3, ედნილსონი (დინამო) - 3, ვლადიმერ უგრეხელიძე (სიონი) - 3, ჯერონიმო (ოლიმპი) - 2, შალვა ფირცხალავა (სამტრედია) - 2, ვალიკო ტყემალაძე (სამტრედია) - 2, ირაკლი ჩირიკაშვილი (სპარტაკი) - 2, გიორგი მამუჩაშვილი (დინამო) - 2, ლაშა ვაშაკიძე (სამტრედია) - 2, თორნიკე ოქრიაშვილი (გაგრა) - 2, ლევან კორღალიძე (ზესტაფონი) - 2, ნიკოლაი ნაკონეჩნი (გაგრა) - 2, გიორგი თექთურმანიძე (დინამო) - 2, გიორგი დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) - 2, სერგეი ბერბატი (გაგრა) - 1, დენის დობროვოლსკი (ოლიმპი) - 1, დავით ქირია (ბაია) - 1, შოთა ბაბუნაშვილი (ოლიმპი) - 1, დავით დილმელაშვილი (დინამო) - 1, ლუკა რაზმაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, კობა შალამბერიძე (სპარტაკი) - 1, ერეკლე კაჭახიძე (ლოკომოტივი) - 1, გიორგი მანწკავა (სპარტაკი) - 1, ლუკა გუგუჩია (ბაია) - 1, დემურ სამსეიშვილი (სამტრედია ) - 1, გიორგი ჯანელიძე (ვიტ ჯორჯია) - 1, ნიკა მგელაძე (სპარტაკი) - 1, ირაკლი შენგელია (სიონი) - 1, გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, გოგა ფიფია (ბაია) - 1, ლევან ნურნუმია (ბაია) - 1, ლევან ბაკურაძე (სამტრედია) - 1, ბესიკ დეკანოიძე (სპარტაკი) - 1, ბორის მახარაძე (ლოკომოტივი) - 1, გიორგი დიაკვნიშვილი (ლოკომოტივი) - 1, მიხეილ კობერიძე (გაგრა) - 1, ირაკლი ძარია (ზესტაფონი) - 1, რობერტინიო (დინამო) - 1, ირაკლი ლექვთაძე (დინამო) - 1.

### თავდამსხმელები

ანდერსონ აკინო (ზესტაფონი) - 14, ზაურ ხაჭიპერაძე (სამტრედია) - 8, ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) - 7, ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) - 6, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) - 5, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) - 5, ჯორჯ აკირემი (დინამო) - 4, გიორგი გაბედავა (გაგრა) - 4, გიორგი ჭედია (ოლიმპი) - 4, სანდრო იაშვილი (ოლიმპი) - 3, გიორგი ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 3, ზვიად მეტრეველი (ლოკომოტივი) - 3, მიხეილ კაკალაძე (სამტრედია) - 3, რევაზ ჯიქია (ბაია, ოლიმპი) - 2, რევაზ გოცირიძე (სპარტაკი) - 2, ბაჩანა ცხადაძე (სპარტაკი) - 2, ირაკლი ეხვაია (ბაია) - 2, მათე ვანაძე (დინამო) - 2, ჯონათასი (ოლიმპი) - 1, ბესიკ ჩიმაკაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, რატი წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) - 1, შალვა კვანტალიანი (გაგრა) - 1, ირაკლი სიხარულიძე (გაგრა) - 1.

### თვის სიმბოლური ნაკრებები

#### აგვისტო

მამალაძე (ზესტაფონი) - ბეჟვაია (ვიტ ჯორჯია), ხიდეშელი (ზესტაფონი), ფრაგა (ოლიმპი), ხმალაძე (დინამო) - დობროვოლსკი (ოლიმპი), ბაბუნაშვილი (ოლიმპი) - ოდიკაძე (სპარტაკი), აკინო (ოლიმპი), მერებაშვილი (დინამო) - დვალი (ზესტაფონი).

ფეხბურთელი: ანდერსონ აკინო

მწვრთნელი: ოთარ კორღალიძე (ოლიმპი)

#### სექტემბერი

მამალაძე (ზესტაფონი) - ლობჟანიძე (ზესტაფონი), გ. კაშია (დინამო), ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია), ხმალაძე (დინამო) - აფციაური (ზესტაფონი), გოგობერიშვილი (სიონი), კოშკაძე (დინამო), გრიგალაშვილი (ზესტაფონი - გელაშვილი (ზესტაფონი), ვ. კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია).

ფეხბურთელ(ებ)ი: ნიკოლოზ გელაშვილი, ალექსანდრე კოშკაძე

მწვრთნელი: გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)

#### ოქტომბერი

ქვილითაია (ლოკომოტივი) - ბოიომო (სპარტაკი), გ. ონიანი (ზესტაფონი), იმედაშვილი (ოლიმპი) - აფციაური (ზესტაფონი), გოგობერიშვილი (სიონი), ძალამიძე (ბაია), აკინო (ოლიმპი), ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) - ვ. კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია), გელაშვილი (ზესტაფონი).

ფეხბურთელ(ებ)ი: ანდერსონ აკინო, თორნიკე აფციაური

მწვრთნელ(ებ)ი: თემურ მახარაძე (სიონი, ოლიმპი), გია გეგუჩაძე (ზესტაფონი)

#### ნოემბერ-დეკემბერი

ჭანტურია (ოლიმპი) - ფრაგა (ოლიმპი), ა. კვახაძე (ვიტ ჯორჯია), გ. კაშია (დინამო) - ს. თოდუა (ოლიმპი),



დავით იმედაშვილი

აფციაური (ზესტაფონი), იმედაშვილი (ოლიმპი), მერებაშვილი (დინამო) - ჭედია (ოლიმპი), აკინო (ოლიმპი), გელაშვილი (ზესტაფონი).

ფეხბურთელ(ებ)ი: დავით იმედაშვილი, გურამ კაშია

მწვრთნელი: თემურ მახარაძე (ოლიმპი)

#### თებერვალი

ქვილითაია (ლოკომოტივი) - გ. კაშია (დინამო), გ. კვარაცხელია (ოლიმპი), იმედაშვილი (ოლიმპი) - ედნილსონი (დინამო), კოშკაძე (დინამო) - ლიპარტია (ვიტ ჯორჯია), აკინო (ოლიმპი), მეტრეველი (ლოკომოტივი) - დვალი (ზესტაფონი), ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია).

ფეხბურთელ(ებ)ი: გიორგი ბერიაშვილი, გურამ კაშია

მწვრთნელი: გელა სანაია (ლოკომოტივი)

#### მარტი

ჭანტურია (ოლიმპი) - ლ. ჭელიძე (სიონი), გ. კაშია (დინამო), კრსტესკი (დინამო), რ. ონიანი (ბაია) - გ. ჭე-



გურამ კაშია

ლიძე (ლოკომოტივი), გოგობერიშვილი (სიონი), ვასაძე (ვიტ ჯორჯია), იმედაშვილი (ოლიმპი) - აკინო (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია).

ფეხბურთელი: ანდერსონ აკინო

მწვრთნელი: თემურ მახარაძე (ოლიმპი)

#### აპრილი

ჭანტურია (ოლიმპი) - ბენაშვილი (ზესტაფონი), გ. კაშია (დინამო), გუშარაშვილი (ლოკომოტივი), ჩიკვილაძე (დინამო) - გ. ჭელიძე (ლოკომოტივი), რ. ონიანი (ბაია), თექთურმანიძე (დინამო), იმედაშვილი (ოლიმპი) - იაშვილი (ოლიმპი), აკირემი (დინამო).

ფეხბურთელ(ებ)ი: ჯორჯ აკირემი, დავით იმედაშვილი

მწვრთნელი: თემურ მახარაძე (ოლიმპი).

#### მაისი

ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - თ. ლონლაძე (ოლიმპი), გ. კაშია (დინამო), ტყეშელაშვილი (გაგრა), იმედაშვილი (ოლიმპი) - გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), გ. კვარაცხელია (ოლიმპი), გოგობერიშვილი (სიონი) კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - აკირემი (დინამო), ლიპარტია (ვიტ ჯორჯია).

ფეხბურთელ(ებ)ი: გუნდი - ვიტ ჯორჯია(?!.)

მწვრთნელი: გელა გომელაური (ვიტ ჯორჯია)

### თვის სიმბოლურ ნაკრებში მოხვედრილი ფეხბურთელები და მწვრთნელები

თვის მწვრთნელები: თემურ მახარაძე (სიონი, ოლიმპი) - 4, გია გეგუჩაძე (ზესტაფონი) - 2, ოთარ კორღალიძე (ოლიმპი) - 1, გელა სანაია (ლოკომოტივი) - 1, გელა გომელაური (ვიტ ჯორჯია) - 1.

თვის ფეხბურთელები: ანდერსონ აკინო (ოლიმპი) - 3, დავით იმედაშვილი (ოლიმპი) - 2, გურამ კაშია (დინამო) - 2, ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) - 1, ალექსანდრე კოშკაძე (დინამო) - 1, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი) - 1, გიორგი ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 1, ჯორჯ აკირემი (დინამო) - 1.

მეკარეები: გრიგოლ ჭანტურია (ოლიმპი) - 3, მაქსიმე ქვილითაია (ლოკომოტივი) - 2, ზურაბ მამალაძე (ზესტაფონი) - 2, გრიგოლ ბედიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 1.

მცველები: გურამ კაშია (დინამო) - 6, დავით იმედაშვილი (ოლიმპი) - 6, ალექს ფრაგა (ოლიმპი) - 2, როინ ონიანი (ბაია) - 2, ალექსანდრე კვახაძე (ვიტ ჯორჯია) - 2, ლევან ხმალაძე (დინამო) - 2, ალექსი ბენაშვილი (ზესტაფონი) - 1, გიორგი ტყეშელაშვილი (გაგრა) - 1, თემურ ლონლაძე (ოლიმპი) - 1, თენგიზ ჩიკვილაძე (დინამო) - 1, ნიკა გუშარაშვილი (ლოკომოტივი) - 1, ლაშა ჭელიძე (სიონი) - 1, გიგა ბეჟვაია (ვიტ ჯორჯია) - 1, გიორგი ხიდეშელი (ზესტაფონი) - 1, უჩა ლობჟანიძე (ზესტაფონი) - 1, გიორგი ონიანი (ზესტაფონი) - 1, ბოიომო ფრიდოლინი (სპარტაკი) - 1, სევასტი თოდუა (ოლიმპი) - 1, ალექსანდრ კრსტესკი (დინამო) - 1.

ნახევარმცველები: ალექსანდრე გოგობერიშვილი (სიონი) - 4, თორნიკე აფციაური (ზესტაფონი) - 3, გია კვარაცხელია (ოლიმპი) - 2, ალექსანდრე კოშკაძე (დინამო) - 2, გიორგი მერებაშვილი (დინამო) - 2, გიორგი ჭელიძე (ლოკომოტივი) - 2, დენის დობროვოლსკი (ოლიმპი) - 1, შოთა ბაბუნაშვილი (ოლიმპი) - 1, დავით ოდიკაძე (სპარტაკი) - 1, შოთა გრიგალაშვილი (ზესტაფონი) - 1, ირაკლი კლიმიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 1, გიორგი დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია) - 1, გიორგი ვასაძე (ვიტ ჯორჯია) - 1, ნიკა ძალამიძე (ბაია) - 1, გიორგი ჭედია (ოლიმპი) - 1, ედნილსონი (დინამო) - 1, გიორგი თექთურმანიძე (დინამო) - 1.

თავდამსხმელები: ანდერსონ აკინო (ოლიმპი) - 5, ჯაბა ლიპარტია (ვიტ ჯორჯია) - 3, ნიკოლოზ გელაშვილი (ზესტაფონი) - 3, ჯაბა დვალი (ზესტაფონი) - 2, ვახტანგ კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) - 2, ჯორჯ აკირემი (დინამო) - 2, გიორგი ბერიაშვილი (ვიტ ჯორჯია) - 1, ზაურ ხაჭიპერაძე (სამტრედია) - 1, სანდრო იაშვილი (ოლიმპი) - 1, ზვიად მეტრეველი (ლოკომოტივი) - 1.

**გია ტუხაშვილი**

## მოსალოდნელი ტრანსფერი

# გროზნომ გამორიცხა, ნალჩიკს არ სჯერა

უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს ნაკრებისა და ნალჩიკის „სპარტაკის" მცველ **ალექსანდრე ამისულაშვილის** დამატებით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული, მათ შორის, რუსული - ყაზანის „რუბინი", გროზნოს „ტერეკი", სამარის „კრილია", მოსკოვის „დინამო"... გუშინ გავრცელებული ინფორმაციით, ჩეჩნური კლუბი ქართველისთვის არ იბრძოლებს. „ტერეკის" პრესატაშე **კაზბეკ ხაჯიევის** თქმით, ამ ეტაპზე მათ გეგმებში ამისულაშვილის დამატება არ შედის.

შეგახსენებთ, რომ ამისულაშვილს ნალჩიკელებთან კონტრაქტი 1 აგვისტოს ეწურება. „სპარტაკს" ქართველი მცველი არ ეთმობა და ხელშეკრულების გაგრძელება გაუმჯობესებული პირობებით შესთავაზა, მაგრამ ნაკლებია იმის იმედი, რომ ჩვენებური ნალჩიკში დარჩება. „სპორტ-ექსპრესმა" „სპარტაკის" მთავარი მწვრთნელის **იური კრასნოჟანის** ინტერვიუ გამოაქვეყნა. მას კონტრაქტებზეც ჩამოუგდეს სიტყვა და რა თქმა უნდა, ამისულაშვილზეც ჰკითხეს.

*„მართალია, ამისულაშვილის შენარჩუნება გვინდა და ახალი კონტრაქტიც შევთავაზეთ უკეთესი ფინანსური პირობებით, მაგრამ არა მგონია, ჩვენთან დარჩეს. უკვე რამდენიმე თვეა, რაც მასთან ახალი კონტრაქტის თაობაზე ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ალეკო უარს არ ამბობს, მაგრამ არც თანხმობას გვეუბნება. მისიც კარგად მესმის - მას ახლა პიკი აქვს და უნდა, ფინანსურად უფრო კარგი კონტრაქტი გააფორმოს უკეთეს კლუბთან, თუმცა ის კი მალიზიანებს, რომ ჩვენი არავის ესმის. ყველაფერი გავაკეთეთ საიმისოდ, რათა სატრანსფერო ბაზარზე ამისულაშვილზე დიდი მოთხოვნა ყოფილიყო. ჯერ არ ვიცი, რას გადაწყვეტს ქართველი მცველი, მაგრამ კარგი იქნება, თუ მის მიერ გადადგმული ნაბიჯი ერთგვარი მადლიერება იქნება ჩვენი კლუბის მიმართ"*, - განაცხადა ნალჩიკის „სპარტაკის" თავკაცმა.

დაბოლოს, ჩვენი ინფორმაციით, ამისულაშვილი **შოთა არველაძის** „ქაისერისფორთან" მალე გააფორმებს კონტრაქტს. სხვათა შორის, გასულ უქმეებზე ამისულაშვილის თურქული ტრანსფერის მოსალოდნელობას რუსულმა ვებგვერდებმაც, მათ შორის, „სპორტ-ექსპრესმაც" გაუსვა ხაზი.

**დავით ცაბაძე**

## ტრანსფერი

# კვირკველია და ზენიტი გადაწყვეტილია

ადრეც ვწერდით, რომ საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებისა და თენგიზ სულაქველიძის აკადემიის მცველი **საბა კვირკველია** ანთალიაში, სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" დუბლებთან ერთად ემზადებოდა. ნევისპირელთა სარეზერვო გუნდის თავკაცმა **ანატოლი დავიდოვმა** ტანმაღალი მცველი ზამთარში სამ საკონტროლო შეხვედრაში გამოსცადა, მოეწონა და ზაფხულისთვის დაიბარა...

უკვე კვირაზე მეტია, რაც საბა „ზენიტში" ვარჯიშობს. სანკტპეტერბურგელთა კლუბში მის ტრანსფერზე **რევაზ ჩელებაძე** მუშაობს. სატელეფონო საუბარში ჩელებაძემ გვითხრა, რომ კვირკველიას ტრანსფერის საკითხი უკვე გადაწყვეტილია. დაწყებულია მუშაობა 18 წლის ქართველი მცველისთვის სავიზო პრობლემის მოგვარებაზეც. კვირკველია სამშობლოში ამ დღეებში დაბრუნდება და 22 ივნისს უკვე ახალ გუნდს შეუერთდება და მზადებას დაიწყებს. 1 ივლისს კი საბა „ზენიტთან" კონტრაქტს გააფორმებს. ჩელებაძისავე ინფორმაციით, კვირკველიას ხელშეკრულების ფორმულა 6 თვეს პლუს 3 წელი იქნება.

როგორც ვწერდით, „ზენიტში" შესაძლოა „გაგრასა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემტევი ნახევარმცველის **თორნიკე ოქრიაშვილის** ტრანსფერიც განხორციელდეს. ამ საქმის მოსაგვარებლად სანკტ პეტერბურგში იმყოფება „გაგრას" პრეზიდენტი **ბესო ჩიხრაძე**, რომელსაც ჩელებაძის მეშვეობით გავესაუბრეთ. როგორც ჩიხრაძემ გვითხრა, „ზენიტში" ოქრიაშვილის ტრანსფერთან დაკავშირებით მოლაპარაკებები გრძელდება, ჯერჯერობით არაფერია გადაწყვეტილი. „გაგრას" პრეზიდენტმა ისიც გვითხრა, რომ ოქრიაშვილით ბელგიური „ანდერლეხტი" და სამი იტალიური კლუბიცაა (მათ შორის, სერია A-დანაც) დაინტერესებული. ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ყველაფერი ივნისის ბოლომდე გაირკვევა.

**დავით ცაბაძე**

www.britishcentre.ge

BRITISH CENTRE

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !

შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !

ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !



ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები".



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა".



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს".

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
პეკინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გენერალური რეპეტიციები

## რობენი და შკრტელი მუნდიალზე ვერ ითამაშებენ?

არიენ რობენი მთელი ჰოლანდიის სატკივარია



**სლოვენია–ახ. ზელანდია 3:1**

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, სესარი, სულერი, იოკიჩი, ბრეჩკო (76. ილიჩი), კორენი, რადოსავლიევიჩი (78. კრჰინი), კირმი (84. მატავჟი), ბირსა (80. კომაცი), ლიუბიანკიჩი (12. დედიჩი), ნოვაკოვიჩი (62. პეჩნიკი).

**ახალი ზელანდია:** პასტონი, ნელსენი, სმითი, რიდი, ელიოტი, კრისტი, ლოჩჰედი, ბერტოსი, ფელონი, სმელცი, ვუდი (46. ბროკი).

**გოლები:** 1:0 ნოვაკოვიჩი (6), 1:1 ფელონი (20), 2:1 ნოვაკოვიჩი (30), 3:1 კირმი (44)

**მაყურებელი:** 10 965

**ჰოლანდია–უნგრეთი 6:1**

**ჰოლანდია:** სტეკელენბურგი, ვან ბრონკჰორსტი, ჰეიტინგა (60. ოიერი), მატიისენი, ვან დერ ვიელი, ვან დერ ვაარტი, ვან ბომელი (79. დე ზეუვი), დე იონგი, სნეიდერი (73. ელია), კოუიტი (46. რობენი (80. აფელაი)), ვან პერსი (68. ჰუნტელაარი).

**გოლები:** 0:1 ჟუჟაკი (6), 1:1 ვან პერსი (22), 2:1 სნეიდერი (56), 3:1 რობენი (64), 4:1 ვან ბომელი (71), 5:1 ელია (75), 6:1 რობენი (78)

**მაყურებელი:** 50 000

**სამხ. აფრიკა–დანია 1:0**

**სამხ. აფრიკა:** ხუნე, მოკოენა, ტჰლავა, ხუმალო, ნგკონგკა, პიენაარი (64. მორირი), ჩაბალალა, მოდისე, დიკგაკოი, ლეცოლონიანე, მფელა (81. დევიდსი).

**დანია:** ანდერსენი, კრიოლდრუპი, იაკობსენი, აგერი (69. კვისტი), ს. პოულსენი (33. მტილიგა), გრონკიაერი (62. ენევოლდსენი), კ. პოულსენი, რომედალი, ი. პოულსენი (46. იენსენი), იორგენსენი (73. ლარსენი), ტომასონი (57. ბეკმანი).

**გოლი:** 1:0 მფელა (75)

**მაყურებელი:** 25 000

**აშშ–ავსტრალია 3:1**

**აშშ:** ჰოვარდი (46. ჰანემანი), ჩერონდოლო, ბოკანეგრა (55. ბორნსტეინი), დიმერიტი, გუდსონი (63. ონიეუ), დემპსი (82. გომესი), ბრედლი, კლარკი, დონოვანი, ბადლი (79. ბიზლი), ფინდლი.

**ავსტრალია:** შვარცერი, ნილი, მური, ჩიპერფილდი, კეჰილი (46. ვალერი), გარსია, უილკშირი, კულინა (61. ვიდოშიჩი), გრელა, ბრეშანო, კენედი.

**გოლები:** 1:0 ბადლი (19), 1:1 კეჰილი (19), 2:1 ბადლი (31), 3:1 გომესი (90)

**მაყურებელი:** 6 000

**განა–ლატვია 1:0**

**განა:** აგიეი, მენსა (59. მენფა), ვორსა, ინკომი, ადი, კ. ბოატენგი (67. დ. ბოატენგი), აიევი (83. ამოა), ანანი, გიანი (46. ადია), ტაგოე (59. ქვინსი), ასამოა (59. აპია).

**გოლი:** 1:0 ქვინსი (89)

**მაყურებელი:** 5 000

**სლოვაკეთი–კოსტა რიკა 3:0**

**სლოვაკეთი:** მუხა, ზაბავნიკი, ჩეხი (46. პეკარიკი), შკრტელი (16. სალატა), სრტბა (46. კოპუნეკი), ძიურიცა, ვეისი, ჰამშიკი (46. საპატა), სტოხი, ვიტეკი, შესტაკი.

**გოლები:** 1:0 სეგურა 16 (ს. კ.), 2:0 ვიტეკი (47), 3:0 შესტაკი (86).

**მაყურებელი:** 12 000

**ალჟირი–არაბთა გს 1:0**

**ალჟირი:** ჩაუჩი, იაჰია, ბელჰაჯი, ბულერა, ჰალიჩე, მანსური (67. კადირი), ზიანი, ლასენი (77. გუედიურა), მატმური (88. აბდუნი), ჯებური (64. ბუდებუზი), ლეზალი (64. საიფი).

**გოლი:** 1:0 ზიანი (51-პენ)

**რუმინეთი–ჰონდურასი 3:0**

**ჰონდურასი:** ესკობერი, ბერნარდესი (40. ჩავესი), ფიგეროა, მენდოსა, ისაგირე, ხ. ლეონი (59. პავონი), გევარა (46. ტომასი), პალასიოსი (67. ტურსიოსი), ნუნიესი (46. ესპინოსა), სუასო (38. მარტინესი), ველკომი.

**გოლები:** 1:0 ნიკულაე (20), 2:0 ფლორესკუ (45), 3:0 რადოი (76-პენ)

**მაყურებელი:** 1 500

**სერბეთი–კამერუნი 4:3**

**სერბეთი:** სტოიკოვიჩი, ლუკოვიჩი, ივანოვიჩი, სუბოტიჩი, ობრადოვიჩი (46. კოლაროვი), სტანკოვიჩი, კრასიჩი (62. მრძა), მილიაში (46. პეტროვიჩი), იოვანოვიჩი (68. ტოშიჩი), ჟიგიჩი (46. ლაზოვიჩი), პანტელიჩი (57. ნინკოვიჩი).

**კამერუნი:** ჰამიდუ, ასუ-ეკოტო, ბასონგი, ნკულუ (64. იდრისუ), მაკუნი, მბია, ნგუემო, მანჯეკი (46. ჯერემი), ვებო (64. მატიპი), ჩუპო-მოტინგი (77. ბონგი), აბუბაკარი (46. ემანა).

**გოლები:** 0:1 ვებო (5), 1:1 კრასიჩი (16), 1:2 ვებო (20), 2:2 სტანკოვიჩი (25), 3:2 მილიაში (44-პენ), 4:2 პანტელიჩი (45), 4:3 ჩუპო-მოტინგი (67)

**მაყურებელი:** 25 000

წინასამუნდიალო ამხანაგური თამაში საჭირო, მაგრამ ძვირი სიამოვნებაა - აქ ფინანსურ მხარეს არ ვგულისხმობთ, ცხადია... „ამსტერდამ არენაზე" ჰოლანდიის ნაკრებმა უნგრეთის გუნდი 6:1 დაანგრია, მაგრამ, სავარაუდოდ, **არიენ რობენი** დაკარგა. გუნდის ლიდერი მეორე ტაიმში შევიდა მოედანზე, ორი გოლიც გაიტანა, მაგრამ თამაშის დასრულებამდე 12 წუთით ადრე კუნთი დაიზიანა და მოედნიდან გასაყვანი გახდა.

გუშინ ჰოლანდიის ნაკრები იოჰანესბურგში რობენის გარეშე გაფრინდა, მაგრამ ყველაფერი დაკარგული ჯერ არ არის, არიენი ინტენსიურ შემოწმებას გადის ამსტერდამის კლინიკაში, ექიმთა ვერდიქტს კი დღეს უნდა ველოდოთ, შეძლებს თუ არა გუნდის ლიდერი მუნდიალზე თამაშს. **ბერტ ვან მარვიიკმა** განაცხადა, რომ თუკი რობენის თამაში გამოირიცხება, ეს გუნდისთვის უდიდესი დარტყმა იქნება: *„ამას მერჩივნა მატჩი 1:6 მე წამეგო, ოღონდ არიენს არაფერი მოსვლოდა. მისი ტკივილი აუტანელი იყო, ეს კი ცუდის ნიშანია, თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავ. ვნახოთ, რას იტყვიან ექიმები"*.

მართალია, „არენაზე" ანგარიში ჰოლანდიაში მოთამაშე **ბალაშ ჟუჟაკმა** გახსნა, მაგრამ ჰოლანდიელებმა პსვ-ს შემტევის გოლს ექვსით უპასუხეს, აქედან ხუთი გოლი მასპინძლებმა მეორე ტაიმში გაიტანეს. ჟუჟაკმა საჯარიმოს მისადგომთან **შანდორ ტორგელეს** შორეული პასი მიიღო და ჩვეულ სტილში, უძლიერესი დარტყმით **მაარტენ სტეკლენბურგის** კარის მარცხენა კუთხეში გაიტანა. მასპინძლებმა 22-ე წუთზე გაათანაბრეს, როცა ლივერპულელმა **დირკ კოუიტმა** მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა, გოლი კი **რობინ ვან პერსიმ** შეაგდო - 1:1.

პირველი ტაიმი ისე მორჩა, კაცი ვერ იფიქრებდა, რომ „ორანჟი" მეტოქეს ბართლომეს ღამეს მოუწყობდა მეორეში, მაგრამ გამოვიდა რობენი და **მარტონ ფულოპის** კარში გოლების წვიმა ვნახეთ. ჯერ **ჯოვანი ვან ბრონკჰორსტის** პასით **ვესლი სნეიდერმა** ახლო მანძილიდან დააწინაურა თავისიანები, შემდეგ იმავე ვან ბრონკჰორსტმა რობენს უპასა საგოლედ, შემდეგ არიენმა „კედელი" **ვან ბომელთან** გაითამაშა და ამ უკანასკნელმა ანგარიში გამანადგურებელი გახადა, თავი გამოიჩინა შეცვლაზე შესულმა **ელერო ელიამაც**, შემდეგ კი ისევ რობენმა - 6:1. მოკლედ, ყველაფერი ბრწყინვალედ იყო, „არენა" ზეიმობდა და...

ჩვეულებრივ სპარინგმატჩს სულ სხვა დატვირთვა აქვს და იშვიათია, რომ შეხვედრა ორმხრივი შეტევებით და მრავალგოლიანი გამოდგეს, თუმცა როცა შეხვედრას „ცრვენა ზვეზდაზე" ნიშნავ, ყველა მატჩი, და მათ შორის ამხანაგურიც, ომია. ასე იყო ამჯერადაც - სერბეთისა და კამერუნის ნაკრებებმა შემტევი ფეხბურთი აჩვენეს 25 ათას გულშემატკივარს და 90 წუთში 7 გოლის გატანა მოასწრეს - 4:3 სერბეთის სასარგებლოდ.

სტადიონზე, რომელსაც „მარაკანასაც" უწოდებენ, მასპინძელთა გუნდი ორჯერ იყო მდევრის როლში, მაგრამ ორჯერვე შეძლო გათანაბრება და თამაშის მოგება. ეს გუნდს ბრწყინვალე განწყობას დაუბევებს მუნდიალის წინ. „მალიორკას" ფორვარდმა **პიერ ვებომ** თავით ორჯერ დააწინაურა გუნდი პირველივე ტაიმში, მაგრამ **რადომირ ანტიჩის** გუნდიდან **მილოშ კრასიჩმა** და **დეიან სტანკოვიჩმა** ორჯერვე გაათანაბრეს. მატჩის ბედი ტაიმის მიწურულს გადაწყდა, როცა ჯერ „ვულვერჰემპტონის" ნახევარმცველმა **ნენად მილიაშმა** პენალტით დააწინაურა თავისიანები, შემდეგ კი ერთ წუთში **მარკო პანტელიჩმა** ანგარიში 4:2 გახადა.

მეორე ტაიმის შუაწელს „ჰამბურგის" აფრიკელმა ფორვარდმა **ერიკ ჩუპო-მოტინგმა** ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ სტუმრებმა გათანაბრება ველარ შეძლეს.

იოჰანესბურგში „სოკერ სიტიზე" „ბაფანა ბაფანამ" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა დანიის ნაკრები - 1:0. სამხრეთაფრიკელთა ფორვარდმა **კატლეგო მფელამ** ბოლო სამ მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა, მან მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გამოიჩინა თავი. **კარლოს ალბერტო პარეირას** გუნდი მეტ ამხანაგურ მატჩს აღარ გამართავს, ამის შემდეგ 11 ივნისის შეხვედრაა მექსიკის ნაკრებთან, რომლითაც მუნდიალი იწყება.

გენერალურ რეპეტიაციას ბრაზილიელი მწვრთნელი მობილიზებული გუნდით შეხვდა, მან 11-დან 8 ისეთი ფეხბურთელი დააყენა სასტარტოში, რომელთა კვლავ გამოჩენა იმავე „სოკერ სიტიზე" რამდენიმე დღეში ეჭვს არ იწვევს. ნოემბრის შემდეგ სამხრეთ აფრიკის ნაკრებმა არ იცის, რა არის წაგება.

„ლოს ანჯელეს გალაქსის" ფორვარდმა **ედსონ ბადლმა** ავსტრალიის ნაკრების კარში გატანილი ორი გოლით სერიოზული განაცხადი გააკეთა შაბათს ინგლისის ნაკრების წინააღმდეგ მატჩის სასტარტოში დასამკვიდრებლად, ამერიკის ნაკრებმა კი რუდეპურტში 3:1 მოუგო „სოკერუს". ბადლი გამორჩეული ახალგაზრდა იყო და მასზე ამერიკაში დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ რამდენიმე მძიმე ტრავმამ მისი კარიერა შეაფერხა, რუდეპურტში მან კარიერაში პირველი გოლი გაიტანა ეროვნულ ნაკრებში, რომელსაც რამდენიმე წუთში მეორეც მიაყოლა.

განის ნაკრები ინგლისში ემზადებოდა, სადაც მორიგ სპარინგში 1:0 მოუგო ლატვიის ნაკრებს. გამარჯვების გოლი თამაშის მიწურულს შეცვლაზე შესულმა **ქვინსი ოვუსუ-აბეიემ** გაიტანა.

სლოვაკეთის ნაკრებმა დამაჯერებლად, 3:0 მოუგო კოსტა რიკის გუნდს, მაგრამ თამაშის შემდეგ სლავთა ბანაკში გლოვა იყო სიხარულის ნაცვლად - მე-16 წუთზე „ლივერპულის" მცველმა და ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა **მარტინ შკრტელმა** კოჭის ტრავმა მიიღო, რომელიც მას, სავარაუდოდ, მუნდიალს გამოაკლებს. ექიმებს ეიმედებათ, რომ მცველი მაინც მოასწრებს გამოჯანმრთელებას, რადგან რენტგენმა მოტეხილობა არ აჩვენა.

„ლუდსკიზე" სლოვენიის ნაკრები მშობლიურ გულშემატკივარს ახალი ზელანდიის 3:1 დამარცხებით გამოემშვიდობა და სამხრეთ აფრიკაში გამარჯვებული გაემგზავრა. დუბლი შეასრულა „კიოლნის" ფორვარდმა **მილივოიე ნოვაკოვიჩმა**.

ჰონდურასის ნაკრები მუნდიალისთვის ავსტრიაში ემზადება და სწორედ იქ დამარცხდა დიდი ანგარიშით რუმინეთის ნაკრებთან - 0:3. იანვრის შემდეგ ცენტრალური ამერიკის ნაკრებს არ გაუმარჯვია, ჰონდურასი უბრალოდ არ არის მზად მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. კიდევ ერთმა სავარაუდო აუტსაიდერმა ალჟირის ნაკრებმა კი ზედიზედ 4 წაგებული მატჩის შემდეგ მოიგო, თუმცა მისი მეტოქე საკმაოდ სუსტი არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრები იყო, გამარჯვების გოლი კი მეორე ტაიმის დასაწყისში **ქარიმ ზიანიმ** პენალტის ნიშნულიდან გაიტანა - 1:0.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ...მაგრამ ლიპი მაინც კმაყოფილია

**შვეიცარია–იტალია 1:1**

**შვეიცარია:** ბენალიო (46. ვოლფი) - ლიხტშტაინერი, გრიხტინგი, სენდეროსი, ციგლერი (81. მანინი) - ბეჰრამი (57. ბარნეტა), ინლერი, ჰუგელი, ფერნანდესი (88. შაქირი) - ნკუფო (68. დერდიოკი), ფრაი (75. იაკინი).

**იტალია:** მარკეტი - მაჯო, კიელინი, ბოკეტი, ძამბროტა (81. კრიშიტო) - გატუზო (86. იაკუინტა), პალომბო (89. დე როსი), მონტოლივო - კვალიარელა (66. დი ნატალე), კოსუ (46. პეპე) - პაცინი (77. ჯილარდინო).

**გოლები:** 1:0 ინლერი (10), 1:1 კვალიარელა (15)

იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა სულ რამდენიმე დღეში ორი ამხანაგური მატჩი გამართა და ვერც ერთში ვერ მოიპოვა გამარჯვება. მართალია, ამ შემთხვევაში „აძურა" არ დამარცხებულა, მაგრამ გვეეჭვება, გულშემატკივრებს ეს დამშვიდების საფუძველს აძლევდეს. კი ბატონო, ეს მხოლოდ ამხანაგური მატჩებია, მაგრამ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, თითოეულ გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

**მარჩელო ლიპიმ** ფაქტობრივად მთლიანად შეცვალა შემადგენლობა და იმ ფეხბურთელებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, რომლებიც მექსიკასთან სათადარიგოთა სკამზე დარჩნენ. თუ ჩრდილოამერიკელებთან დაცვის ცენტრი **ფაბიო კანავარომ** და **ლეონარდო ბონუჩიმ** გაამაგრეს, ამჯერად, ეს როლი **ჯორჯო კიელინისა** და **სალვატორე ბოკეტის** დაეკისრათ. საგულისხმოა, რომ კანავარო-კიელინის ტანდემს არ მიეცა თამაშის საშუალება, არადა, ყველა ლოგიკით, მუნდიალზე ძირითადში სწორედ მათ უნდა ისასპარეზონ. კიელინის მიკროტრავმა ჰქონდა და მექსიკასთან ასპარეზობა ვერ შეძლო - ამიტომ, ლიპიმ კანავაროს ბონუჩი შეუწყვილა. თუ მექსიკელებთან მარჯვენა მცველი **ჯანლუკა ძამბროტა** იყო, ამჯერად ამ პოზიციაზე **კრისტიან მაჯო** გაისარჯა. სასტარტოში იყო ძამბროტაც, რომელიც მარცხენა ფლანგზე ასპარეზობდა.

ნახევარდაცვაში ველარ ვიხილეთ **ანდრეა პირლო, დანიელე დე როსი** და **კლაუდიო მარკიზიო**. ძირითადში იასპარეზეს **ანჯელო პალომბომ, ჯენარო გატუზომ** და **რიკარდო მონტოლივომ**. რაც შეეხება თადასხმას, ამჯერად რეზერვში გახლდათ **ანტონიო დი ნატალე**, ისევე როგორც **ალბერტო ჯილარდინო** და **ვინჩენცო იაკვინტა**. ლიპიმ ფლანგებზე **ფაბიო კვალიარელა** და **ანდრეა კოსუ** გაამწესა, ცენტრფორვარდის პოზიციაზე კი **ჯამპაოლო პაცინი**. კოსუს გამოჩენა ალბათ ბევრს გაუკვირდა, რადგან სარდინიელი 23-კაციან განაცხადში ვერ მოხვდა. საქმე იმაშია, რომ მას შემდეგ, რაც **მაურო კამორანეზიმ** და ანდრეა პირლომ ტრავმები მიიღეს და მუნდიალზე გამგზავრება სათუო გაიხადეს - გამომდინარე აქედან, კოსუს იტალიაში გაბრუნება მიზანშეუწონლად ჩაითვალა და ის ჯერაც ნაკრებთან ერთად ვარჯიშობს და როგორც ხედავთ, თამაშობს კიდეც. თუ კამორანეზი ან პირლო სამუნდიალო განაცხადიდან ამოვარდა, „კალიარის" შემტევს მისალოცად ექნება საქმე.

» მე-8 გვერდზე


სერ ბობი ჩარლტონი მიიჩნევს, რომ ინგლისის ნაკრებს მუნდიალის მოგების სერიოზული შანსი აქვს

# ლეგენდა მსჯელობს...

## მარტო რუნი თავდასხმაშიც ბრალიაო

„ერთადერთი რამ არ მომწონს ინგლისის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელის ფაბიო კაპელოსი და ეს უეინ რუნის პოზიცია გახლავთ. მე არ მომწონს როგორ იყენებს კაპელო ამ ფეხბურთელს, უეინი ძალიან მიყვარს. ის გადასარევი ადამიანი და საუცხოო ფეხბურთელია. გარდა ამისა, მე მისი წარმატება განსაკუთრებით მაინტერესებს, რადგან ის ჩემი კლუბის „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრია. უეინი დაბადებულია, რათა ინგლისის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი გახდეს და უახლოეს წლებში მსოფლიო ფეხბურთის გამორჩეულ ვარსკვლავად ჩამოყალიბდეს. მე ბედნიერი ვარ, როდესაც ვისმენ, როგორ ასახელებენ მას წარსულის ისეთი დიდი ვარსკვლავების მხარდამხარ, როგორებიც იყვნენ პელე და ეუსებიო, მაგრამ ვშიშობ, რომ სამხრეთ აფრიკაში მან შეიძლება თავი ვერ გამოიჩინოს, რადგან კაპელო გუნდის ერთადერთ თავდამსხმელობას ავალებს. ვფიქრობ, ასეთი დავალება ბიჭზე მეტისმეტად დიდი ტვირთის აკიდებას ნიშნავს, რომელიც მან შეიძლება ვერ ზიდოს. რასაკვირველია, ყველამ ვნახეთ, რა საუცხოოდ შეასრულა ერთადერთი თავდამსხმელის როლი რუნიმ გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატი სხვაა. თუ ჩვენ სამხრეთ აფრიკაში ტიტულის მოპოვებაზე ვლაპარაკობთ, ესე იგი დედამიწის საუკეთესო მცველების და დაცვის სისტემების დაჯაბნა მოგვიწევს. ბოლო ასეთი რამის ერთი ფეხბურთელისთვის დავალება - მნიშვნელობა არ აქვს, რამდენად ძლიერია ის - სხვათა დახმარების გარეშე, მეტისმეტად სარისკო რამ არის“, - წერს თავის მიმოხილვაში ინგლისური ფეხბურთის ლეგენდა, მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონი და „მანჩესტერ იუნაიტედის“ დიდების დარბაზის მთავარი ფიგურა სერ **ბობი ჩარლტონი**.

ჩარლტონი ამბობს, რომ სწორად დახმარების შემთხვევაში რუნი ზუსტად ის კაცი იქნება, ვინც ინგლისის ნაკრებისთვის გადამწყვეტ გოლებს გაიტანს, მაგრამ როგორი უნდა იყოს ეს დახმარება? ვინ უნდა ამოუდგეს რუნის მხარში?

„კაპელომ სამხრეთ აფრიკაში ორი ზორბა თავდამსხმელი, ემილ ჰესკი და პიტერ კრაუჩი წაიყვანა. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მწვრთნელის ვარაუდით, მის გუნდს რაღაც მომენტში მეტოქის კარისკენ უფრო მარტივი შეტევების წამოწყება მოუწევს. ამ ორი ფორვარდიდან, ფიზიკურად ჰესკი უფრო ძლიერია, კრაუჩს კი ბურთთან რბილი მოპყრობა სჩვევია და გოლებიც ჰესკიზე ხშირად გააქვს. მაგრამ მე მაინც დიდ ბოდიშს მოვიხდი და ვიტყვი, რომ ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატზე პრემიერლიგის გუნდების დაცვას არ უნდა ვებრძოლოთ. ახლა ჩვენ უმაღლეს დონეზე გავდივართ და უეინისთვის კრაუჩის ან ჰესკის მიშველება მის ბრძოლაში მარტო შეგდებას გაცილებით აჯობებს. ვგონებ, ეს უფრო მნიშვნელოვანი უნდა იყოს, ვიდრე ნახევარდაცვიდან სტივენ ჯერარდის ან ფრენკ ლემპარდის პერიოდული დახმარება, როდესაც ისინი შეტევაში წასასვლელად მოიცლიან. ვიმეორებ, უეინი ფანტასტიკური ფეხბურთელია, მაგრამ თუ კარგად გახსოვთ, ოთხი წლის წინ, მოფლიოს წინა ჩემპიონატზე, პორტუგალიასთან შეხვედრაში ჩვენ უკვე ვცადეთ ფონს მხოლოდ მისი დახმარებით გასვლა და შეჯიბრებასაც გამოვეთიშეთ“.

ბობი ჩარლტონი უეინ რუნის კარგად იცნობს და დარწმუნებულია, რომ „იუნაიტედის“ ფორვარდი ნებისმიერ ზეწოლას გაუძლებს. სხვა სიტყვებით, იგი ფსიქოლოგიურად მზად არის, მაგრამ პორტუგალიასთან ხსენებული თამაშის ყოველი გახსენება ლეგენდარულ ფეხბურთელს არწმუნებს, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელისთვის მეტოქის დაცვის მარტო გარღვევის დავალება სისულელე იყო.

„როდესაც უეინს „მანჩესტერ იუნაიტედის“ მაისურა აცვია, მის ტემპერამენტზე არ ვდარდობ, მაგრამ რამდენადაც შევატყვე, ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში ის გარკვეულ მომენტებში თავშეკავებული ვერ არის. შორს ნუ წავალთ, ის იაპონიასთან, ბოლო ამხანაგური თამაშის დროსაც გამოვიდა წყობიდან. სერ ალექს ფერგიუსონი უეინს ფიცხელი ეპიზოდების შემდეგ ათამდე დათვლას ავალებს. იქნებ, კაპელომ ოცამდე დაათვლევინოს... რამდენჯერმე მე რუნის ვუთხარი, რომ მან „უემბლიზე“ თამაშის დროს უნდა იფიქროს შორეულ 1966 წელზე, როდესაც ბობი მურმა მსოფლიოს თასი აღმართა, თუმცა, კაპელოს გუნდისთვის ბრწყინვალების მომენტი 11 ივლისს იოჰანესბურგში უნდა დადგეს. თასი ამჯერად სტივენ ჯერარდმა უნდა აღმართოს. და რა სამწუხაროა, რომ დაშავდა რიო ფერდინანდი, რომლისთვისაც ეს მსოფლიოს ბოლო ჩემპიონატი იქნებოდა. რად უნდა ლაპარაკი, რომ ფერდინანდის ტრავმა კაპელოსთვის დიდი დანაკლისია. გუნდს მისი გავლენა ძალიან დააკლდება და ეს გასულ სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედმა“ საკუთარ კისერზე იწვნია. დარწმუნებული ვარ, რიო ტრავმებს რომ არ დაეტანჯა და მთელი სეზონი მოედანზე სრული დატვირთვით გაეტარებინა, „იუნაიტედი“ პრემიერლიგის ჩემპიონი გახდებოდა. ძალიან კარგად ვიცი, რომ იგი სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ნაკრების კაპიტნის რანგში გამგზავრებასა და თამაშზე ოცნებობდა. მას სწამდა, რომ იღბალი არ მიატოვებდა და სეზონის განმავლობაში მიღებული ტრავმების შემდეგ უკეთესი მომავალი ელოდა. ახლა ის ვეღარ ითამაშებს და მისი არყოფნა ინგლისური ფეხბურთის მეორე ეშელონის წარმომადგენლებს შეუმოწმებს ოსტატობას. ასეთთა შორის, მაიკლ დოუსონს პრემიერლიგაში ჩინებული სეზონი ჰქონდა და ჰარი რედნაპმა „ტოტენჰემჰოთსპური“ ჩემპიონთა ლიგაში რომ გაიყვანა, დიდწილად დაცვის ცენტრში მისი კარგი თამაშის დამსახურებაც არის. ფერდინანდის ტრავმა ჯერარდსაც მისცემს შანსს შეამოწმოს, არის თუ არა ნამდვილი კაპიტანი და ლიდერი, როდესაც საქმე უმაღლეს დონეზე თამაშს ეხება“.

ხშირად, როცა ბობი ჩარლტონს ეკითხებოდნენ, აქვს თუ არა ინგლისის ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვების შანსი, ის დადებით პასუხს აძლევდა და ამას მნიშვნელოვანწილად იმიტომ აკეთებდა, რომ უნდოდა საერთო ინგლისური განწყობის ერთგული ყოფილიყო. როდესაც ბობი ჩარლტონი ხარ, გუნდს „თავზე არ უნდა დასჩხავლო“. თუმცა, მიზეზი მარტო ეს, რასაკვირველია, არ იყო.

„ვფიქრობ, 1966 წლის შემდეგ ინგლისის ნაკრებს ასეთი კარგი შანსი არ ჰქონია. დღეს ჩვენს ეროვნულ გუნდში თავი მოიყარა ისეთმა ხალხმა, ვგულისხმობ როგორც ფეხბურთელებს, ასევე მწვრთნელს და თუნდაც ნაკრების რიგით თანამშრომლებს, რომელთაც ნებისმიერი ამოცანისთვის შეუძლიათ თავის გართმევა. დღევანდელ ინგლისის ნაკრებს ნებისმიერი მეტოქის დამარცხება ხელეწიფება. და კაპელოსაც, ისევე როგორც ჩვენს დროს სერ ალფ რამსეის (წესით, რემსი უნდა იკითხებოდეს, მაგრამ საბჭოთა კავშირში ასე იყო დამკვიდრებული და ჩვენც ძველი, ნაჩვევი ამბების გადაკეთებას ნულარ შევუდგებით) საუკეთესო ფეხბურთელებისგან მაქსიმუმის გამოწურვის უნარი აქვს. სწორედ ამიტომ ვარ იმედიანად. ჩვენ გვყავს კარგი მწვრთნელი, კარგი ფეხბურთელები და დიდი იმედი მაქვს, რომ სისტემაც კარგი გვაქვს. რამდენადაც ვაკვირდები, კაპელო ოთხი ნახევარმცველით თამაშს ცდილობს და ამ ოთხი ნახევარმცველიდან ერთი მაინც არის გარემარბი. ეს კარგია. მე ნამდვილად არ გამიხარდება, ის რამსეის 4-3-3 სისტემაზე თუ გადავა. ალფს გარემარბები არ ჰყავდა, რადგან მაშინ ინგლისში ასეთები არ იყვნენ. ასეთ სისტემაში ლემპარდი და ჯერარდი დიდებულად ჩასხდებიან. მათ მხარს ან გარეთ ბერი აუბამს ან ჯეიმს მილნერი. სისულელეა, როდესაც ამბობენ, ლემპარდი და ჯერარდი ერთად ვერ ითამაშებენო. ამ ორ ნიჭიერ მოთამაშეს ნებისმიერ როლთან შეუძლია შეგუება. მათ ეხერხებათ როგორც დაცვაში თამაში, ასევე აქცენტის შეტევაზე გაკეთება. მერწმუნეთ, სამხრეთ აფრიკაში ბევრი მწვრთნელი ინატრებს, ნახევარდაცვაში ორ ასეთ ფეხბურთელს“.

ბოლოს კი ბობი ჩარლტონი ამბობს, რომ მას ინგლისის ნაკრებისა სწამს: „ამრიგად, მსოფლიო ფეხბურთის ზეიმამდე ერთ კვირაზე ნაკლები დარჩა და ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ ისეთი შედეგით, როგორიც არის, მაგალითად, ნახევარფინალში გასვლა, მე კმაყოფილი არ დავრჩები. მეორე მხრივ ვიცი, რომ ტიტულის მოპოვება ძნელი საქმეა და მას იღბალი სჭირდება. თუმცა, ბოლო ნათქვამი ისე არ ჩამომართვათ, თითქოს უკან დასახევ გზას ვიტოვებდე. ინგლისის ნკრებს სწორედ ახლა შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონობა“!

**ილია ბაბუნაშვილი**

ინტერვიუ

დავიდ ვილია

# ტორესი და მე იდეალური წყვილი ვართ


დავიდ ვილია

**დავიდ ვილია მსოფლიო ფეხბურთის უდავოდ ერთ-ერთი კაშკაშა ვარსკვლავია. მან ახლახან „ბარსელონაში“ ხმაურიანი ტრანსფერით მიიქცია საფეხბურთო სამყაროს ყურადღება. ახლა ესპანელ მეგოლეს სხვა მიზანი აქვს - „ფურია როხასთან“ ერთად მუნდიალზე გაბრწყინება. მისი გუნდი ხომ სამხრეთაფრიკული ტურნირის ერთ-ერთი მთავარი ფავორიტია. fifa.com-მა დავიდ ვილიასთან ექსკლუზიური ინტერვიუ შემოგვთავაზა...**

**- რა არის მიზეზი ესპანეთის ნაკრების ასეთი სტაბილური თამაშისა?**

- ვფიქრობ, ჩვენი თამაშის სტილი ბოლო წლებში ჩამოვაყალიბეთ. ჩვენ უკვე სამი წელიწადია ერთად ვართ, გუნდს თავისი საფეხბურთო ფსიქოლოგია აქვს და გუნდის წევრი ყველა ფეხბურთელი იზიარებს მას. ეჭვიც არაა, რომ ამის შედეგი მინდორზე აისახება.

**- რას იტყვით მუნდიალზე ესპანეთის ნაკრების ჯგუფზე?**

- თეორიულად ამაზე ძლიერი მეტოქეები შეიძლება შეგვხვედროდა, მაგრამ არც ესენი დაგვითმობენ იოლად ქულებს. ჰონდურასის ნაკრების შესახებ ყველაზე ნაკლები ვიცით, თუმცა სოლიდური გუნდი ჩანს, რომელმაც დამსახურებულად მოიპოვა მუნდიალის საგზური. შვეიცარია ახალგაზრდული, დინამიკური ევროპული სტილის ნაკრებია. ჩემი აზრით, ყველაზე სახიფათო მეტოქე ჩილეა, მათ ბრწყინვალედ იასპარეზეს სამხრეთ ამერიკის საკვალიფიკაციო ტურნირში. ჩილე ძალიან კომპაქტური გუნდია, სახიფათო თავდასხმით.

**- გერმანია 2006-დან ყველაზე მეტად რა გახსოვთ?**

- ბრწყინვალე მოგებით დავიწყეთ, უკრაინას 4:0 ვაჯობეთ და გოლიც გავიტანე. ჯგუფური ეტაპი ბრწყინვალე იყო, მაგრამ შემდეგ საფრანგეთის ნაკრებს შევხვდით და... ვერ ვითამაშეთ სათანადოდ ამ მატჩში და ბარგის ჩალაგებამ მოგვიწია. მიუხედავად იმისა, რომ ტურნირზე სამი გოლი გავიტანე, გერმანიას გულდამძიმებული ვტოვებდი.

**- ამას კი ევრო 2008-ის ტრიუმფი მოჰყვა, იყო თუ არა ეს გამარჯვება წყალგამყოფი ესპანური ფეხბურთის ისტორიისათვის?**

- რა თქმა უნდა. ეროვნულ ნაკრებში რაც შესაცვლელი იყო, ეს თამაშის დინამიკა იყო, ევრო-2008-ზე ჩვენ ეს მოვახერხეთ. წარსულს ჩავაბარეთ ისეთი სტერეოტიპები, როგორიცაა: „ესპანეთის ნაკრები კარგად თამაშობს, მაგრამ შინ ადრე მიდის“, „ესპანეთი სუსტია პენალტების სერიაში“, „ისინი მხოლოდ ჩემპიონატამდე არიან ფავორიტები“...

**- რა განსხვავებაა ევრო 2008-ის ტრიუმფატორ და ახლანდელ გუნდებს შორის?**

- ბევრიც არაფერი. გუნდში რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელია. რაღაც-რაღაცები კი შეიცვალა, მაგრამ სტრუქტურა უცვლელია. ეს ბირთვი კიდევ დიდი ხანი შეძლებს თამაშს და ტიტულების მოგებას. გუნდი შენდება წინა წარმატებაზე.

**- მაგრამ შარშან კონფედერაციათა თასზე ყველაფერი ისე კარგად არ იყო, როგორც ესპანეთის ნაკრების გულშემატკივრებს სურთ. რა გამოცდილება მიიღეთ ამ ტურნირიდან?**

- რაც წინა ტურნირებიდან - ერთი მოდუნებაც კი გუნდის ტურნირიდან გავარდნის ტოლფასია. ნახევარფინალში ვერ შევძელით ამერიკელებთან სათანადოდ თამაში, ვერ განვეწყეთ. არ ვიტყვი, რომ ცუდად ვითამაშეთ, ბოლოს და ბოლო უამრავი საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ სიზუსტემ დაგვალალატა.

**- როგორ დაახასიათებთ თქვენი და ფერნანდო ტორესის წყვილს?**

- უკვე დიდი ხანია ერთად ვთამაშობთ. მოედნის გარეთაც ვმეგობრობთ, რაც ნამდვილად აისახება თამაშისასაც. ის სტილი, რომლითაც ის თამაშობს, საშუალებას მაძლევს ჩემი საუკეთესო თვისებები გამოვავლინო, ხოლო მისთვის მე იდეალური პარტნიორი ვარ. ერთად თამაში კარგად გამოგვდის და ეს ბევრჯერ დაგვიმტკიცებია.

**- რას იტყვით შუახაზში ანდრეს ინიესტასა და ჩავის წყვილზე, ისინი ხომ უკვე კლუბშიც თქვენი თანაგუნდელები არიან...**

- ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელები არიან, რომლებიც ერთად დიდი ხანი მოდიან, ნაკრების სათამაშო სტილი ფაქტობრივად მათი შექმნილია. მათი უპირატესობა ინსტინქტების წყალობით სხვებზე სწრაფად გადაწყვეტილების მიღებაა, ამიტომაც ბურთი მუდამ ჩვენ გვაქვს, ხოლო ჩვენს ფორვარდებს მეტი აღარაფერი დაგვრჩენია, რომ მის მისაღებად ხელსაყრელი პოზიცია შევარჩიოთ.

**- თქვენ მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე შეიცვალეთ კლუბი, ფიქრობთ, რომ საკლუბო პრობლემის გადაწყვეტა ნაადრევად მუნდიალზე დაგეხმარებათ?**

- თითქმის არასოდეს მქონია მშვიდი ზაფხული, რომელ კლუბშიც არ უნდა ვყოფილიყავი, ყოველთვის იყო სხვა გუნდი, რომელსაც ჩემი გადაბირება სურდა. ყოველთვის ვგრძნობდი ზეწოლას. ამისგან რომ გავთავისუფლდი, ძალიან მახარებს.

**- სტატისტიკა მხოლოდ ერთ გუნდს იცნობს, რომელმაც ევროპის ჩემპიონატის მოგებას, მსოფლიოს ტიტული მოაყოლა - გერმანიის ნაკრებმა 1972 და 1974 წლებში...**

- ასეთი სახის რეკორდები სწორედ იმისთვის არის, რომ ვინმემ დაამხოს. იმედია, ახლა სწორედ ჩვენი დროა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — ლიონელ მესი

# დამიჯერეთ, მარადონა ძალიან კარგი მწვრთნელია!

2006 წელს ლიონელ მესი ჯერ კიდევ ძალიან პატარა იყო. არც ახლაა ძალიან დიდი, მაგრამ 22 წლის ასაკში უკვე იმდენი რამ მოასწრო, იმდენი ტიტული მოიგო და იმდენი გოლი გაიტანა, რომ შეგვიძლია ვთქვათ: მას აქვს შანსი, რომ ეს მისი მუნდიალი იყოს. მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს გერმანული „ბილდის“ ჟურნალისტი ესაუბრა.

**- ლეო მესი, სად უნდა იზეიმოთ დაბადების დღე?**

- (იცინის) სამხრეთ აფრიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატის დროს. 24 ივნისს, ანუ ჩემს დაბადების დღეზე, ჯგუფური ეტაპი ახალი დამთავრებული იქნება.

**- არგენტინა ჯგუფში ნიგერიასთან, სამხრეთ კორეასთან და საბერძნეთთან ერთად მოხვდა. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი გუნდი ჯგუფიდან იოლად გავა?**

- მსოფლიოს ჩემპიონატზე ყველა ჯგუფი რთულია. ვფიქრობ, საბერძნეთს ნიგერიასა და სამხრეთ კორეაზე ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ, საერთო ჯამში, მიმაჩნია, რომ პრობლემები არ შეგვექმნება.

**- დიდი შანსია, რომ მეოთხედფინალში ისევ გერმანიას შეხვდეთ. 2006 წელს ბუნდესნაკრებთან დამარცხდით. ახლა ალბათ რევანში გწყურიათ...**

- თუ მართლაც ისე მოხდა, რომ მეოთხედფინალში ისევ გერმანიას შევხვდით, რა თქმა უნდა, ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შური ვიძიოთ. მეტსაც გეტყვით: ჩვენთვის ეს ნაადრევი ფინალის ტოლფასი ჯახი იქნება.

**- „ბარსელონაში“ ბრწყინვალედ თამაშობთ და კატალონიური კლუბის ქომაგები გაღმერთებენ. არგენტინის ნაკრების გულშემატკივრები კი ბევრ რამეში გადანაშაულებენ. ამ მუნდიალზე კი შანსი გაქვთ, არგენტინის ნაკრების ფანებსაც საბოლოოდ შეაყვაროთ თავი...**

- მე მხოლოდ ის ვიცი, რომ მსოფლიოს ჩემპიონობა მინდა. შესაბამისად, მინდა, ყველა არგენტინელი გავაბედნიერო. ისე კი, ათასი ადამიანი ათას აზრს ნიშნავს და არ მაინტერესებს, რას ამბობს ზოგადად ხალხი. ფაქტი ისაა, რომ მე თავს არასდროს ვზოგავ.

**- საკლუბო დონეზე ყველაფერი მოგებული გაქვთ, ნაკრებში კი ჯერ ვერაფერი მოახერხეთ...**

- მუნდიალი ჯერ არ დაწყებულა და სიმართლე გითხრათ, ყოველ წამს მსოფლიოს ჩემპიონობაზე არ ვფიქრობ. ჩემი მიზანი ის არის, რომ კარგად ვითამაშო და საკმარისი გოლები გავიტანო იმისათვის, რომ არგენტინა ჩემპიონი გახდეს.

>> მე-9 გვერდზე


ლეო მესი და დიეგო მარადონა

28 მაისიდან




95 წლის ვეტერანის წერილი პრეზიდენტს

ყმაწვილო, გთხოვთ ყურად იღოთ ერთი ბებრუკი კაცის რჩევა...

...განადგურებული და აღშფოთებული ვარ, არ მსურს ჩემი ქვეყანა ჩემზე ადრე მოკვდეს, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ ტყავიდან ძვრებით ისე ცდილობთ, რომ ეს უბედურება რაც შეიძლება მალე მოხდეს...

...ვფიქრობ და ვერ გამიგია, რომელი ქვეყნის პრეზიდენტი ბრძანდებით? მთელ მსოფლიოში დაფრინავთ და ჩვენს მტერ-მოყვარესთან უბადრუკ აზრებს აფრქვევთ...

...სრულად იხილეთ ჟურნალში

ტანკები აფხაზეთის ომში

უცნაური პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი „გეკოს“ ვაზნებით

რუსული არმიის ფსიქოლოგიური მზადება ახალი ომისთვის?

ვინ იყო ჰუგო შმაისერი?..

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

ამხანაგური მატჩი


ფაბიო კვალიარელას საგოლე შეტევა

# ...მაგრამ ლიპი მაინც კმაყოფილია

<< მე-6 გვერდიდან

დროა, ორიოდე სიტყვა თამაშზე ვთქვათ. სწორედაც რომ ორიოდე სიტყვა, რადგან სათქმელი ბევრი არაფერია. ორივე გოლი შეხვედრის სტარტზე გავიდა - მეათე წუთი მიმდინარეობდა, როცა **ინლერი** ცენტრიდან მეტოქის საჯარიმოსკენ დაიძრა, გზად ერთი მეურვე ჩამოიცილა და უძლიერესი დარტყმით **ფედერიკო მარკეტის** შანსი არ დაუტოვა - 1:0. საპასუხო გოლი იტალიელებმა ხუთიოდე წუთში გაიტანეს - მარცხენა ფრთიდან გაჭრილ იერიშს, საჯარიმოში ჩაწოდება მოჰყვა, კვალიარელას თავური მცველმა მოიგერია, თუმცა დამატებაზე კვლავ იტალიელმა ითამაშა და ანგარიში საყაიმო გახადა - 1:1. კვალიარელამ მართლაც მებრძოლი ხასიათი გამოავლინა და გოლიც მეტად ეფექტური გაიტანა. ნამატჩევს ლიპიმ ასეთი რამეც კი თქვა - ეს ის კვალიარელაა, რომელიც მჭირდებაო. ლიპის მატჩის შემდგომ კომენტარებს კიდევ დავუბრუნდებით, მანამდე კი ტაქტიკურ სქემაზე ვთქვათ.

უკვე ორი თამაშია, მარჩელო 4-3-2-1-ით ასპარეზობს, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე სწორედ ასეთი სქემით მოასპარეზე „სკუადრა აძურას“ ვიხილავთ. გასაკვირიც კია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ 180 წუთის განმავლობაში, მაესტროს ერთხელაც არ შეუცვლია ტაქტიკა და არ გადაუყვანია გუნდი, მაგალითად 4-4-2-ზე. შვეიცარიელებთან პაექრობაში ყველაფერი ძალზედ მარტივად მოხდა და ამაში დასარწმუნებლად, შეგვიძლია შეცვლებს გადავხედოთ. ანდრეა კოსუ **სიმონე პეპემ** ჩაანაცვლა და სწორედ მის პოზიციაზე, გარემარბად გაისარჯა. ზუსტად იგივე შეიძლება ითქვას ანტონიო დი ნატალეს მიერ ფაბიო კვალიარელას შეცვლაზე. პაცინის მაგივრად მოედანზე ჯილარდინო გავიდა და გასაგებია, რომ აქაც არ მომხდარა ტაქტიკური გადაადგილება. მარცხენა მცველად მოასპარეზე ძამბროტა სწორედ ამ ამპლუის **კრიშიტომ** შეცვალა, ცეტრალური ნახევარმცველი პალომბო კი ამავე პოზიციის დე როსიმ. შეხვედრის მიწურულს, თავდამსხმელმა იაკუინტამ შუახაზელი გატუზო შეცვალა, მაგრამ არც აქ დარღვეულა ბალანსი - გარემარბად გამწესებულმა პეპემ დაიწია უკან, ადგილი ვინჩენცოს დაუთმო და თვითონ რინოს ადგილი შეავსო. ერთი სიტყვით, ისეთი პირი უჩანს, რომ მუნდიალზე იტალია 4-3-2-1 ტაქტიკით იასპარეზებს.

შეხვედრის პერიპეტიებზე საუბარი ფაქტობრივად შეუძლებელია, რადგან გუნდებმა დიდი ვერაფერი ფეხბურთი აჩვენეს. ვინც ამ შეხვედრას თვალი მიადევნა, დარჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ერთმანეთის წინაშე ორი აბსოლუტურად თანაბარი ძალის გუნდი იდგა. ორივე გუნდმა ორგანიზებული ფეხბურთი ითამაშა, თუმცა არ ჩანდა იმპროვიზაცია და კრეატივი. შესაბამისად, შეხვედრა სანახაობრივი თვალსაზრისით მეტად ღარიბი გამოდგა. მიუხედავად ამისა, ლიპი მეტად კმაყოფილი დარჩა და შეგირდების მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა:

*„ბევრი ალბათ ფიქრობს, რომ შვეიცარიას იტალია-2 დავუპირისპირე, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. უბრალოდ, მსურდა თითოეული ფეხბურთელი მენახა საქმეში, რათა ზუსტად ვიცოდე, ვინ როგორ კონდიციაშია. მთლიანობაში ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან შეგირდებმა ჩემი დავალებები პირნათლად შეასრულეს. თითოეულმა მოთამაშემ კარგად იცოდა, თუ რას აკეთებდა მოედანზე, რაც წარმატების მთავარი ფორმულაა. შედეგი? - არა მგონია, რომ ამხანაგურ შეხვედრაში შედეგს არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს, მაგრამ, რომ არ დავმარცხდით, ეს ნამდვილად კარგია. რაც შეეხება კვალიარელას, მან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, რაც ფსიქოლოგიური თვალსაზისით წაადგება. ისეთი ფაბიო ვიხილე, როგორიც მუნდიალზე მინდა, რომ ვნახო“.*

ლიპის ერთ ინციდენტზეც მოუხდა საუბარი, რომელზეც იტალიაში უკვე ორი დღეა ლაპარაკობენ. ეს იმდენად შიდაიტალიური საკითხია, რომ თემას მაინცდამაინც არ განვავრცობთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით კი შევეხებით. საქმე იმაშია, რომ იტალიის ეროვნული ჰიმნის შესრულებისას, სათადარიგო სკამზე მყოფმა კლაუდიო მარკიზიომ უშნოდ იხუმრა და ტექსტს თავისებური ინტერპრეტაცია მისცა. ანუ, იტალიის ჰიმნის შესრულებისას სიტყვა ქურდი გააჟღერა. რა შინაარსი აქვს ამ ყველაფერს, ცოტა რთული სათქმელია, მაგრამ ფაქტია, რომ იტალიაში, განსაკუთრებით კი დედაქალაქში, ბევრი აღშფოთდა. ვიდეოფირზე კარგად ჩანს, რომ მარკიზიოს ამ „ხუმრობამ“ კანავარო და იაკვინტა ძალიან გაამხიარულა. თავად ფეხბურთელი აცხადებს, რომ სულ სხვა რამ თქვა და არაფერი უხამსი მის საქციელში არ ყოფილა. ლიპიმ მარკიზიო ყოველმხრივ შეაქო, შესანიშნავი ახალგაზრდა და ნამდვილი პატრიოტიაო.

ახლა კი იტალიელი ჟურნალისტების მიერ „აძურას“ ფეხბურთელთა მოკლე შეფასებას გაგაცნობთ. ვფიქრობთ, მოახლოებული მუნდალის წინ ეს საინტერესო უნდა იყოს:

**მარკეტი (6 ბალი)**: ბევრი საქმე არ ჰქონია, ერთხელ დაურტყეს სახიფათოდ და იმ ეპიზოდში უძლური აღმოჩნდა. თუმცა, გამოსვლებზე ითამაშა ძალიან კარგად და მცველებსაც უნარიანად კარნახობდა.

**ძამბროტა (6)**: შეეძლო ხელი შეეშალა ინლერისთვის, რომელმაც მეათე წუთზე გოლი გაიტანა. თუმცა, მთლიანობაში უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე მექსიკასთან პაექრობაში.

**კიელინი (6.5)**: კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ნათლად გამოჩნდა, რომ ნაკრებისთვის საჭირო ფეხბურთელია. არაერთხელ დააზღვია ბოკეტი, რომელმაც რამდენიმე პოზიციური შეცდომა დაუშვა.

**ბოკეტი (6)**: ზემოთაც ვთქვით, რომ ბოკეტიმ რამდენიმე შეცდომა დაუშვა. მონდომებული იყო და თითქმის ყველა ორთაბრძოლა მოიგო, მაგრამ პოზიციის შერჩევასთან პრობლემები ჰქონდა.

**მაჯო (6.5)**: დამაჯერებლად ითამაშა და ფლანგი საიმედოდ გადაკეტა. მართალია, შეტევებში ჩართვა უჭირდა, მაგრამ მისგან ამას არც ითხოვს. დიდია შანსი, მუნდიალზე ძირითადში იასპარეზოს.

**გატუზო (6.5)**: კარგი შთაბეჭდილება დატოვა, რასაც ბევრი არ მოელოდა. მეტოქის არაერთი იერიში ჩაშალა და მუდამ იქ იყო, სადაც გუნდს სჭირდებოდა.

**პალომბო (6)**: ისე ითამაშა, როგორც სჩვევია. შავი სამუშაო შეასრულა და შესაძლოა კარგადაც, მაგრამ შეტევით ფაზაში ძალიან არაპროდუქტიულია.

**მონტოლივო (6)**: ამბობენ, თუ პირლოს მუნდიალზე წასვლა გამოირიცხა, მისი როლი მონტოლივის უნდა დაეკისროსო. ჩააგდო თამაში-თქო, ვერ ვიტყვით, მაგრამ პირლოს შესაცვლელად ეს საკმარისი ნამდვილად არ არის.

**კოსუ (5.5)**: ეტყობა, ანდრეას მოტივაცია არ ეყო. თუ კამორანეზი და პირლო დროულად გამოჯანმრთელდნენ, მას სახლში მოუწევს გაბრუნება. ძალიან ინერტული იყო, ფაქტობრივად არაფერი გაუკეთებია.

**კვალიარელა (7)**: გარდა იმისა, რომ გოლი გაიტანა, ძალიან ბევრი იბრძოლა და მთლიანობაში, ნაყოფიერად გაისარჯა. ფლანგზე თამაშისთვის ნამდვილად არ არის დაბადებული, მაგრამ გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, უკან არაფერზე იხევს.

**პაცინი (5.5)**: ჰქონდა გატანის შანსი, მაგრამ ხელი მოეცარა. ერთობ ინერტული იყო, რაშიც შესაძლოა უკანახაზელებიც დავადანაშაულოთ. ნებისმიერ შემთხვევაში, მისგან მეტს ელოდებოდნენ.

**პეპე (6)**: ინერტული კოსუ შეცვალა, მაგრამ თამაშის გამწვავება ვერ შეძლო. შეხვედრის დასკვნითი ნაწილი შუახაზში გაატარა და უფრო პროდუქტიულად წარმოჩნდა.

**დი ნატალე (5.5)**: უკვე მეორე თამაშია, დი ნატალე ჩვეულ ფეხბურთს ვერ გვიჩვენებს. შვეიცარიასთანაც ბევრი ირბინა, მაგრამ განსაკუთრებული ვერაფერი გვიჩვენა.

**ალბერტო ჯილარდინო, ვინჩენცო იაკუინტა და დომენიკო კრიშიტო** - შეფასების გარეშე.

**ლაშა წიკლაური**

ინტერვიუ მიროსლავ კლოზე

# ნუ ნერვიულობთ, გოლებს გავიტან!

## მირო დარწმუნებულია, რომ ავსტრალიასთან ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს

**მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეებიღა დარჩა, გერმანიის ნაკრების გულშემატკივრები კი ძალიან ნერვიულობენ იმის გამო, რომ ბუნდესგუნდის თავდამსხმელები ცუდ ფორმაში არიან. უნგრეთთან და ბოსნიასთან ტესტ-მატჩებში იოახიმ ლიოვმა ერთადერთ ცენტრფორვარდად, ძირითად შემადგენლობაში მიროსლავ კლოზე ათამაშა - 31 წლის თავდამსხმელი, რომელსაც „ბაიერნში" ძალიან ცუდი და უშედეგო სეზონი ჰქონდა. მირომ ვერც ერთ მატჩში ვერ შეძლო იმედების გამართლება. სამაგიეროდ, მისმა კონკურენტმა კაკაუმ ბუნდესგუნდს ორივე შეხვედრაში სიცოცხლე შემატა, რის გამოც ჩვენი გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ ეს უკანასკნელი კლოზეს ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებს. არადა, კლოზე ის კაცია, ვისაც გერმანიის ნაკრების თავდამსხმელებიდან ყველაზე დიდი გამოცდილება აქვს. მსოფლიოს ჩემპიონატებზე მას 10 გოლი (2002, 2006) აქვს გატანილი. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში მირო ბუნდესგუნდის ფანებს ამშვიდებს, ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნებაო...**

**- ჰერ კლოზე, უნგრეთთან და ბოსნიასთან ძალიან ცუდად ითამაშეთ, რის გამოც უკვე მაგრად გაკრიტიკებენ. დაიწერა, რომ დიდი შანსია, მსოფლიოს ჩემპიონატზე ძირითადი შემადგენლობიდან ამოვარდეთ. გეშინიათ, რომ სასტარტოში ადგილს დაკარგავთ?**

- ის ფაქტი, რომ მაკრიტიკებენ, ჩემთვის აბსოლუტურად მისაღები და გასაგებია, მაგრამ იმასაც ვიტყოდი, რომ მხოლოდ ამ ორი თამაშით მსჯელობა არასწორია. რაც უნდა ვთქვათ, ეს ტესტ-მატჩები იყო, მოსამზადებელი პერიოდის ნაწილი. ახლა კი მხოლოდ ავსტრალიასთან მატჩზე ვარ კონცენტრირებული და 13 ივნისს მოუთმენლად ველოდები.

**- დარწმუნებული ხართ, რომ ავსტრალიასთან ძირითად შემადგენლობაში იქნებით?**

- თუ ტრავმას არ მივიღებ, ვფიქრობ, ვითამაშებ. არა მგონია, რომ იოახიმ ლიოვმა სკამზე დამსვას. ვაღიარებ, რომ ამ სეზონმა ჩემთვის ძალიან უცნაურად, უფრო სწორად, ცუდად ჩაიარა. „ბაიერნში" იშვიათად მათამაშებდნენ. მაგრამ არც ისეა საქმე, რომ გოლების გატანა თითქოს თავიდან უნდა ვისწავლო. სიმართლე გითხრათ, ყველაფერი უფრო მარტივად წარმომედგინა და ვფიქრობდი, რომ ნაკრებში ისევ ჩვეულად ვითამაშებდი, მაგრამ ორივე ამხანაგურ შეხვედრაში გამოჩნდა, რომ მეც ბევრი უნდა ვიშრომო და კარგ ფორმაში უნდა ვიყო. ბოსნიასთან ცოტა გადაღლილიც კი ვიყავი. ასე რომ, ჩემი მიზანი ახლა ფიზიკური ფორმის აღდგენაა.

**- და თქვენ ფიქრობთ, რომ 13 ივნისამდე ყველაფერი შეიცვლება?**

- თავი არასდროს დამიზოგავს და ახლაც ყველაფერს ვაკეთებ იმისათვის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ მატჩს კარგ ფორმაში მყოფი შევხვდე. იმისათვის, რომ ძველებურად ვითამაშო, მეტი აგრესიულობა და მონდომება მმართებს. ბოსნიასთან მატჩის წინ ზურგი მტკიოდა, მაგრამ ამით თავის გამართლებას არ ვცდილობ.

**- რატომ გაქვთ იმის იმედი, რომ მუნდიალის სტარტს კარგ ფორმაში შეხვდებით?**

- აქამდეც ბევრჯერ დავამტკიცე, რომ როცა საჭიროა, ყოველთვის კარგ ფორმაში ვარ. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ მუნდიალის პირველ მატჩს ძალიან კარგ ფორმაში მყოფი შევხვდები და ისევ ისე „ავფეთქდები", როგორც 2002 და 2006 წლებში.

**- ამ დაპირებაზე ფსონსაც ჩახვიდოდით?**

- რა თქმა უნდა! დაუფიქრებლად! მსოფლიოს ჩემპიონატებზე 10 გოლი მაქვს გატანილი და ჩემი მიზანია, აქტივი კიდევ რამდენიმე გოლით გავზარდო. და მე ზუსტად ვიცი, რომ ამას შევძლებ.



მიროსლავ კლოზეს მსოფლიოს ჩემპიონატებზე 10 გოლი აქვს გატანილი

**- ხომ არ გირჩევნიათ, რომ გერმანიის ნაკრებმა ორი თავდამსხმელით ითამაშოს?**

- როცა გუნდი ორი ფორვარდით თამაშობს, ცხადია, მეტოქეზე უფრო დიდი ზეწოლის განხორციელების შანსი გაქვს, ვიდრე მაშინ, როცა ერთადერთი ფორვარდი გყავს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება მწვრთნელმა უნდა მიიღოს და ჩვენ მას ვემორჩილებით. იოახიმ ლიოვმა იცის, რა დროს რა სჭირდება ნაკრებს.

**- ლიოვი წინასწარ შეგითანხმდათ, რომ ბოსნიასთან მატჩში მხოლოდ პირველ ტაიმს გათამაშებდათ?**

- არა, წინასწარ არაფერი უთქვამს.

**- არ ფიქრობთ, რომ ლიოვი იმაზე ნაკლებად გენდობათ, ვიდრე 2008-ში ან ვიდრე იურგენ კლინსმანი გენდობოდათ 2006 წელს?**

- იოგისთან საკმაოდ ხანგრძლივი და გულახდილი საუბარი მქონდა და შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა, რომ ასი პროცენტით მენდობა. მან იცის, რომ შეუძლია, მენდოს, როცა ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მე ისეთი თავდამსხმელი ვარ, რომელსაც კარგ ფიზიკურ კონდიციაში ყოფნა სჭირდება იმისათვის, რომ შედეგიანი იყოს. სწორედ ამიტომ, 13 ივნისამდე ძალიან მაგრად ვივარჯიშებ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ხალხი მსოფლიოს ჩემპიონატზე კვლავ ისეთ მიროსლავ კლოზეს იხილავს, როგორიც 2002 და 2006 წლის მუნდიალებზე ნახა. მინდა, ჩვენს ქომაგებს მივმართო: ნუ ნერვიულობთ, გოლებს გავიტან!

გოტფრიდ ლენცი

ინტერვიუ ლიონელ მესი

# დამიჯერეთ, მარადონა ძალიან კარგი მწვრთნელია!

« მე-8 გვერდიდან

**- თქვენ ახალ მარადონას გეძახიან და საინტერესოა, როგორი ურთიერთობა გაქვთ ნამდვილ დიეგოსთან, რომელიც ამავდროულად არგენტინის ნაკრების მწვრთნელია?**

- დიეგო ძალიან მიყვარს და ვაფასებ. ბევრი აკრიტიკებს, მაგრამ დამიჯერეთ, მარადონა ძალიან კარგი მწვრთნელია, რასაც ამ მუნდიალზე დაამტკიცებს. დიეგო გუნდს ძალიან კარგად უგებს. რაც მთავარია, მწვრთნელიც ისეთია, როგორი ადამიანიცაა. მე ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ მოედანზე სრულ თავისუფლებას მანიჭებს და ერთადერთი, რასაც ჩემგან ითხოვს, არის ის, რომ მუდმივად თამაშში ვიყო ჩართული, მუდმივად ვიხსნებოდე და ბურთს ვითხოვდე.

**- ვინ გახდება მსოფლიოს ჩემპიონი? რომელი გუნდები მიგაჩნიათ ფავორიტებად? არგენტინასთან ერთად, რა თქმა უნდა...**

- ესპანეთი და ინგლისი. დღესდღეობით ყველაზე ძლიერები სწორედ ესპანელები და ინგლისელები არიან.

**- არგენტინის ნაკრებში როგორი განწყობაა?**

- როცა ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატზე ვსაუბრობთ ხოლმე, თითოეულ ჩვენგანს თვალებში ეტყობა ის მონდომება, რაც ასეთი დიდი ტურნირის წინ ნებისმიერ მოთამაშეს უნდა ჰქონდეს. მიუხედავად იმისა, რომ მუნდიალის საგზურის მოპოვება საკმაოდ გაგვიჭირდა, თითოეულ ჩვენგანს სჯერა, რომ არგენტინას ჩემპიონობა შეუძლია.

**- სამხრეთ აფრიკაში თქვენი ოჯახის წევრებიც ჩამოვლენ?**

- რა თქმა უნდა, ჩემი ოჯახი და საუკეთესო მეგობრები აუცილებლად სამხრეთ აფრიკაში იქნებიან.

**- სამხრეთი აფრიკა ნამდვილად არ არის ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა - არ გეშინიათ?**

- ზოგადად, არგენტინელს ასეთი კითხვა არ უნდა დაუსვათ (იცინის). ხუმრობა იქით იყოს, ვიცი, რომ ასეა, მაგრამ ეს უდიდესი საფეხბურთო ზეიმია და დარწმუნებული ვარ, უსაფრთხოების ზომები მაქსიმალურად დაცული იქნება. არა მგონია, რამე პრობლემა შეიქმნას.

**- როგორ დაახასიათებს საკუთარ თავს ლეო მესი?**

- ძალიან ნორმალური, ჩვეულებრივი, მშვიდი და ოჯახური ტიპი ვარ. არც თილისმა მაქვს და არც რაიმე რიტუალებს ვაკეთებ ხოლმე. ასეთი რალაცები არ მჭირდება. ძალიან მორწმუნე ადამიანი ვარ - ეს საკმარისია.

**- მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იღბალიც საჭიროა, არ მეთანხმებით?**

- ცხადია, არსებობს მომენტები, როცა მსოფლიოს ჩემპიონობისთვის იღბალიც საჭიროა. ყველა მსოფლიოს ჩემპიონს გარკვეულწილად გაუმართლა. მაგალითად, 2006 წლის მუნდიალზე, მეოთხედფინალში გერმანიას უფრო გაუმართლა, ვიდრე ჩვენ, მაგრამ გერმანელები მაინც ვერ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები, რადგან ნახევარფინალში იტალიას უფრო გაუმართლა. სამაგიეროდ, იტალიას არ გაუმართლა 2002 წელს და ა.შ. იღბალი მნიშვნელოვანი რამაა!

გოტფრიდ ლენცი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრანსფერიამბები



მარკო არნაუტოვიჩი ამ სეზონში ინტერში იყო განათხოვრებული

# არნაუტოვიჩი ბრემენში დაუკრავს

როგორც მოსალოდნელი იყო, ბრემენის „ვერდერმა“ ავსტრიელი ტალანტი **მარკო არნაუტოვიჩი** გადაიბირა. ბრემენული კლუბის ხელმძღვანელებმა 21 წლის თავდამსხმელი ტრანსფერი გასულ უქმეებზე დაადასტურეს. არნაუტოვიჩი, რომელიც ამ სეზონში მილანის „ინტერში“ იყო განათხოვრებული, „ვერდერში“ „ტვენტედან“ გადავიდა. „მუსიკოსები“ ჰოლანდიურ კლუბს 6.5 მილიონ ევროს გადაუხდიან.

არნაუტოვიჩის შეძენის უპირატესი უფლება „ინტერს“ ჰქონდა, მაგრამ „ნერაძურიმ“ ამ უფლების გამოყენებაზე უარი თქვა. ბრემენული კლუბის ბოსმა **კლაუს ალოფსმა** კი დრო იხელთა და „ტვენტესთან“ შეთანხმებას მიაღწია. ალოფსის აზრით, არნაუტოვიჩი ევროპის ერთ-ერთი უდიდესი ტალანტია. აღსანიშნავია, რომ ავსტრიელის შეძენა „ვოლფსბურგსაც“ სურდა - „მგლებს“ ხომ **სტივ მაკლარენი** წვრთნის, სპეციალისტი, რომელიც „ტვენტეში“ მუშაობდა და არნაუტოვიჩს ავარჯიშებდა.

*„ვერდერში ახალგაზრდა და ნიჭიერ ფეხბურთელებს აფასებენ. ამიტომაც გადავწყვიტე აქ გადმოსვლა. ვფიქრობ, საუკეთესო შანსი მეძლევა, კარიერაში უდიდესი ნახტომი გავაკეთო. ერთი სული მაქვს, როდის შეიკრიბება გუნდი და როდის დავიწყებთ მომავალი სეზონისთვის მზადებას,* - აცხადებს არნაუტოვიჩი, რომელმაც ბრემენული კლუბის წინა ხაზში **კლაუდიო პისაროს, მესუთ იოზილისა** და **მარკო მარინის** მხარდამხარ უნდა ითამაშოს, - *შემიძლია, როგორც ფორვარდის, ისე მარჯვენა ან მარცხენა თავდამსხმელის პოზიციაზე და თავდამსხმელების უკან, გამთამაშებლად თამაშიც. წინა ხაზზე ნებისმიერ პოზიციას ვერგები.“*

მარკო სწრაფი, ტექნიკური თავდამსხმელია, რომელიც ძალიან კარგად თამაშობს მეორე სართულზე და ურტყამს ორივე ფეხით. არნაუტოვიჩი: *„ჩემი მიზანი „ვერდერში“ ტიტულების მოგებაა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ! „ინტერში“ დიდი გამოცდილება შევიძინე. ჟოზე მოურინიო უდიდესი ფენომენი და მსოფლიოში ნომერ პირველი მწვრთნელია, მაგრამ ახლა „ვერდერში“ ვარ ჩემთვის ნომერ პირველი მწვრთნელი უკვე თომას შააფია, ჟოზე კი მეორე ადგილზე გადავიდა.“*

არნაუტოვიჩის ტრანსფერმა ის გამოიწვია, რომ თითქმის გადაწყვეტილია: შვედი **მარკუს როზენბერგი** „ვერდერს“ დატოვებს...

**გოტფრიდ ლენცი**

ამბები

# HIJACK მადრიდულად?

თვეზე მეტია, ევროპული სპორტული მედია **სესკ ფაბრეგასის** მშობლიურ კლუბში დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს და... გუშინდელი „მარკა“ იუწყება, რომ „ბარსელონას“ მოულოდნელი კონკურენტი გაუჩნდა - მადრიდის „რეალი“. „მერენგესის“ ხელმძღვანელობას სურს კატალონიურ კლუბს დაასწროს და ესპანეთის ნაკრების შუახაზელი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ათამაშოს. მართალია, მთავარი ცვლილება, რომელიც „რეალის“ შუახაზში მოსალოდნელია, **სტივენ ჯერარდის** სავარაუდო შესყიდვას უკავშირდება, მაგრამ გუშინ „მარკამ“ კიდევ ერთი ვერსია გაახმაურა - **ჟოზე მოურინიოს** სურს სესკ ფაბრეგასი მადრიდში ჩამოიყვანოს, ამით კი ორი კურდღელი მოკლას, თავად მოღონიერდეს ნახევარდაცვაში და არ დაუშვას უშუალო კონკურენტის გაძლიერება.

სესკ ფაბრეგასმა 7 სეზონი გაატარა ლონდონის „არსენალში“, თუმცა ახლა მისი ინგლისური კარიერა სრულდება. 23 წლის ფეხბურთელის შესახებ „ბარსელონამ“ უკვე დაიწყო მოლაპარაკება „არსენალთან“, თუმცა „მარკას“ თქმით ეს მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და ასპარეზზე „რეალიც“ გამოჩნდა. **ჟოან ლაპორტამ** თავადვე აღიარა, რომ „ბარსელონას“ შეთავაზება, 29 მილიონი ფუნტი სტერლინგი სესკის სანაცვლოდ, „არსენალის“ ხელმძღვანელობამ დაუფიქრებლად უარყო. თუმცა „მარკა“ იმასაც ადასტურებს, რომ სტივენ ჯერარდი მაინც ნომერ პირველი კანდიდატია გახდეს „ბლანკო“. თავად სესკ ფაბრეგასი ბოლო დღეებია უარს ამბობს საკლუბო თემატიკაზე საუბარს: *„ახლა მე მხოლოდ ესპანეთის ნაკრებზე ვფიქრობ“* - ასეთია სესკის კომენტარი.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# დაბრუნდა და... წავიდა

„ვალენსია“ და პორტუ ალეგრეს „ინტერნასიონალი“ შეთანხმდნენ - „ღამურების“ ბრაზილიელი მეკარე **რენან ბრიტო** ერთი წლით სამშობლოში ითამაშებს. რენანი „ვალენსიაში“ 2008 წელს სწორედ „ინტერნასიონალიდან“ გადავიდა, შარშანდელი სეზონი მან „ხერესში“ იჯარით გაატარა და 35 თამაშში დაიცვა ანდალუსიური კლუბის ღირსება. „ხერესმა“ პრიმერა დივიზიონში ადგილი დაკარგა, ხოლო რენანის იჯარის ვადა ამოიწურა და ის „ვალენსიას“ დაუბრუნდა. როგორც ჩანს, რენანი **უნაი ემერის** გეგმებში ვერ ჯდება და კლუბმაც ბრაზილიელი ლეგიონერი ისევ იჯარით გაუშვა, ამჯერად მშობლიურ კლუბში. „ინტერნასიონალს“ 2011 წლის ივნისში რენანის გამოსყიდვის უფლებაც აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჰოლანდია-უნგრეთი | 6:1 |
| ს. აფრიკა-დანია | 1:0 |
| ავსტრალია-აშშ | 1:3 |
| განა-ლატვია | 1:0 |
| სლოვაკეთი-კოსტა რიკა | 3:0 |
| ალჟირი-საემიროები | 1:0 |
| რუმინეთი-ჰონდურასი | 3:0 |
| სერბეთი-კამერუნი | 4:3 |
| შვეიცარია-იტალია | 1:1 |
| ნიგერია-ჩრ. კორეა | 3:1 |
| ტანზანია-ბრაზილია | დღეს |

## იტალია

### სერია A/B. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ბრეშია-ჩიტადელა | 0:1 |
| სასუოლო-ტორინო | 1:2 |

### სერია B/C. პლეი ოფი

| | |
|---|---|
| კრემონეზე-ვარეზე | 1:0 |
| ვერონა-პესკარა | 2:2 |

## ესპანეთი

### II დივიზიონი

XL ტური

| | |
|---|---|
| კასტელონი-სალამანკა | 1:2 |
| ალბასეტე-რეკრეატივო | 1:3 |
| კადისი-სოსიედადი | 1:3 |
| სელტა-ხიმნასტიკი | 3:1 |
| ელჩე-მურსია | 1:2 |
| ლას პალმასი-ხირონა | 0:1 |
| ვილიარეალი B-უესკა | 1:1 |
| ბეტისი-ნუმანსია | 2:0 |
| რაიო ვალეკანო-კორდობა | 3:2 |
| რეალ უნიონი-ლევანტე | 2:1 |
| კარტახენა-ერკულესი | 0:0 |

## დანია

### II დივიზიონი

XXVIII ტური

| | |
|---|---|
| ვიბორგი-ჰორსენსი | 1:0 |
| ფრედერისია-ვესტსიელანდი | 6:1 |
| ფრემი-ბრაბრანდი | 4:0 |
| აკადემისკი-როსკილდე | 2:0 |
| ნესტველი-სკივე | 2:3 |
| ტისტედი-ჰვიდოვრე | 2:2 |
| ლუნგბიუ-კოლდინგი | 3:1 |
| ფინი-ვეილე | 0:0 |

## ფინეთი

VIII ტური

| | |
|---|---|
| ტამპერე-ლაჰტი | 0:0 |
| ოულუ-ჰონკა | 2:0 |
| ჰიკ-იარო | 2:1 |
| იუვასკილა-ინტერი | 0:3 |
| ტურკუ-მარიეჰამნი | 1:4 |
| მიუპა-კუოპიო | დღეს |
| ვაასა-ჰაკა | დღეს |

### II დივიზიონი

VII ტური

კლუბი 04-პოპა 2:2; ჰამეენლინა-კემი 2:2; კოტკპე-როვანიემი 1:1; მიკელი-ვიიკინგიტი 1:2; ოპს-იიპო 1:2; პკ35-კპვ 2:0; ტპვ ტამპერე-ესპოო 0:1.

## საბერძნეთი

### II დივიზიონი

პლეი ოფი

| | |
|---|---|
| ეთნიკოსი-პანსერაიკოსი | 1:0 |
| ოფი-პიერიკოსი | 2:1 |
| დოქსა-როდოსი | 1:1 |
| იონიკოსი (ნ)-ტრასივულოსი | 2:0 |

## ისლანდია

VI ტური

| | |
|---|---|
| გრინდავიკი-ვესტმანაეიარი | 1:2 |
| სელფოსი-ფრამი | 1:2 |
| ფილკირი-ჰაფნარი | დღეს |
| ჰაუკარი-ბრეიდაბლიკი | დღეს |
| სტიარნანი-კეფლავიკი | დღეს |
| რეიკიავისი-ვალური | დღეს |

## ნორვეგია

XIV ტური

| | |
|---|---|
| სტრომსგოდსეტი-ტრომსიო | 2:1 |
| მიოლდე-ლილესტრომი | 3:3 |
| ოდ გრენლანდი-ჰიონეფოსი | 1:0 |
| როზენბორგი-კონგსვინგერი | 4:0 |
| სანდეფიორდი-სტაბეკი | 1:1 |
| ვოლერენგა-ჰაუგესუნდი | 5:2 |
| ბრანი-ოლესუნდი | 2:0 |
| სტარტი-ვიკინგი | დღეს |

### II დივიზიონი

XI ტური

ალტა-ლინი 2:0; ბრინი-ნილი 5:1; ფოლო-მოსი 0:4; რანჰეიმი-სტრიომენი 0:0; სოგნდალი-ლოვ ჰამი 2:0; ტრიომსდალენი-მიონდალენი 5:3; სანდნესი-ფრედრიკსტადი გადაიდო; სარპსბორგი-ბოდო გლიმტი გადაიდო.

## ირლანდიის თასი

| | |
|---|---|
| ბელგროვი-ავონდეილი | 2:1 |
| ტალამორი-სოლტჰილი | 1:3 |
| კარლოუ-მონეგანი | 1:1 |
| გლენვილი-ბოჰემიანსი | 1:7 |

## ბელარუსი

XII ტური

| | |
|---|---|
| დინამო (მნ)-ბელშინა | 3:0 |
| დნეპრი-მინსკი | 1:5 |
| პარტიზანი-ნაფტანი | 1:1 |
| ბატე-ტორპედო | 1:0 |
| ვიტებსკი-ნემანი | 2:2 |
| შახტიორი-დინამო (ბრ) | 2:0 |

## ჩეხეთი

### II დივიზიონი

XXX ტური

| | |
|---|---|
| ვლაშიმი-ოპავა | 3:1 |
| ჰლუჩინი-დუკლა | 2:2 |
| იჰლავა-ჰრადეცი | 0:0 |
| კარვინა-ჩასლავი | 3:0 |
| სპარტა II-სოკოლოვი | 1:1 |
| უსტი-ვიტკოვიცე | 2:1 |
| ვიქტორია-ტრშინეცი | 1:3 |
| ზლინი-მოსტი | 1:1 |

## ესტონეთი

XV ტური

| | |
|---|---|
| ლოოტუსი-ტრანს ნარვა | 0:5 |
| კალიუ-კურესაარე | 2:1 |
| პაიდე-ლევადია | 0:4 |
| ფლორა-ტულევიკი | 1:1 |
| კალევი-ტამეკა | 4:0 |

## ლატვია

VIII ტური

| | |
|---|---|
| ტრანზიტსი-ბრაჟმა | 3:1 |
| იელგავა-იაუნიბა | 4:1 |

## ლიტვა

XIII ტური

| | |
|---|---|
| ბანგა-ტაურასი | 2:1 |
| კრუოია-სუდუვა | 0:2 |
| მაჟეიკიაი-ვეტრა | 1:4 |
| ეკრანასი-კლაიპედა | 2:1 |
| შიაულიაი-ჟალგირისი | 1:3 |

## ბრაზილია

VII ტური

| | |
|---|---|
| ავაი-ფლუმინენსე | 0:3 |
| ფლამენგო-გოიაში | 1:2 |
| ვიტორია-ატ. პარანაენსე | 1:0 |
| ატ. მინეირო-სეარა | 0:1 |
| ბოტაფოგო-კორინთიანსი | 2:2 |
| სანტოსი-ვასკო და გამა | 4:0 |
| სან პაულუ-გრემიო | 3:1 |
| ატ. გოიანიენსე-კრუზეირო | გვ. დასრულდა |
| გუარანი-გრ. პრუდენტე | გვ. დასრულდა |
| ინტერ-პალმეირასი | გვ. დასრულდა |

## ეკვადორი

XVII ტური

| | |
|---|---|
| ინდეპენდიენტე-მაკარა | 0:0 |
| ოლმედო-უნ. კატოლიკა | 2:1 |
| ესპოლი-ლდუ კიტო | 2:1 |
| ელ ნასიონალი-მანტა | 4:0 |
| ემელეკი-დეპ. კუენკა | გვ. დასრულდა |
| დეპ. კიტო-ბარსელონა | გვ. დასრულდა |

## პერუ

XVII ტური

| | |
|---|---|
| ლეონი-ინტი გასი | 3:0 |
| სპორტ ბოისი-კოლეგიო | 2:4 |
| სან მარტინი-სენსიანო | 3:0 |
| სესარ ვალეხო-ტოტალ ჩალაკო | 1:2 |
| ალ. ატლეტიკო-ალ. ლიმა | 1:1 |
| უნ. პერუ-ხუან აურიჩი | 1:0 |
| სპორტი-ხოსე გალვესი | 1:0 |
| მელგარი-სპ. კრისტალი | 1:1 |

## აშშ

XI ტური

| | |
|---|---|
| ტორონტო-კანზასი | 0:0 |
| დი სი იუნაიტედი-სოლტ ლეიკი | 0:0 |
| ნიუ იორკი-ჩივასი | 1:0 |
| ლოს ანჯელესი-ჰიუსტონი | 4:1 |
| ჩიკაგო-ფილადელფია | 2:1 |
| დალასი-სან ხოსე | 2:0 |
| კოლორადო-კოლამბუსი | 1:0 |
| სიეტლი-ნიუ ინგლენდი | 3:0 |

## იაპონიის თასი

| | |
|---|---|
| ვეგალტა-ნაგოია | 0:0 |
| ომია-სერეზო | 2:1 |
| კობე-იოკოჰამა | 2:1 |
| იამაგატა-შონანი | 3:0 |
| შიმიზუ-ივატა | 2:0 |
| ტოკიო-კიოტო | 1:0 |

ამბები

# ბილბაოს ახალი იმედი

ბილბაოს „ატლეტიკმა“ 20 წლის ფორვარდი **იბაი გომესი** ტერსერა დივიზიონის „სესტაოდან“ შეიძინა. ახალგაზრდა გომესმა ბასკურ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელიც ავტომატურად გაგრძელდება კიდევ ერთი წლით, როგორც კი ფეხბურთელი მეათედ მოირგებს ძირითადი გუნდის მაისურს. იბაი გომესი ძირითად გუნდთან ერთად გაივლის წინასასეზონო მზადებას და შემდეგ გადაწყდება სად ითამაშებს ის ახალ სეზონში, „ატლეტიკის“ ძირითად თუ სარეზერვო გუნდში. შარშან მან „სესტაოს“ შემადგენლობაში 38 თამაშში 32 გოლი გაიტანა. ეს ბილბაოელთა მეორე შენაძენია ზაფხულში, რამდენიმე დღის წინათ სეგუნდა დივიზიონის „ალავესიდან“ **იგორ მარტინესი** შეიძინა 200 ათას ევროდ. „ატლეტიკი“ მცველ **სან ხოსეს** გამოსყიდვასაც აპირებს, რომელმაც გასულ სეზონში იჯარით ითამაშა გუნდში, ისე კი „ლივერპულის“ საკუთრებაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# მერიდა, სუარესი, ახლა ტრეზეგე?

მადრიდის „ატლეტიკომ“ ყოფილი ფეხბურთელი **მარიო სუარესი** დაიბრუნა. 23 წლის ნახევარმცველმა ორი წლის წინათ დატოვა „ვისენტე კალდერონი“ და ბალეარის კუნძულებზე, „მალიორკაში“ გადაბარგდა. **კიკე ფლორესის** გუნდი, რომელიც ევროპის ლიგის გამარჯვებულია, ახალი სეზონისთვის ძლიერდება - მადრიდელებმა ჯერ „არსენალიდან“ წამოსული ახალგაზრდა **ფრან მერიდა** აიყვანეს, ახლა კი „მალიორკადან“ სუარესი 1,8 მილიონ ევროდ დაიბრუნეს. სუარესი „ატლეტიკოში“ ვერ ხვდებოდა ძირითად შემადგენლობაში და ამიტომ წასვლის სურვილი თავად გამოთქვა, მაშინ მან „მალიორკასთან“ 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომელშიც ეწერა, რომ „ატლეტიკოს“ პირველი 24 თვის განმავლობაში სუარესის გამოსყიდვა შეეძლო. სწორედ ამ უფლებით ისარგებლა კიკე ფლორესმა და გუნდის ნახევარდაცვა გააძლიერა.

ესპანური წყაროები ირწმუნებიან, რომ მალე „ატლეტიკო“ შეტევის ხაზშიც გაძლიერდება. კლუბი მოლაპარაკებას ვეტერან ფრანგ ფორვარდ **დავიდ ტრეზეგესთან** მართავს...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

# ოფიციალურად: ჟერომ ბოატენგი სიტიში

„მანჩესტერ სიტიმ“ და „ჰამბურგმა“ ოფიციალურად დაადასტურეს, რომ გერმანიის ნაკრების მარჯვენა მცველი **ჟერომ ბოატენგი** მომავალი სეზონიდან კარიერას ინგლისურ კლუბში გააგრძელებს. „მანჩესტერ სიტის“ ხელმძღვანელებმა ჟურნალისტებს გარიგების შესახებ შაბათს ამცნეს. გაირკვა ისიც, რომ „სიტი“ 21 წლის ბოატენგში 12.5 მილიონ ევროს გადაიხდის. 2007 წელს „ჰამბურგმა“ მასში სულ რაღაც 1.1 მილიონი გადაიხადა. შეგახსენებთ, რომ წარმოშობით განელი ჟერომ ბოატენგი მსოფლიოს ჩემპიონატზე გერმანიის ნაკრების ღირსებას დაიცავს, მისი ძმა **კევინ-პრინს ბოატენგი** კი განის ნაკრებშია გამოძახებული.

**გოტფრიდ ლენცი**

# ჰიტცლშპერგერი: ლაციოდან ვესტ ჰემში!

გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა **თომას ჰიტცლშპერგერმა** „ვესტ ჰემთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ნახევარმცველი ინგლისურ კლუბში რომის „ლაციოდან“ გადადის. ჰიტცლშპერგერი რომაულ კლუბში იანვარში „შტუტგარტიდან“ გადაბარგდა, მაგრამ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, რის გამოც ის გერმანიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** მსოფლიოს ჩემპიონატზე არ წაიყვანა. „ლაციოში“ მან მხოლოდ ექვს თამაშში მიიღო მონაწილეობა (1 გოლი). ჰიტცლშპერგერს პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილება აქვს: 2002-დან 2005 წლამდე ის „ასტონ ვილას“ ღირსებას იცავდა. თომასს იმედი აქვს, რომ „ვესტ ჰემში“ ძველებურად ათამაშდება და გერმანიის ნაკრებშიც დაბრუნდება.

**გოტფრიდ ლენცი**

# ზე რობერტო ჰამბურგში რჩება

მიუხედავად იმისა, რომ „ჰამბურგთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს, არ წყდებოდა საუბრები იმის შესახებ, რომ ვეტერანი ბრაზილიელი ნახევარმცველი **ზე რობერტო** ჩრდილოგერმანულ კლუბს დატოვებდა. მას ნიუ იორკის „რედ ბულში“ ეპატიჟებოდნენ. მაგრამ ზე რობერტომ განაცხადა, რომ „ჰამბურგში“ რჩება და გერმანულ კლუბში კიდევ მინიმუმ ერთ სეზონს გაატარებს.

**გოტფრიდ ლენცი**

# ჩიგრინსკი ბაიერნში?

„კატალუნია რადიო“ იუწყება, რომ მიუნხენის „ბაიერნი“ „ბარსელონას“ 23 წლის მცველით, **დმიტრო ჩიგრინსკით** დაინტერესდა. ეს უკანასკნელი „ბარსაში“ ერთი წლის წინ გადავიდა და კატალონიელებმა დონეცკის „შახტარს“ მის სანაცვლოდ 25 მილიონი ევრო გადაუხადეს. ჩიგრინსკიმ „ბარსელონას“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა.

**გოტფრიდ ლენცი**

ჭიდაობა

ოქროს დიდი პრიზი

# ჩვიდმეტი გაელვება




ოქროს 4, ამდენივე ვერცხლისა და ბრინჯაოს 9 მედალი - ასეთია ქართველთა ორდღიანი მონაგარი გივი კარტოზიასა და **ვახტანგ ბალავაძის** სახელობის „ოქროს დიდი პრიზის" ტურნირზე. აქედან თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა წილად ორ-ორი ოქრო-ვერცხლი და ოთხი ბრინჯაო მოდის, ბერძენ-რომაელებზე - ასევე ორი ოქრო, ორი ვერცხლი და ხუთი ბრინჯაო. „თავისუფალთაგან" ჩემპიონები **მალხაზ ქურდიანი** (60) და **გიორგი გოგშელიძე** (96) გახდნენ, **ბელდუხ გავაშელიშვილი** (96) და მძიმეწონოსანი **ლევან ბერიანიძე** ფინალში დამარცხდნენ, **მალხაზ ზარქუამ** (60), **შალვა მუზიაშვილმა** (66), **დაჩი ქერაშვილმა** (96) და **დავით მოძმანაშვილმა** (120) ბრინჯაოები მოიპოვეს. ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონობა ქუთაისელებმა - **ლაშა გოგიტაძემ** (55) და **გიორგი ცირეკიძემ** (74) იზეიმეს, ვერცხლის მედლები **ვასილ იმერლიშვილსა** (96) და მძიმეწონოსან **ოთარ ბოლქვაძეს** ერგოთ, ტურნირის მესამე პრიზიორები კი **ზურაბ კეკელიძე** (55), **ანტონ მამაგეიშვილი** (66), **გენადი გოგიშვილი** (74), **სოსო ჯაბიძე** (96) და **გურამ ფერსელიძე** (120) გახდნენ.

როგორც იქნა, გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში რუსებიც გამოჩნდნენ, ანუ შეჯიბრების მეთხუთმეტე მონაწილეც ჩამოვიდა, თუმცა გუშინ იმათგან არავის უჭიდავია, სავარაუდოდ, მათი მცირერიცხოვანი გუნდი ტურნირში დღეს ჩაებმება.

სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ - „ოქროს დიდი პრიზის" მთლად ისე ძლიერიც არ გამოდგა, როგორსაც ველოდებოდით. მართალია, ცალკეულ გუნდებს რამდენიმე ძლიერი ფალავანი ჰყავთ, მაგრამ უმეტესობა ახალგაზრდებითაა ჩამოსული. თუმცა ისინი უკვე იმდენად მაღალი დონის ჭიდაობას აჩვენებენ, ბევრ მათგანს უეჭველად ვიხილავთ ლონდონის ოლიმპიადაზე. იმას არ ვამბობთ, რომ ტურნირი უინტერესოა და საყურადღებო არაფერი გვიხილავს - ჭიდაობის ქომაგმა არაერთი კარგი ფალავანი თუ კარგი ორთაბრძოლა იხილა. უბრალოდ, ტურნირის სიძლიერეს მონაწილეთა რაოდენობაც განსაზღვრავს, აქ კი ზოგიერთ წონაში 8-9 კაცი გამოდიოდა. ეტყობა, ფალავნებისთვის ივლისის ზუსტად შუაში ბაქოში გასამართი „ოქროს დიდი პრიზის" ფინალური ტურნირის საგზური მიმზიდველი სატყუარა არ აღმოჩნდა. თუმცა უცხოელები იქით იყოს და ტრავმებისა თუ სხვა მიზეზთა გამო შეჯიბრებას რამდენიმე ძლიერი მასპინძელიც დააკლდა - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი და ოლიმპიური პრიზიორი „თავისუფალში" **ოთარ თუშიშვილი** (66), ბერძნულ რომაულში ყველაფრის მომგები **მანუჩარ კვირკველია** (74), ევროპის ორგზის და მსოფლიოს ჩემპიონი **რამაზ ნოზაძე** (96), მაგრამ ყველაზე დიდი დანაკლისი „თავისუფალ" მძიმეწონოსნებშია - **ლექსო მოდებაძე, გიორგი ნიკურაძე, დავით ოთიაშვილი...** სამწუხაროდ, ტურნირს მაყურებელიც კანტი-კუნტად ესწრებოდა.

ორი დღის განმავლობაში დარბაზში არ გამოჩენილა ჩვენი სახელოვანი ფალავანი, ევროპის ხუთგზის, მსოფლიოს ორგზის და ოლიმპიადის ასევე ორგზის ბრინჯაოს პრიზიორი **ლუკა კურტანიძე** (96). არადა, წინასწარი ინფორმაციით, ის თითქოს ამ ტურნირზე სპორტიდან უნდა გაეცილებინათ. ვეჭვობთ, ეს ყველაფერი მისმა პოლიტიკურმა ნაბიჯმაც გამოიწვია, რომელსაც პირადად მეც არ ვეთანხმები, მაგრამ ის დიდი სპორტსმენია და მაინც მეტ ყურადღებას იმსახურებს, პოლიტიკური არჩევანი კი მისი პირადი საქმეა.

მე თუ მკითხავთ, ორდღიანი გამოსვლის შემდეგ ჩვენი გუნდების ყველაზე ნათელ წერტილად ქურდიანს დავასახელებ, რომელმაც ტურნირიც კარგად გაიარა და ფინალშიც შესაშური ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა ირანელთა 2007 წლის მსოფლიოს ჩემპიონსა და პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორ **სეიედ მურად მოჰამადისთან**. თუმცა იმავე თვისებების გამო მიჭირს მას დავაშორო გოგიტაძე - ამანაც ბრწყინვალე ფინალი ჩაატარა ახალგაზრდა ირანელ **მოსენ ჰაჯიპოურთან**, რომელსაც ბოლო ქულა ჩინებული მოძრაობის ხარჯზე აართვა, როცა დატრიალებისას დაუძვრა და იქით გადაიყვანა ქულაზე. თუმცა, ბევრად მძიმე ფინალი ქურდიანს ხვდა წილად - მისი მეტოქე კვლავაც ამ წონის ლიდერია, ჩვენებურმა კი ძირითად დროში სძლია. განსაკუთრებით შთამბეჭდავი მის მიერ მეორე პერიოდის ბოლო წამებზე აღებული ქულა იყო, რითაც გაინაღდა კიდეც ოქრო. ამ სეტში ქურდიანმა, რომელიც ჩვენი სახელოვანი ძიუდოისტის - **ნესტორ ხერგიანის** დეიდაშვილია, ჩვეულებას არ უღალატა - თავიდან შედარებით ინერტულად ჭიდაობდა და მხოლოდ მაშინ შეუტია, როცა მეტოქემ გააბრაზა, ანუ ქულა აართვა და წაგების საშიშროების წინაშე დააყენა. ნახევარფინალში ქურდიანმა არანაკლებ რთული შეხვედრა ჩაატარა ზარქუასთან, რომელთანაც წლეულს საქართველოს ჩემპიონატის ფინალში წააგო. ამჯერად ღირსეული რევანში აიღო, თუმცა კარგი ჭიდაობისთვის ზარქუაც ქების ღირსია. ამ წონაში ძალიან კარგი კონკურენცია იქმნება.

კარგად იჭიდავეს და დიდ სპორტში პირველ სერიოზულ წარმატებას მიაღწიეს ბერიანიძემ, ცირეკიძემ, კეკელიძემ, იმერლიშვილმა, ბოლქვაძემ, უმედლოდ დარჩენილთაგანაც გამოვარჩევთ რამდენიმე ახალგაზრდას, მაგალითად, ახალგაზრდებში ევროპის შარშანდელი ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **გოგა ხუჭუა** 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში, რომელიც გამოუცდელობით და ახალგაზრდული სიჩქარით დამარცხდა ჯერ ძირითად ბადეში კანადელ **ჰაისლან გარსიასთან**, მერე - ბრინჯაოსთვის ბრძოლაში სომეხ **ჟირაირ ოგანისიანთან**, მაგრამ მათ ჯერ დიდ ასპარეზზე მედლების მოსაპოვებლად და ეროვნულ ნაკრებში დასამკვიდრებლად კვლავაც ბევრი შრომა სჭირდებათ. მთლიანობაში ურიგოდ არ იჭიდავეს, მაგრამ ჯერ კიდევ სჭირდებათ დაოსტატება.

იშვიათი გამონაკლისების გარდა, მეტნაკლებად გაამართლა მწვრთნელთა იმედები ლიდერთა ჯგუფმა - გოგშელიძე, ზარქუა, მოძმანაშვილი, მამაგეიშვილი, გოგიშვილი, ჯაბიძე, ფერსელიძე და სხვები, მაგრამ „თავისუფალში" ევროპის ვიცე-ჩემპიონმა **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55), ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონმა **მანუჩარ ცხადაიამ** (66) და კიდევ რამდენიმემ აშკარად გააწბილეს ქომაგებიც და მწვრთნელებიც.

გოგშელიძე ისე გახდა ჩემპიონი, მხოლოდ ერთი პერიოდი დათმო - ნახევარფინალში ქერაშვილთან, სხვები კი დამაჯერებლად მოიგო. მათ შორის ფინალიც გავაშელიშვილთან, რომელიც ორივე პერიოდში დინჯად, აუღელვებლად გადაიყვანა ჩოქბჯენში. მანამდე **ლევან სეთურიძესაც** ასევე მშვიდად აჯობა, პირველ შეხვედრაში კი ინდოელ **მაუსამ კატრის** წამებში მოუგო. მაგრამ ეს ინდოელი კერკეტი კაკალი გამოდგა - სეთურიძეს მოუგო, ქერაშვილს კი გვარიანი ოფლი დაალვრევინა ბრინჯაოსთვის ბრძოლაში.

გამარჯვების მიუხედავად, გოგშელიძის ჭიდაობა მაინც უკეთესის სურვილს ტოვებს. იმედია, მსოფლიოს ჩემპიონატამდე შევა ფორმაში. ქერაშვილთან შეხვედრაში ერთხელ ევროპის ჩემპიონატის ფინალიც გაგვახსენა აზერბაიჯანელ **ხეტაგ გასიუმოვთან** - „ჯვარზე" მეტოქეს სწორედ ისეთი გდება გაუკეთა, რაც აზერბაიჯანელთან არ გამოუვიდა მეორე პერიოდში და ქულა დაკარგა. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქერაშვილმაც - ის უდავოდ მოუმატებს და ახლავე ჩანს, რომ საიმედო ფალავანია. ცხადია, ურიგო არც გავაშელიშვილის გამოსვლას ეთქმის.

პირველი დღე ერთბაშად რამდენიმე უსიამოვნებით დაიწყო - ერთმანეთის მიყოლებით გავარდნენ მოძმანაშვილი, ცხადაია და ჯაბიძე. ცხადაიამ, რომელსაც მთელი მოსამზადებელი პერიოდი ტრავმები აწუხებდა, თანაგუნდელ **ტარიელ ებრალიძესთან** წააგო. თანაც გდებებით! ევროპის წლევანდელი პრიზიორი ჯაბიძე ჩვენსავე თანამემამულე ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონ **დავით სალდაძესთან** დამარცხდა, რომელიც ერთ დროს უკრაინის სახელით გამოდიოდა, ახლა კი უზბეკეთში გადაბარგებულ ოლიმპიურ ჩემპიონ **ალექსანდრე დოხტუროვთან**. მოძმანაშვილი თურქეთში ევროპის წლევანდელ ვიცე-ჩემპიონ **ფატიჰ ჩაკიროღლუ** ნილისყრით კი დაამარცხა, მაგრამ მერე ირანელ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ **ფარდინ მასოუმი ვალადისთან** ორივე პერიოდი დათმო. მოძმანაშვილი კვლავაც ვერაა სასურველ ფორმაში. მან მთელ ტურნირზე ილეთი მხოლოდ ბრინჯაოსთვის ბრძოლაში გააკეთა კანადელ **არიან ბულართან**. რას ვიზამთ, პროცესებს ვერ დავაჩქარებთ, ადრინდელი ფორმის დაბრუნებას კი დრო უნდა.

მთლიანობაში რომ შევადაროთ ჩვენებურთა გამოსვლა უცხოელებისას, არცთუ სახარბიელო სურათია. მედლების რაოდენობით კი ვუსწრებთ მათ, მაგრამ ჭიდაობის ხარისხი აშკარად გასაუმჯობესებელია. საგრძნობია ჩვენების ჩამორჩენა ფიზმომზადებაში. სასიამოვნოდ გაგვაოცეს ინდოეთის, ყაზახეთის, უზბეკეთის ახალგაზრდულმა გუნდებმა, ხოლო არაფერს ვამბობთ ირანელებზე, რომლებიც ორივე სახეობაში უძლიერესი გუნდებით ჩამოვიდნენ. მათი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი „თავისუფალში" **მეჰდი ტაგავი** (66) სულაც ტურნირის გამორჩეული მოჭიდავეა, მაგრამ მაყურებელთა სიმპათიები მის მიერ ფინალში ძლეულმა კანადელმა შავკანიანმა **გარსიამაც** მოიპოვა. კანადელები ჩვენს ნაკრებთან ერთად ვარჯიშობდნენ დუშეთში და თურმე ჩვენი ნაკრების თავკაცი **ზაზა თურმანიძე** ტყუილად არ აქებდა გარსიას! ყოჩაღ **ვლადიმერ მესტვირიშვილსაც**, რომელმაც ინდოეთში არაფრისგან ასეთი გუნდი შექმნა - მათ ორი ბრინჯაო მოიპოვეს, კიდევ ორი კი ამავე ეტაპზე დამარცხდა. ამ დროს კი მათ ლიდერები - ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი **რენე კუმარი** (66) და მსოფლიოს პრიზიორი **სუშილ კუმარი** (74) არ ჩამოუყვანიათ.

დღეს ტურნირის ბოლო დღეა. ბერძენ-რომაელთაგან 60 და 84 წონების ფალავნები იჭიდავებენ, „თავისუფალთაგან" - 74 და 84-ის.

**ირაკლი თავაძე**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

## კვარცხლბეკი

### თავისუფალი ჭიდაობა

55კგ: 1. გენადი ტულბეა (მონაკო), 2. ნამიკ სევდიმზადე (აზერბაიჯანი), 3. იური ლედენევი (უკრაინა), რაჰულ ავარე (ინდოეთი).

60კგ: 1. **მალხაზ ქურდიანი (საქართველო)**, 2. სეიედ მურად მოჰამადი (ირანი), 3. **მალხაზ ზარქუა (საქართველო)**, იოგეშვარ დუტი (ინდოეთი).

66კგ: 1. მეჰდი კერმან ტაგავი (ირანი), 2. ჰაისლან გარსია (კანადა), 3. ჟირაირ ოგანესიანი (სომხეთი), **შალვა მუზიაშვილი (საქართველო)**.

96კგ: 1. **გიორგი გოგშელიძე**, 2. **ბელდუხ გავაშელიშვილი**, 3. **დაჩი ქერაშვილი (სამივე - საქართველო)**, კენან გორი (თურქეთი).

120კგ: 1. ფარდინ მასოუმ ვალადი (ირანი), 2. **ლევან ბერიანიძე**, 3. **დავით მოძმანაშვილი (ორივე - საქართველო)**, დავუდ აჰმადი (ირანი).

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა.

55კგ: 1. **ლაშა გოგიტაძე (საქართველო)**, 2. მოსენ ჰაჯიპოური (ირანი), 3. **ზურაბ კეკელიძე (საქართველო)**, აკბარ კუზიევი (უზბეკეთი).

66კგ: 1. აიბეკ იენსენხანოვი (ყაზახეთი), 2. ომიდ ნოროოზი (ირანი), 3. **ანტონ მამაგეიშვილი (საქართველო)**, დარხან ბაიახმატოვი (ყაზახეთი).

74კგ: 1. **გიორგი ცირეკიძე (საქართველო)**, 2. აზმატ დილმუხამედოვი, 3. რომან მელიოშინი (ორივე - ყაზახეთი), **გენადი გოგიშვილი (საქართველო)**.

96კგ: 1. დავით სალდაძე (უზბეკეთი), 2. **ვასილ იმერლიშვილი**, 3. **იოსებ ჯაბიძე (საქართველო)**, მოჰამად აკბარი (ირანი).

120კგ: 1. ამირ ალიაკბარი (ირანი), 2. **ოთარ ბოლქვაძე**, 3. **გურამ ფერსელიძე (ორივე - საქართველო)**, მოსენ ბეშნიჩი (ირანი).



წყალბურთი

# ლიგამუსი თუ თბილისი?

საქართველოს წყალბურთელთა წლევანდელ ჩემპიონატში, როგორც ვწერდით, მხოლოდ დედაქალაქის ოთხი გუნდი მონაწილეობს — „თბილისი", „ლიგამუსი", „ივერია" და „ნეპტუნი", რომელიც ვეტერანებითაა დაკომპლექტებული.

სპეციალისტები თავიდანვე ფავორიტებად თბილისის მერიის კლუბ „თბილისსა" და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „ლიგამუსს" მიიჩნევდნენ, რადგან ორივე გუნდში უმთავრესად საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრები თამაშობენ (ისე, შეჯიბრების თითქმის ყველა მონაწილემ „ლაგუნა ვერეზე" აიდგა ფეხი, რომლის ბაზაზეც ფუნქციონირებს დღეს კლუბი „ივერია"). თანაც, ამ ჩემპიონატისთვის თბილისელებმა ხორვატ მოთამაშე მწვრთნელ **იოვან პოპოვიჩთან** ერთად ორი მისი თანამემამულე — **ჟელკო ვიჯინა** და **ივან რაბადანი** — დაიმატეს, ლიგამუსელებმა კი საუდის არაბეთიდან დაბრუნებული **გალაქტიონ ლაითაძე** გადმოიბირეს. ცხადია, ამგვარ გუნდებთან შეჯიბრების სხვა მონაწილეებს წინააღმდეგობის გაწევა გაუჭირდებოდათ და ასეც მოხდა: „თბილისმა" „ნეპტუნსა და „ივერიას", შესაბამისად, 23:3 და 24:1 მოუგო, ხოლო „ლიგამუსმა" მეტოქეებს უფრო მოკრძალებული ანგარიშე-



ბით — 21:11 და 13:4 სძლია. გუშინ ჯგუფური ასპარეზობის ბოლო ტურში „ნეპტუნი" და „ივერია" დაზავდნენ — 12:12, ხოლო „თბილისმა" „ლიგამუსი" დაამარცხა — 15:10, თუმცა, ოქროს მედლების ბედი ამით არ გადაწყვეტილა, რადგან „ოლიმპიკის" აუზში ეს გუნდები დღეს 13.15 საათიდან კვლავ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს და გამარჯვებული კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავა. 12 საათიდან კი „ნეპტუნი" და „ივერია" ბრინჯაოსთვის იბრძოლებენ.

ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საქართველოს ნაკრები დაიწყებს მზადებას 2011 წლის ევროპის ჩემპიონატისთვის, რომელიც 30 ოქტომბერს აიღებს სტარტს. 24 გუნდი 6 ქვეჯგუფად დაიყოფა და მიმოსვლით გამოვლინდება უძლიერესები, რომლებიც 2012 წლის ლონდონის ოლიმპიური თამაშებისთვის განაგრძობენ პაექრობას. მეტოქეთა ვინაობას წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ შევიტყობთ.

კონტინენტის პირველობის ფინალური ეტაპისთვის ემზადება 1993-1994 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა ნაკრები, რომელიც **რევაზ ჩომახიძის** ხელმძღვანელობით ნახკაძორში იმყოფება ათდღიან საწვრთნელ შეკრებაზე. მედლებისთვის ორთაბრძოლები შტუტგარტში აგვისტოს მიწურულს დაიწყება. რაც შეეხებათ უმცროსებს, ანუ 1997-1998 წლებში დაბადებულ წყალბურთელებს, ისინი ხვალიდან ჩაებმებიან საქართველოს პირველობაში. მედლებისთვის 6 გუნდი იბრძოლებს. 21 ივნისიდან კი 1995-1997 წლებში დაბადებულთა ნაკრები იოვან პოპოვიჩის თავკაცობით სერბეთს გაემგზავრება საწვრთნელ შეკრებაზე, იქიდან კი ბუქარესტის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმება. ჩვენი ბიჭები რუმინელ, სერბ, თურქ და სლოვაკ თანატოლებს დაუპირისპირდებიან.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართული სპორტი

## კალათბურთი

### ბოისას 17

ხორვატიის ჩემპიონატის ფინალში გაიბრწყინა **ვლადიმერ ბოისამ:** „ციბონასთან" სტუმრად გამართულ მატჩში ვოვამ 32 წუთში 17 ქულა, 6 მოხსნა და თითო პასი-ჩაჭრა მიითვალა. მან 8-დან 7 ორქულიანი და 1-დან 1 სამიანი გამოიყენა.

ქართველი ფორვარდის ეფექტური გარჯა „ზადარს" გამარჯვებისთვის არ ეყო - „ციბონამ" 87:81 მოიგო და სერიაში ჩამორჩენა ერთამდე შეამცირა - 1:2. მეოთხე მატჩი 8 ივნისს „ზადარის" მოედანზე გაიმართება. მოგების შემთხვევაში ბოისა და მისი თანაგუნდელები ჩემპიონობას იზეიმებენ.

ვაჟა სიმონიშვილი



### მარკოიშვილმა სეზონი სნაიპერობით დაამთავრა

მხოლოდ ზეოპტიმისტს შეეძლო წარმოედგინა, რომ „კანტუ" იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალიდან „მონტეპასკის" გამოაგდებდა. ამ ორ გუნდს შორის დაფინანსებაში უზარმაზარი სხვაობაა (ვის სასარგებლოდ, თავად მიხვდებით), თუმცა „კანტუს" ჭკვიანმა მწვრთნელმა ვარსკვლავობის მსურველი ახალგაზრდა კალათბურთელებისგან იმდენად ბრძოლისუნარიანი გუნდი შეკრა, რომ ნახევარფინალშიც ღირსეულად გავიდა და „მონტეპასკისთანაც" თავი არ შეირცხვინა.

2:0 დაწინაურების შემდეგ სიენელები კანტუში ჩავიდნენ და დიდ წინააღმდეგობას გადააწყდნენ. 27-ე წუთისთვის უპირატესობა მხოლოდ 6 ქულა იყო (41:47), თუმცა მას მერე „მონტეპასკიმ" სხვაობა 10 ქულამდე გაზარდა და მასპინძლებისთვის თამაშის შემობრუნების საშუალება აღარ მიუცია - 77:65.

გამარჯვებულთა შორის **კშიშტოფ ლავრინოვიჩმა** გამოიდო თავი - 21 ქულა ჩააგდო, ხოლო „კანტუს" რიგებში **მანუჩარ მარკოიშვილმა** „გამოანათა" (ასე დაწერეს იტალიელმა ჟურნალისტებმა). მანუმ 27 წუთში 14 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა. 14 ქულა „კანტუს" ბომბარდირობისთვის საკმარისი აღმოჩნდა.

ფინალში „მონტეპასკი" გავიდა, ხოლო „კანტუ" მომავალ სეზონამდე დაისვენებს.

ვაჟა სიმონიშვილი

### ორბი ყველაზე მაღლა აფრინდა

შაბათს დასრულდა 1998 წელს დაბადებულთა მინი-კალათბურთის ფესტივალი, რომელშიც ათი გუნდი მონაწილეობდა. 5 კლუბი რეგიონიდან იყო – ბათუმიდან, ქუთაისიდან, გორიდან, რუსთავიდან და ფოთიდან.

მესამე ადგილისთვის მატჩში სწორედ რეგიონულმა გუნდებმა ითამაშეს. ბათუმელებმა რუსთაველებს შანსი არ დაუტოვეს. ფინალურ მატჩში კი ერთმანეთს ჯგუფების გამარჯვებულები დაუპირისპირდნენ - „აკადემია" და „ორბი". შეხვედრა დრამატული გამოდგა. ჩემპიონობის ბედი ბოლო წამებზე გადაწყდა და მატჩი **ზვიად დიდბარიძის** გაწვრთნილი „ორბის" გამარჯვებით დასრულდა.

პრიზიორებს დაურიგდათ მედლები, ხოლო ფესტივალის ყველა მონაწილემ ივლისში გასამართი ოთხთა საერთაშორისო ტურნირის (საქართველო, უკრაინა, ბელარუსი, რუმინეთი) მოსაწვევი მიიღო.

I ჯგუფი: "ორბი", "ბათუმი", "მართვე", "ქუთაისი", "შევარდენი"

II ჯგუფი: "აკადემია", "ფოთი", "რუსთავი", "დინამო", "გორი"

| 31 მაისი | |
|---|---|
| ორბი-ქუთაისი | 50:21 |
| აკადემია-დინამო | 20:0 |
| (დინამო არ გამოცხადდა) | |
| შევარდენი-მართვე | 10:37 |
| გორი-რუსთავი | 29:53 |

| 1 ივნისი | |
|---|---|
| ქუთაისი-ბათუმი | 20:47 |
| მართვე-ორბი | 14:50 |
| ფოთი-აკადემია | 28:58 |
| გორი-დინამო | 35:37 |
| **2 ივნისი** | |
| დინამო-რუსთავი | 19:30 |
| ქუთაისი-შევარდენი | 25:14 |
| ბათუმი-ორბი | 31:37 |
| ფოთი-გორი | 28:28 |
| **3 ივნისი** | |
| მართვე-ბათუმი | 12:36 |
| შევარდენი-ორბი | 7:38 |
| აკადემია-გორი | 54:17 |
| რუსთავი-ფოთი | 57:12 |
| **4 ივნისი** | |
| ქუთაისი-მართვე | 28:21 |
| ბათუმი-შევარდენი | 46:1 |
| აკადემია-რუსთავი | 41:30 |
| ფოთი-დინამო | 18:44 |
| **5 ივნისი** | |
| **VII ადგილისთვის** | |
| მართვე-ფოთი | 33:10 |
| **V ადგილისთვის** | |
| ქუთაისი-დინამო | 29:19 |
| **III ადგილისთვის** | |
| ბათუმი-რუსთავი | 38:47 |
| **ფინალი** | |
| ორბი-აკადემია | 31:30 |

ვაჟა სიმონიშვილი

## ჩოგბურთი

### დუბლი ვერ გაახერხა

21 წლის **სოფიო შაფათავამ** (348) უზბეკეთის ქალაქ ბუხარაში ვერ შეძლო „ოქროს დუბლის" შესრულება, არადა, ამასთან ძალზე ახლოს იყო. 25-ათასიანი ტურნირის ფინალში სოფიოს მეტოქე მე-2 ნომრად განთესილი ბერძენი **ეირინი გეორგატუ** (257) იყო. ქართველს 20 წლის ბერძენთან ერთხელ ჰქონდა ნაგებული, უზბეკური ფინალი კი მისი კარნახით დაიწყო, შაფათავამ პირველი სეტი 6:1 მოიგო. ამის შემდეგ კი რაც მოხდა, ძნელი ასახსნელია, ჩვენებურმა ჯერ მშრალზე წააგო სეტი, შემდეგ კი, გადამწყვეტში მხოლოდ სამი გეიმი მოიგო - 6:1, 0:6, 3:6.

ნებისმიერ შემთხვევაში ეს ტურნირი პოზიტიური იყო ქართველი ჩოგბურთელისთვის, რომელმაც წყვილთა თანრიგში **თათია მიქაძესთან** ერთად დუეტში იმარჯვა. ერთეულთა თანრიგის ფინალში გასვლისთვის კი შაფათავა 34 ქულით შეივსებს რეიტინგს, შარშან ამ დროს სოფიომ ბუხარაში პირველივე რაუნდში წააგო, ასე რომ, ჩვენებური მნიშვნელოვნად წაიწევს კლასიფიკაციაში.



სოფიო შაფათავა

სოფიო შაფათავა უზბეკეთში რჩება, სადაც თანამემამულეებთან ერთად ქალაქ კარშის საერთაშორისო ტურნირში (25 ათასი დოლარი) სცდის ბედს. ხუთი ქართველიდან მხოლოდ **ეკა გორგოძე** (518) ვერ მოხვდა რეიტინგით ძირითად ბადეში და ის მე-3 ნომრად განთესეს საკვალიფიკაციოში. შაფათავა, **მანანა შაფაქიძე** (382), თათია მიქაძე (428) და **სოფიო ქვაცაბაია** (443) ძირითადი ბადიდან ჩაერთვებიან ტურნირში.

### ბალახის სეზონი მარცხით დაიწყო

**ანა ტატიშვილი** (152) თიხნარიდან ბალახზე გადავიდა - მსოფლიო ჩოგბურთში მოკლე (4-კვირიანი) „ბალახის სეზონი" დაიწყო, რომლის მშვენებაც უიმბლდონის ტურნირია. ანაც სწორედ ამ ტურნირისთვის ემზადება, რომლის საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებს **ოქსანა კალაშნიკოვასთან** (163) და **მაკა ჩახნაშვილთან** (193) ერთად. ჩვენი პირველი ჩოგანი იტალიიდან ტრავმით წავიდა, თუმცა ბირმინგემის WTA-ს ტურნირ „აეგონ კლასიკისთვის" (220 ათასი დოლარი) გამოჯანმრთელება მან შეძლო. ქართველი საკვალიფიკაციო ბადეში მე-12 ჩოგნად განთესეს, მეტოქედ ბრიტანეთის მე-4 ჩოგანი **ნაომი ქევედეი** შეხვდა. სამწუხაროდ, ჩვენმა თანამემამულემ ორ სეტში დათმო ორთაბრძოლა და სეზონის პირველ ტურნირს ბალახის კორტებზე 3:6, 4:6 ანგარიშით დაემშვიდობა.

ნიკოლოზ ნეფარიძე

## ჭადრაკი

### ათი შაური რუბლიოვსკისგან

პოიკოვსკში გრძელდება **ანატოლი კარპოვის** სახელობის მე-11 საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც სხვადასხვა ქვეყნის 12 დიდოსტატი იბრძვის მთავარი პრიზისთვის. **ბაადურ ჯობავამ** გასულ უქმეებზე ორი პარტია ითამაშა და ისინი ყაიმით დაამთავრა: შაბათს **ალექსანდრ ონიშჩუკს** დაუზავდა, გუშინ კი **სერგეი რუბლიოვსკისთან** გაიყო ქულა.

გაცნობებთ დანარჩენ მოჭადრაკეთა შედეგებს:

IV ტური. **სერგეი კარიაკინი-ივან სოკოლოვი** 1:0, **დმიტრი იაკოვენკო-ვიორელ ბოლოგანი** 1:0, **ალექსანდრ რიაზანცევი-არკადი ნაიდიჩი** 0,5:0,5, **ალექსანდრ მოტილევი-ნიკიტა ვიტიუგოვი** 0,5:0,5, სერგეი რუბლიოვსკი-**ემილ სუტოვსკი** 0,5:0,5.

V ტური. **ვიტიუგოვი-კარიაკინი 1:0, სოკოლოვი-იაკოვენკო 1:0, ხოლო სუტოვსკი-მოტილევის, ბოლოგან-რიაზანცევის, ნაიდიჩი-ონიშჩუკის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა.**

ხუთი ტურის შემდეგ: ვიტიუგოვი, კარიაკინი, რიაზანცევი, სუტოვსკი, იაკოვენკო — 3 (თითოეულს), ბოლოგანი, მოტილევი — 2,5-2,5, ჯობავა, ნაიდიჩი, ონიშჩუკი, რუბლიოვსკი, სოკოლოვი — 2-2 ქულა.

ვაჟა დანელია

## დებიუტანტი

### ეს ლუკა ობოლაძეა

ქართული საჭადრაკო სკოლის პერსპექტიული აღსაზრდელები არიან **ლუკა ობოლაძე** და **კოკა ბუკია**, რომლებიც წარმატებით თამაშობენ თანატოლთა ტურნირებში. ამას წინათ ლუკამ ქუთაისში 8-წლიანთა საქართველოს პირველობა მოიგო მაქსიმალური შედეგით — 9-დან 9 ქულით, ამიტომაც ჩავთვალეთ საჭიროდ, „დებიუტანტში" მისთვის დაგვეთმო ადგილი. სამწუხაროდ, მოხდა გაუგებრობა — რუბრიკაში ობოლაძის ნაცვლად ბუკიას სურათი დაიბეჭდა.

ლუკა ობოლაძე კი აი, ეს გახლავთ.



## ხრიდოლი

### გუნდური გამარჯვება

რუსთავის კომპლექსური სასპორტო სკოლის ბაზაზე ჩატარდა ქვემო ქართლის ღია პირველობა ხელჩართულ ბრძოლაში. შეჯიბრების მონაწილენი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით 7-7 წონით კატეგორიაში განაწილდნენ. ტურნირში ძალები მოსინჯეს ხრიდოლის, კარატეს, კიკბოქსინგისა და სხვა საბრძოლო სახეობების წარმომადგენლებმა.

გუნდური პირველი ადგილი ხრიდოლიონებმა დაიკავეს. ისინი ტურნირზე რვა მებრძოლით იყვნენ წარმოდგენილნი და თავიანთ წონით კატეგორიებში რვავემ ოქროს მედალი მოიპოვა.

ლევან ჯანეზაშვილი

## ხელბურთი

### უმაღლესში ჭანტურიამ დატოვა
### ქართველით ლიონი დაინტერესდა



საქართველოს ნაკრების წევრი **რევაზ ჭანტურია** ბოლო პერიოდში სკოპიეს "მეტალურგიდან" მაკედონიის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგის აუტსაიდერ "ზლატენლადში" იყო განათხოვრებული და ამ გუნდს დიდი დახმარებაც გაუწია. "ზლატენლადი" პლეი ოფის გადამწყვეტ მატჩში ქვედა ლიგის მეორეადგილოსანს შეხვდა და 37:32 გაიმარჯვა. ჭანტურიამ თავისი გუნდის გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა, მან მეტოქის კარი 14-ჯერ დალაშქრა.

ეს მისი ბოლო მატჩი იყო "ზლატენლადის" შემადგენლობაში. რეზო ახალი გუნდის ძიებაშია. მისი დამატება სკოპიეს "ვარდარს" სურს, მაგრამ ჭანტურიას უკეთესი ვარიანტიც აქვს – ფრანგული "ლიონი", სადაც სანაკრებო მატჩების შემდეგ სინჯებზე გაემგზავრება და დიდია ალბათობა, იქვე დარჩეს კიდეც.

სასიხარულოა, რომ საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი თბილისში გასამართ ოფიციალურ სანაკრებო მატჩებს ასეთ კარგ ფორმაში ხვდება. ჩვენი ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის უკვე ემზადება, რეზო გუნდს 9 ივნისს შეუერთდება.

ლევან ჯანეზაშვილი

## მძლეოსნობა

### რაოდენობა მატულობს, შედეგები არა

ბოლო დროს საქართველოში „სპორტის დედოფლის" გეოგრაფია საგრძნობლად გაიზარდა, მძლეოსნობაში მომეცადინეთა რიცხვმაც მნიშვნელოვნად იმატა, თუმცა ხარისხზე ამას ჯერჯერობით არ უმოქმედია. დასტურად თუნდაც ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 1991-1993 წლებში დაბადებულთა საქართველოს პირველობაც გამოდგება. შეჯიბრებაში სხვადასხვა რეგიონის 170-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა, მაგრამ სახეობების მიხედვით ახალგაზრდებს შორის სარეკორდო მაჩვენებელს ვერავინ მიუახლოვდა, არადა, წინ ევროპის გუნდური ჩემპიონატია და იმ ასპარეზობაზე, გარკვეულწილად, საქართველოს პირველობის რჩეულებმა უნდა თქვან თავიანთი სიტყვა.

გულახდილად რომ ვაღიაროთ, მწვრთნელებსა და სპორტსმენებს მონდომება არ აკლიათ, მაგრამ პერიფერიებში ნორმალური სავარჯიშო პირობები არა აქვთ, თბილისშიც კი ეროვნული სტადიონის მძლეოსნური სექტორები რამდენს დაიტევს?

სწორედ, ელემენტარული ბაზების უქონლობაცაა იმის მიზეზი, რომ ზოგიერთ სახეობაში მედლებისთვის საქართველოს პირველობებზე ერთი ან ორი სპორსტმენი (!) იბრძვის. ცხადია, უმთავრესად გოგონათა შორის, თუმცა, ზოგჯერ არც ვაჟებით ვართ განებივრებული, რაშიც ქვემოთ მოყვანილი შედეგებითაც დარწმუნდებით.

**კვარცხლბეკი**

**გოგონები. 100 მ.** 1. სალომე სირაძე (ქუთაისი, 12,5), 2. სალომე აბშილავა (ზუგდიდი, 12,6), 3. ლიკა ლოლუა (ფოთი, 12,8). **200 მ.** 1. ლიკა ლოლუა (25,7), 2. სალომე აბშილავა (25,9), 3. სოფი ჩალაშვილი (თბილისი, 26,8). **400 მ.** 1. გაიანე უსტიანი (ახალციხე, 1.00,7), 2. სოფიო ჩილინგარიშვილი (ახალციხე, 1.02,1), 3. თამარ ხაჟალია (ქუთაისი, 1.03,1). **800 მ.** 1. გაიანე უსტიანი (2.20,1), 2. ანიჩკა მურადიანი (ახალციხე, 2.36,0), 3. ლია ცალქალამანიძე (ახალციხე, 2.36,4). **400 მ. თარჯრბენი.** 1. თამუნა შამოევა (თბილისი, 1.19,6). 1500 მ. 1. ანიჩკა მურადიანი (5.29,7), 2. ლია ცალქალამანიძე (5.33,5). **სიმაღლეზე ხტომა.** 1. თათია პაიკიძე (ვანი, 1.35მ), **სამხტომი.** 1. თათია პაიკიძე (10.80), **სიგრძეზე ხტომა.** 1. თათია პაიკიძე (4,72), 2. სალომე ჩაბაკაური (თბილისი, 4,68), 3. ნესტან დათუნაშვილი (თბილისი, 4,56). **ბირთვი.** 1. ხატია ხურცია (ხონი, 10.14), 2. ია ხაბაზი (აჭარა, 9.57).

**ვაჟები. 100 მ.** 1. ბექა ჯიშკარიანი (ქუთაისი, 10,9), 2. დენის ჟვანია (ზუგდიდი, 11,0), 3. ბექა ასლანიშვილი (თბილისი, 11,4). **110 მ. თარჯრბენი.** 1. თემურ ცირამუა (ზუგდიდი, 17,2), 2. ლევან ფიფია (ზუგდიდი, 18,8). **200 მ.** 1. დენის ჟვანია (21,8), 2. ბექა ჯიშკარიანი (22,1), 3. გიორგი ზილბერშტეინი (ახალციხე, 22,8). **400 მ.** 1. დენის ჟვანია (48,9), 2. დავით ნოზაძე (ბორჯომი, 49,7), 3. თემურ გუგუშვილი



(აბაშა, 51,3). **400 მ. თარჯრბენი,** 1. თემურ ცირამუა (1.02,3), 2. თემურ აზრუმელაშვილი (თბილისი, 1.02,8), 3. ირაკლი მწითური (თბილისი, 1.03,3). **800 მ.** 1. თემურ გუგუშვილი (2.05,2), 2. გიორგი ლომიძე (თბილისი, 2.06,6), 3. არმენ სტეფანიანი (ბორჯომი, 2.09,5). **1500 მ.** 1. გიორგი ლომიძე (4.30,4), 2. არმენ სტეფანიანი (4.39,2), 3. ელგუჯა ბოლქვაძე (აჭარა, 4.50,1). **სიგრძეზე ხტომა.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (თბილისი, 6,83), 2. ბექა გიორგაძე (ქუთაისი, 5,35), 3. თემურ შამოევი (თბილისი, 4,70). **სამხტომი.** 1. ოთარ ხაჭაპურიძე (14,65), 2. ლაშა ლულელაური (ახმეტა, 14,62). **ურო.** 1. გიორგი ჩიტაიშვილი (თბილისი, 34,01). **ბირთვი.** ლევან ნიკლაური (თბილისი, 13,02), 2. გიორგი გოგოლაშვილი (ოზურგეთი, 11,60), 3. გიორგი გუგუჩია (ზუგდიდი, 10,65).

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტესტები



უელსი-ს.აფრიკა . ოდოვა ნდუნგანეს ლელო

# სატოდაობა მილენიუმზე

## ავსტრალიურმა ექსპერიმენტმა გაამართლა

**ავსტრალია-ფიჯი 49:3**

ავსტრალია (15-9): **ბეილი, იოანი, ჰორნი, გიტო, ეშლი-კუპერი (მიტჩელი 60), კუპერი, ბარჯესი (1-8) ალექსანდერი (ქოუანი 75), ედმონდსი (ფაინაგა 65), მააფუ, მამი, შარფი, ელსომი, პოქოკი, ბრაუნი (ჰოჯსონი 56)**

*7ლ: ბეილი (2), იოანი (2), კუპერი, ბრაუნი, მიტჩელი. 7გ: გიტო (6), კუპერი*

ფიჯი (15-9): **რავაქა, ნაგუსა, რადიდი, კაუკაუ, ბობო, ლუვენიიალი, ვუკაგო (1-8) მააფუ, ტუაპატი (ვეიკოსო 71), მანუ (დევისი 58), კალუ, ვაკანიბუროტუ (ბოლა 65), ვისე, ნაკაიდავა, ქოვუ**

*ს: რავაქა*

სინბინი: **ვუკაგო, დევისი**

მსაჯი: **პიტერ ფიცგიბონი (ირლანდია)**

ივნისის ტესტები ავსტრალიის ნაკრებმა რიხით დაიწყო. კანბერაში „ვოლაბებმა“ ფიჯის ნაკრებს დიდი ანგარიშით - 49:3 მოუგეს. თუმცა, მიმომხილველები **რობი დინსის** გუნდის თამაშის ხარისხით მაინც უკმაყოფილონი არიან. ასე სამი ერის გათამაშებაში ძალიან გაგვიჭირდებაო - ამბობენ ისინი.

ავსტრალიის ნაკრები ფიჯელების წინააღმდეგ საკმაოდ გადახალისებული შემადგენლობით წარდგა. მასპინძლებს ტრავმების გამო რვა წამყვანი მორაგბე აკლდათ, **სტივენ მური, ბენ რობინსონი, ჯეიმზ ჰორვილი, ვიკლიფი პალუ, ვილი გენია, პიტერ ჰინესი, სტირლინგ მორთლოქი** და **ტატაფუ პოლოტა-ნაუ.**

დინსის მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავებული სამწყსო პირველ ნახევარში ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა, თუმცა მერე მობილიზება მოახერხეს და მეტოქეს შვიდი უპასუხო ლელო გაუტანეს. აქედან ორ-ორი უკანახაზელების **ქართლი ბეილისა** და **დიგბი იოანის** ანგარიშზეა. საგულისხმოა, რომ დაშავდნენ და მომავალ უქმეებზე პერთში ინგლისთან, ალბათ, ვერ ითამაშებენ პირველხაზელი **ბენ ალექსანდერი** და გარემარბი **ადამ ეშლი-კუპერი.**

პირველი ტაიმი საკმაოდ დაძაბული გამოდგა და მასპინძლებმა მხოლოდ 11 ქულით მოიგეს - 14:3. „ვოლაბებმა“ პირველივე შეტევა ლელოთი დაასრულეს. მგეზავმა **ქუადე კუპერმა** 20-მეტრიანი სოლო რეიდი განახორციელა და იქვე მიმყოლ ფულბეკ ქართლი ბეილის ლელო გაატანინა. შუამარბად გამწესებულმა **მეთ გიტომ** ზუსტად გარდასახა - 7:0.

ფიჯელებმა საკმაოდ მარტივ, მაგრამ სახიფათო ტაქტიკას მიმართეს. ცდილობდნენ, ფეხით მეტოქის მოედანზე გადაკიდებული ბურთი სწრაფად ჩაეხურათ და მეტოქე გამოუვალ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ. მალე მათ საჯარიმოს დარტყმის უფლებაც მიიღეს და **დენ რავაქამ** ანგარიში შეამცირა - 3:7.

ტაიმის დასრულებამდე „ვოლაბებმა“ კიდევ ერთი ლელოს გატანა მოახერხეს. შუამარბმა **რობ ჰორნმა** მეტოქის დაცვის ხაზი გაჭრა. მას რვა ნომერი **რიჩარდ ბრაუნი** მიეშველა და ბურთი ლელოში შეიტანა. გიტომ ეს ლელოც გარდასახა - 14:3.

ავსტრალიის ნაკრები მეორე ტაიმში ბევრად უკეთ ათამაშდა. დასკვნით ოც წუთში კი „ვოლაბებმა“ ისეთი თამაში აჩვენეს, როგორსაც ქომაგები დიდი ხანია, ელიან. გიტომ უკანა ხაზის თამაში დაალაგა, რამაც კუპერს გუნდის დაგეზვა გაუადვილა. საკმაოდ კარგად ჩაერთო თამაშში **დრიუ მიტჩელიც**. შედეგად, ავსტრალიელებმა მეტოქეს კიდევ ოთხი ლელო გაუტანეს.

მიუხედავად იმისა, რომ ძირითადი სამუშაო უკანახაზელებმა გასწიეს, მატჩის საუკეთესო მოთამაშედ მაინც მეორეხაზელი **ნათან შარპი** დასახელდა, რომელიც დერეფანსა და ღია თამაშში მართლაც შეუდარებელი იყო. სხვა პოზიციებთან შედარებით ტრადიციულად მოიკოჭლებდა „ვოლაბების“ პირველი ხაზი.

ფიჯისთან დიდი ანგარიშით გამარჯვება რობი დინსს და ავსტრალიის ნაკრების ქომაგებს დამშვიდების საშუალებას არ აძლევს. მათ მომავალ შაბათს გაცილებით რთული გამოცდის ჩაბარება მოუწევთ ინგლისის ნაკრებთან.

**უელსი-სამხრეთი აფრიკა 31:34**

უელსი (15-9): **ბირნი, ჰალპფენი, ჰუკი, რობერტსი, პრაიდი, ს.ჯოუნზი, ფილიპსი (1-8) ჯეიმზი, რისი, ა.ჯოუნზი (ჰეპი 59), დევისი, დ.ჯოუნზი (ა.ჯოუნზი 45), თომასი, ვარბურტონი (მაკკუსკერი 52), რ.ჯოუნზი**

*3ლ: ჰუკი, პრაიდი, ა.ჯოუნზი. 3ს,2გ: ს.ჯოუნზი. ა: ჰუკი*

სამხრეთი აფრიკა (15-9): **ფ.სტეინი (კირშნერი 59), აპლონი, ფური, დე იონგი, ნდუნგანე (ბესონი 49), პინარი, იანუარი (1-8) ფან დერ ლინდე (რელეპელე 65), სმიტი, ს.ბოთა (დუ პლესი 56), როსუ (ჰარგრეივსი 48), მეტფილდი, ლოუ, პოტხიტერი (კანკოვსკი 60), ფან ნიკერკი**

*3ლ: ნდუნგანე, პოტხიტერი, დე იონგი. 2გ: პინარი. 5ს: პინარი (4), ფ. სტეინი*

მსაჯი: **ალან ლუისი (ირლანდია)**

ბრწყინვალე წარმოდგენა შედგა კარდიფში „მილენიუმზე“, სადაც უელსის ნაკრებს კარგი შანსი ჰქონდა, მსოფლიო თასის მფლობელი სამხრეთი აფრიკის ნაკრები დაემარცხებინა. საკმაოდ დაძაბული, საინტერესო სანახაობა „ბოკემ“ სამი ქულით - 34:31 მოიგო.

უელსის ნაკრებმა, რომელსაც „მილენიუმზე“ მისული 60 ათასი ქომაგი ამხნევებდა, მატჩის პირველი 15 წუთი ბრწყინვალედ ჩაატარა, მეტოქეს ორი ლელო გაუტანა და ანგარიშში საკმაოდ სოლიდური უპირატესობაც მოიპოვა - 16:3.

თუმცა მერე ვითარება მოედანზე რადიკალურად შეიცვალა და სამხრეთაფრიკელებმა მიჯრით 18 ქულა აართვეს მასპინძლებს. პირველი ნახევარი უელსმა 16:14 მოიგო, მაგრამ სტუმრებმა პირველი ტაიმის ბოლოს დაწყებული საქმე მეორეშიც განაგრძეს. მათ რამდენიმე ტაქტიკური გადაადგილება განახორციელეს, მგეზავი **რუან პინარი** შეტევის ორგანიზებას სიღრმიდან იწყებდა. საგრძნობლად გააქტიურდა გარემარბი **ოდოვა ნდუნგანე.** მეორეხაზელ **ბაკის ბოთას** არყოფნაში კი გაიბრწყინა **დენი როსუმ,** რომელსაც ახალგაზრდას ვერაფრით დავარქმევთ.

მესამოცე წუთისთვის სამხრეთი აფრიკა **იოან დე იონგის** ლელოს შემდეგ 12 ქულით დაწინაურდა - 31:19. უელსელები, რომლებსაც დასაკარგავი აღარაფერი ჰქონდათ, შეტევებს უკანმოუხედავად მიეძალნენ და ბოლო ხუთ წუთში ორი ლელოს გატანა მოახერხეს, რომელთაგან მხოლოდ ერთი გარდასახეს.

მასპინძელთა ორ ლელოს შორის რუან პინარმა საჯარიმო გაიტანა და მათი ძალისხმევა ამაო გახადა - 34:31. „ბოკე“ ერთი კვირის თავზე კეიპთაუნში საფრანგეთის ნაკრებს დაუპირისპირდება. უელსი კი 19 ივნისს დანიდინში ახალი ზელანდიის ნაკრებს ეთამაშება.

მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი

# პირველი ტური უსენსაციოდ

არგენტინაში მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩამპიონატზე პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. ექვსივე მატჩი, როგორც მოსალოდნელი იყო, ფავორიტების გამარჯვებით დასრულდა. მოულოდნელი რამდენიმე თამაშში დაფიქსირებული დიდი ანგარიში იყო.

A ჯგუფში მსოფლიოს ჩემპიონმა, ახალი ზელანდიის ნაკრებმა სანტა ფეში ფიჯის A გუნდს - 44:11 მოუგო. „კივებმა“ მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს, ხუთი ლელო გაუტანეს და თამაშის მაღალი ხარისხით დაამტკიცეს, რომ ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტები არიან.

ამავე ჯგუფში უელსის ნაკრებმა სამოას 22:13 მოუგო. ევროპელებს დამრტყმელმა **მეთიუ ჯერვისმა** გაამარჯვებინა, რომელმაც ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა გაიტანა მაშინ, როცა სამოელთა დამრტყმელმა **ფააპალე ფალეონემ** ოთხი საჯარიმო და ორი გარდასახვა გააცუდა.

**A ჯგუფი: ახალი ზელანდია - 5 ქულა, უელსი - 4, სამოა - 0, ფიჯი - 0.**

**9 ივნისი. II ტური: უელსი-ფიჯი, ახალი ზელანდია-სამოა**

B ჯგუფში მასპინძელთა გუნდმა მოულოდნელად დიდი ანგარიშით 22:48 წააგო ინგლისის ნაკრებთან. „უმცროსმა პუმებმა“ მეტოქეს ხუთი ლელო გაუტანეს, აქედან სამი შუამარბ **ჯონი მეის** ანგარიშზეა. ფეხრუბინობით გამოირჩა ინგლისელთა ფულბეკი **ტომ ჰომერი,** რომელმაც ხუთი საჯარიმო და ამდენივე გარდასახვა გაიტანა (25 ქულა).

საკმაოდ დაძაბული გამოდგა საფრანგეთისა და ირლანდიის ნაკრებების დაპირისპირება. ფრანგებმა ერთით მეტი საჯარიმოს გატანა მოახერხეს და 25:22 მოიგეს. მგეზავმა **ჟან მარკ დუსემ** ოთხი ზუსტი საჯარიმო მიითვალა, ხოლო მას შემდეგ, რაც მეხუთე გააცუდა, ის შეცვალა ფულბეკმა **ჟილ ბოშმა,** რომელმაც რვა ნომრის **ანტონიო ერბანის** ლელოს გარდასახვის შემდეგ კიდევ ორი საჯარიმო გაიტანა.

ირლანდიელთაგან გამორჩეული **ჯეიმზ მაკკინი** იყო - ხუთი საჯარიმო და ერთი გარდასახვა. მანვე ორი საჯარიმოც გააცუდა, რაც „სამყურებს“ მარცხის ფასად დაუჯდათ.

**B ჯგუფი: ინგლისი - 5 ქულა, საფრანგეთი - 4, ირლანდია - 1, არგენტინა - 0**

**9 ივნისი. II ტური: ინგლისი-ირლანდია, არგენტინა-საფრანგეთი**

C ჯგუფში სამხრეთი აფრიკის ნაკრებმა ტონგას 40:14 მოუგო. „ბოკეს“ 25 ქულა მოუტანა ფულბეკმა **პატრიკ ლამბიემ**, რომელმაც ოთხი საჯარიმო, ამდენივე გარდასახვა და ერთი ლელო გაიტანა.

ამავე ჯგუფში ავსტრალიის ნაკრებმა შოტლანდიელთა გუნდი გაანადგურა - 58:13. „ვოლაბებმა“ მეტოქეს ცხრა ლელო გაუტანეს, აქედან სამი გარემარბმა **იადან ტოუამ** მიითვალა. ხუთი გარდასახვა და ერთი საჯარიმო კი მგეზავმა **მეთ ტოომუამ** გაიტანა.

**C ჯგუფი: ავსტრალია - 5 ქულა, ს.აფრიკა - 5, ტონგა - 0, შოტლანდია - 0**

**9 ივნისი. II ტური: ავსტრალი-ტონგა, ს. აფრიკა-შოტლანდია.**



საფრანგეთი-ირლანდია

ჩერჩილის თასი

# ჩერჩილზე ამერიკამ რუსეთს აჯობა

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ დენვერში „ჩერჩილის თასის“ ტრადიციული გათამაშება დაიწყო. წლეულს ევროპიდან იქ საქართველოს ნაკრების ნაცვლად რუსეთის ეროვნული გუნდი ასპარეზობს. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების პირველი მეტოქე აშშ-ის ნაკრები იყო. მასპინძლებმა პირველი ტაიმი მინიმალური სხვაობით - 14:15 წააგეს, თუმცა, მეორე ნახევარში რუსთა გუნდი აბსოლუტურად ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და 39:22 მოუგეს. მესამეხაზელმა **გიორგი მინაძემ** რუსეთის ნაკრების ძირითად შემადგენლობაში ითამაშა.

პირველი შეხვედრა გამართა 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების შესაძლო მეტოქემ, ურუგვაის ნაკრებმა. სამხრეთამერიკელებმა კანადის ნაკრებს წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს და 6:48 წააგეს.

შეგახსენებთ, რომ ურუგვაის ნაკრები 2011 წლის მსოფლიო თასზე მოსახვედრად რეპეშაჟის გავლით იბრძოლებს და წარმატების შემთხვევაში ჯგუფში საქართველოს ნაკრებთან მოხვდება.

**9 ივნისი. II ტური: ინგლისი A-რუსეთი, ურუგვაი-საფრანგეთი A.**

რეპეშაჟი

# სტეუარიმ უკრაინა გადალახა

რუმინეთის ეროვნულმა ნაკრებმა 2011 წლის მსოფლიო თასის გათამაშების დამამშვიდებელ ტურნირში, ანუ რეპეშაჟში პირველი ბარიერი გადალახა.

„სტეუარიმ“ განმეორებით შეხვედრაში შინ დაამარცხა უკრაინის ნაკრები - 61:7. ამ გუნდების პირველი მატჩი ორი კვირის წინ კიევში გაიმართა და იქაც რუმინელებმა მოიგეს - 33:3.

რუმინეთის ნაკრების მომდევნო მეტოქე აფრიკაში ხელმოცარული ტუნისის ეროვნული გუნდი იქნება. ორი მატჩის ჯამში გამარჯვების შემთხვევაში „სტეუარი“ ურუგვაისა და ყაზახეთს შორის უკეთესს დაუპირისპირდება.

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბები



კრივი

## მეივეზერი ისევ წავიდა

როგორც ჩანს, საბოლოოდ გამოირიცხა ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერისა** და ფილიპინელი **მენი პაკიაოს** სუპერბრძოლის ჩატარების შანსი.

ამ დღეებში ამერიკაში კიბოთი დაავადებულთათვის საქველმოქმედო ღონისძიება გაიმართა, რომლის ერთ-ერთი სტუმარიც მეივეზერი იყო. ფლოიდს ერთ-ერთმა მძიმედ დაავადებულმა ფილიპინელთან სავარაუდო ბრძოლის შესახებ ჰკითხა, რაზეც იქ შეკრებილებმა მოულოდნელი პასუხი მიიღეს: მეივეზერი ტოვებს დიდ სპორტს და არ იცის, ვის წინააღმდეგ ბრძოლით დაბრუნდება რინგზე. უფრო მეტიც, ფლოიდი არ გამორიცხავს, რომ საერთოდ დაასრულოს კარიერა.

*„სავარაუდოდ, კრივს ერთი ან ორი წლით ვტოვებ“*, - აცხადებს მოკრივე.

შეგახსენებთ, რომ ეს იქნება მეორე ხანგრძლივი პაუზა ფლოიდის კარიერაში. პირველ შემთხვევაში შესვენებამ 21 თვე შეადგინა. მეივეზერი კრივიდან 2007 წელს **რიკი ჰატონის** დამარცხების შემდეგ წავიდა და 2009 წელს სექტემბერში **ხუან მანუელ მარკესთან** ბრძოლისთვის დაბრუნდა.

ახლა ყველა ჟურნალისტი ერთხმად აცხადებს, რომ მეივეზერს უბრალოდ შეეშინდა პაკიაოსთან ჩხუბის და ამიტომაც ხანგრძლივი შესვენების ალება გადაწყვიტა.

მოტოსპორტი

## ვალენტინო ორ თვეს დაისვენებს

უიღბლოდ დასრულდა იტალიური უიქ ენდი მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონ **ვალენტინო როსისთვის**. თავისუფალი პრაქტიკის დროს იტალიელი მოტოციკლიდან გადავარდა და მარჯვენა ფეხი მოიტეხა. ასე რომ, როსიმ ვერ შეძლო გუშინ იტალიის გრან-პრიზე გამოსვლა. სხვათა შორის, ეს პირველი შემთხვევაა ლეგენდარული მოტომრბოლის კარიერაში, როცა ის ტრავმის გამო ტოვებს მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპს.

როგორც სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა, „იამაჰას“ პილოტის ტრავმა მეტად სერიოზულია. ვალენტინოს ფეხის ორმაგი მოტეხილობა აქვს და მინიმუმ ორი თვე ვერ შეძლებს ტრასაზე გასვლას.

*„ყველაფერი გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ჩვენ ვვარაუდობდით. ვალენტინოს ორმაგი მოტეხილობა აქვს. იმედი ვიქონიოთ, რომ ოპერაციის შემდეგ გართულებებს არ ექნება ადგილი. ვფიქრობ, უახლოეს ორ-სამ თვეს როსი აღდგენით პროცესს მოანდომებს“*, - ამბობს ექიმი **კლაუდიო კოსტა**.

ჩოგბურთი

## კუბეკი მეტოქის ცემისთვის დაისაჯა

ავსტრიელმა ჩოგბურთელმა **შტეფან კუბეკმა** არასპორტული საქციელისთვის დისკვალიფიკაცია მიიღო. ეს მოთამაშე მეტოქეზე თავდასხმისთვის დაისაჯა.

33 წლის კუბეკმა, რომელიც 117-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს რეიტინგში, ერთ-ერთი ადგილობრივი ტურნირის დროს თავის მეტოქესთან - **დანიელ კოლერერთან** იკამათა. ამის შემდეგ, მოედნის მხარეების შეცვლისას შტეფანი ყელში სწვდა მოწინააღმდეგეს და მისი დახრჩობა სცადა. როგორც კუბეკმა განაცხადა, მისი საქციელის მიზეზი კოლერერის მხრიდან მუდმივი შეურაცხყოფა გახდა.

*„საკმაოდ თავშეკავებული ადამიანი ვარ, მაგრამ არავის მივცემ ჩემი შეურაცხყოფის უფლებას“*, - ამბობს კუბეკი.

ორგანიზატორებმა შეწყვიტეს მატჩი და კუბეკი ტურნირის დარჩენილი ნაწილიდან მოხსნეს. ჯერჯერობით უცნობია, რამდენი ხანი გაგრძელდება შტეფანის დისკვალიფიკაცია.

ხელბურთი

## წილისყრა დანიაში

შაბათს, დანიისა და ნორვეგის ქალ ნაკრებთა ამხანაგური მატჩის შესვენებაზე ევროპის 2009 წლის ჩემპიონატის წილისყრა გაიმართა. კონტინენტის პირველობა 7-19 დეკემბერს ნორვეგიასა და დანიაში ჩატარდება.

16 გუნდი ოთხ ქვეჯგუფში შემდეგნაირად გადანაწილდა:

**A ჯგუფი (ოლბორგი, დანია)**: ესპანეთი, დანია, რუმინეთი, სერბეთი;

**B ჯგუფი (ორჰუსი, დანია)**: ჩერნოგორია, ხორვატია, რუსეთი, ისლანდია;

**C ჯგუფი (ლარვიკი, ნორვეგია)**: გერმანია, უკრაინა, შვედეთი, ჰოლანდია;

**D ჯგუფი (ლილეჰამერი, ნორვეგია)**: ნორვეგია, უნგრეთი, საფრანგეთი, სლოვენია.

თითო ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე სამ-სამი საუკეთესო გუნდი გადის. მეორე რაუნდში 12 ნაკრები ორ ჯგუფად დაიყოფა. ერთი ჯგუფის მატჩები დანიის ქალაქ ჰერნინგში გაიმართება, მეორე ჯგუფისა - ლილეჰამერში. ამ ეტაპის შემდეგ ნახევარფინალისტები გამოვლინდებიან.

ნახევარფინალები, მე-3 ადგილისთვის მატჩი და ფინალი ჰერნინგში გაიმართება.

კალათბურთი

# ჩიკაგოს ტიბოდო ჩაიბარებს

მომავალი სეზონიდან „ჩიკაგო ბულზის“ ახალი მთავარი მწვრთნელი **ტიმ ტიბოდო** იქნება. ლაპარაკია სამწლიან კონტრაქტზე და როგორც სანდო წყარო იუწყება, გამოცდილმა სპეციალისტმა უკვე მისცა „ხარების“ ხელმძღვანელობას პრინციპული თანხმობა.

ტიბოდოს გარდა, „ჩიკაგოს“ სამწვრთნელო შტაბში შევლენ **პიტ მაიერსი** და „ოკლაჰომას“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი **რონ ადამსი**. ასევე სახელდება **მო ჩიქსის**, „ნიუ იორკის“ ერთ-ერთი მწვრთნელის **ენდი გრირისა** და **ერის მუსელმანის** გვარები.

შეგახსენებთ, რომ უკვე რამდენიმე წელია ტიბოდო „ბოსტონის“ დამრიგებლის **დოკ რივესის** ასისტენტი გახლავთ. მას NBA-ში მთავარ მწვრთნელად არასოდეს უმუშავია.

ამასობაში, გარკვეული არ არის, დარჩება თუ არა „სელტიქსში“ თავად დოკ რივერსი. თუ 2008 წლის ჩემპიონმა არ გააგრძელა ხელშეკრულება „კელტებთან“, ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობას კლუბის ლეგენდარული მოთამაშის **კევინ მაკჰეილის** მიწვევა აქვს გადაწყვეტილი.

„მინესოტას“ ყოფილი დამრიგებელი ამჟამად ტელევიზიაში ანალიტიკოსად მუშაობს, მაგრამ რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, მან უკვე მიიღო „ბოსტონისგან“ სარფიანი წინადადება. უფრო ადრე, მაკჰეილს“ „ჩიკაგოს“ მწვრთნელობას უწინასწარმეტყველებდნენ.

53 წლის მაკჰეილი „მინესოტაში“ ერთი სეზონი (2008-09) მუშაობდა და ვერ შეძლო კლუბის კრიზისიდან გამოყვანა, რის გამოც თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

■ ■ ■

ახალი მწვრთნელი იპოვა „ნიუ ორლეან ჰორნეტსმა“. Yahoo Sports-ის ინფორმაციით, კლუბმა სამწლიანი კონტრაქტის პირობები შეათანხმა მწვრთნელ **მონტი უილიამსთან**. აქამდე ეს სპეციალისტი „პორტლენდის“ მთავარი მწვრთნელის ასისტენტი იყო. სანამ უილიამსს მოურიგდებოდა, „ჰორნეტსი“ უშედეგოდ ცდილობდა ტიმ ტიბოდოს „ბოსტონიდან“ გადაბირებას.

„ნიუ ორლეანის“ მთავარმა ვარსკვლავმა **კრის პოლმა** დიდი სიხარულით მიიღო ეს ინფორმაცია, რადგან პრესაში არაერთხელ დაუჭირა მხარი უილიამსის კანდიდატურას.

■ ■ ■

როგორც ჩანს, „შარლოტ ბობკეტსი“ მომავალი სეზონისთვის შეინარჩუნებს ვეტერან მწვრთნელ **ლარი ბრაუნს**. ბოლო დროს ამ სპეციალისტით დაინტერესებას გამოთქვამდნენ „ფილადელფია“, „კლიპერსი“, „ჩიკაგო“, „ნიუ ჯერსი“ და „ნიუ იორკი“.

თუმცა არდადეგებიდან ბრაუნი შარლოტში დაბრუნდა, გუნდის არენას ეწვია და ახალი სეზონისთვის მზადება დაიწყო. კერძოდ, ის ახალგაზრდა კალათბურთელებთან მუშაობს, რომლებიც საწვრთნელ შეკრებაზე გამოცხადდნენ.

შეგახსენებთ, რომ წელს „შარლოტი“ პირველად გავიდა პლეი ოფში, მაგრამ პირველივე რაუნდში წააგო „ორლანდოსთან“.

■ ■ ■

დაბოლოს, „კლივლენდის“ გენერალური მენეჯერის პოსტი დატოვა **დენი ფერიმ**. მან უარი თქვა ახალ ხუთწლიან კონტრაქტზე.

როგორც პრესა ამბობს, უარის ერთ-ერთი მიზეზი გახდა უთანხმოება „კავალიერზის“ მფლობელ **დენ გილბერტთან**, რომელმაც „ბოსტონთან“ მარცხის შემდეგ თანამდებობიდან დაითხოვა მთავარი მწვრთნელი **მაიკ ბრაუნი**. ფერის ამ სპეციალისტის გუნდში დატოვება სურდა.

ჯერჯერობით კლუბში გენერალური მენეჯერის მოვალეობებს ფერის დამხმარე **კრის გრანტი** შეასრულებს.



# რუბიო ბარსაში რჩება

## მსოფლიოს ჩემპიონატს ბრაიანტიც გამოტოვებს



ესპანური კალათბურთის ყველაზე ნიჭიერმა წარმომადგენელმა **რიკი რუბიომ** გაზეთ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში თავისი სამომავლო გეგმების შესახებ ილაპარაკა. კერძოდ, „ბარსელონას“ გამთამაშებელმა განაცხადა, რომ 2011-12 წლების სეზონიდან დაიწყებს NBA-ში თამაშს, ოღონდ აუცილებელი არ არის, რომ „მინესოტას“ შემადგენლობაში ჩაირიცხოს. შეგახსენებთ, რომ რუბიო 2008 წლის დრაფტზე სწორედ ამ კლუბმა აირჩია.

*„მოლაპარაკებებისთვის მზად ვარ, რადგან არასოდეს იცი, საბოლოოდ რომელ კლუბში აღმოჩნდები. „ტიმბერვულვზს“ ახალგაზრდა გუნდი ჰყავს, რომელიც ზრდის პროცესშია. და მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში მას არც ისე ბევრი გამარჯვება ჰქონდა, მოთამაშეებმა საჭირო გამოცდილება მიიღეს და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.*

*ჩემზე უფლებები „მინესოტას“ გააჩნია და ამ კლუბმა უკვე არაერთხელ დაადასტურა, რომ ძალიან უნდა ჩემთან კონტრაქტის გაფორმება. ამიტომაც მადლობას ვუხდი მას ასეთი ურთიერთობისთვის.*

*მაგრამ ჯერ არ ვიცი, როგორ წარმოვაჩენ თავს NBA-ში, ახლა არ არის ამის გარკვევის დრო. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა აზრი არსებობს, მაგრამ მე მჯერა, რომ კარგად მოვერგები გუნდის თამაშსა და მთლიანად ახალ ლიგას“*, - განაცხადა წლევანდელი ევროლიგის გამარჯვებულმა.

■ ■ ■

ამ სეზონის შემდეგ „ლეიკერსის“ ლიდერ **კობი ბრაიანტს** მუხლზე ართროსკოპიული ოპერაციის გადატანა მოუწევს. ეს პროცედურა საკმაოდ მარტივი, მაგრამ ამავდროულად უსიამოვნო და მეტისმეტად საჭიროა.

ამ ცნობის გავრცელების შემდეგ, ამერიკის ნაკრების გენერალურმა მენეჯერმა **ჯერი კოლანჯელომ** განაცხადა, რომ კობი მას დაუკავშირდა და თურქეთში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში თამაშზე უარი განაცხადა.

შეგახსენებთ, რომ კობი თავისი ქვეყნის ნაკრებში პეკინის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, სადაც ოქროს მედალი მოიპოვა. მთელი ტურნირის განმავლობაში ჩრდილში მყოფი ლეიკერსელი ესპანეთთან ფინალის გმირი გახდა.

# ლეგენდა გარდაიცვალა

შაბათს 99 წლის ასაკში გარდაიცვალა კალათბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიადესი მწვრთნელი **ჯონ ვუდენი**. ლეგენდარულმა მწვრთნელმა UCLA-ს კოლეჯში მუშაობით გაითქვა სახელი, სადაც მისი ხელმძღვანელობით შეიქმნა სპორტის ამ სახეობაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გუნდი.

იმ 12 წლის განმავლობაში, რომელიც ვუდენმა ლოს ანჯელესში გაატარა, მან 10-ჯერ მიიყვანა გუნდი ჩემპიონის ტიტულამდე. კარიერაში მწვრთნელმა 664 გამარჯვებას მიაღწია და მხოლოდ 162-ჯერ დამარცხდა, ამასთან, ექვსჯერ მოიპოვა სტუდენტურ კალათბურთში საუკეთესო მწვრთნელის სახელი. მისი შეგირდებიდან ყველაზე ცნობილია NBA-ის ისტორიაში ორი ალიარებული ცენტრი. ლაპარაკია **ლუის ალსინდორზე**, რომელიც უფრო **კარიმ აბდულ-ჯაბარის** სახელითაა ცნობილი და **ბილ უოლტონზე**.

გარდა ამისა, ჯონ ვუდენი პირველი ადამიანია კალათბურთის ისტორიაში, რომელიც დიდების დარბაზში მოხვდა როგორც მოთამაშის, ასევე მწვრთნელის რანგში. მომავალში ასეთი მიღწევა მხოლოდ **ლენი უილკინსსა** და **ბილ შერმანს** ჰქონდათ.



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი

NHL პლეი ოფი. ფინალი

# სიტუაცია იძაბება



ძალიან საინტერესოდ ვითარდება სტენლის თასის ფინალური სერია. გარდა იმისა, რომ „ფილადელფიამ“ 0:2-დან შეძლო ანგარიშის გათანაბრება, გუნდებმა 4 მატჩში უკვე 29 შაიბა გაიტანეს. ასეთი შედეგიანი ფინალური სერია თითქმის 30 წელია არ ყოფილა. 1981 წელს „აილენდერსმა“ და „მინესოტამ“ 4 მატჩში 35 შაიბა დააგროვეს. კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რომელიც ამ სერიის დაძაბულობას უსვამს ხაზს - მეოთხე შეხვედრაში ერთმა გუნდმა პირველად მოახერხა ერთით მეტი შაიბით გამარჯვება.

ფილადელფიაში „ფლაიერზის“ დამარცხება რთული საქმეა - „მფრინავებმა“ პლეი ოფში 10-დან ცხრა საშინაო შეხვედრა მოიგეს. თანაც იმ რაოდენობის შეცდომებით, რომელიც „ჩიკაგომ“ სერიის მეოთხე მატჩში დაუშვა, სტუმრებისთვის წარმატების მინიმალური შანსი არსებობდა. „ფილადელფიას“ დაცვა კედელივით იდგა (28 ბლოკი) და მეტოქეს მხოლოდ შორიდან დარტყმის საშუალებას აძლევდა. „ბლეკჰოქსის“ ასეთმა დარტყმებმა ორჯერ მიაღწია მიზანს, მაგრამ ამ დროისთვის ანგარიში 4:1 იყო „ფლაიერზის“ სასარგებლოდ.

„ჩიკაგოზე“ ცუდად იმოქმედა უდისციპლინო თამაშმა. ხანდახან სტუმრები ახერხებდნენ ინიციატივის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ამას მათ რიგებში რომელიმე ჰოკეისტის გაძევება მოჰყვებოდა და „ბლეკჰოქსს“ ყველაფრის თავიდან დაწყება უხდებოდა.

დაბოლოს, ამ გუნდის წაგების კიდევ ერთი მიზეზია მისი ლიდერების სუსტი თამაში. ზედიზედ მესამე მატჩია გოლი ვერ გააქვს „ჩიკაგოს“ პირველ შეტევით სამეულს. ძალიან ცუდად გამოიყურებიან გუნდის წამყვანი ფორვარდები - **ჯონათან ტეივზი** და **პატრიკ კეინი**. მათ ბოლო შეხვედრაში სარგებლიანობის კოეფიციენტი - „მინუს 6“ ჰქონდათ. როგორც ჩანს, „ფილადელფიას“ მცველებმა გასაღები მოუნახეს ამ ნიჭიერი თავდამსხმელების თამაშს. ასე რომ, შემდეგი მატჩისთვის „ჩიკაგოს“ სამწვრთნელო შტაბს მოუწევს შემტევი სამეულების შეცვლა, ოღონდ ეს თამაშის დასაწყისშივე უნდა გააკეთოს და არა მესამე პერიოდში, როგორც ეს ბოლო მატჩში მოხდა.

**ფილადელფია-ჩიკაგო 5:3**

**3:1, 0:0, 2:2**

**გოლები:** 1:0 მ. რიჩარდსი-7, 2:0 მ. კარლი-1, 2:1 შარპი-9 (კეიტი-11), 3:1 ჟირუ-10 (ტიმონენი-9, ჰარტნელი-9), 4:1 ლეინო-7 (ბრიერი-14, ვან რიმსდიკი-3), 4:2 ბოლანდი-7 (კეიტი-12, კეინი-15), 4:3 ბ. კემპბელი-1 (ლედი-2, კეიტი-13), 5:3 ჯ. კარტერი-5.

**სერია: 2:2**

მძლეოსნობა

ბრილიანტის ლიგა

# რეკორდის გარეშე, მაგრამ მაღალი შედეგებით

კატარისა და ჩინეთის შემდეგ „ბრილიანტის ლიგა“ ევროპას ეწვია. „ბებერ კონტინენტზე“ პირველ ეტაპს ნორვეგიის დედაქალაქმა ოსლომ უმასპინძლა. იქაური სტადიონი - Bislett 45 წლისაა და მასზე მსოფლიოს 69 (!) რეკორდია დამყარებული. ამ სტატისტიკური მონაცემის გაცნობის შემდეგ, ახსნა არ სჭირდება იმას, თუ რატომ ეძახიან ამ არენას „მსოფლიოს რეკორდების ტრეკს“.

Bislett Games 1965 წლიდან ტარდება და აქედან მოყოლებული, ამ ტურნირზე ხშირად მყარდებოდა მსოფლიოს რეკორდები, რითაც ის მთელი მსოფლიოდან იპყრობდა მძლეოსნობის მოყვარულთა ყურადღებას. 1999 წელს Sports Illustrated-მა Bislett-ის სტადიონს სპორტული ტურნირების ჩატარების ერთ-ერთი საუკეთესო ადგილი უწოდა.



ამჯერად მსოფლიოს რეკორდი არ დამყარებულა, თუმცა რამდენიმე მაღალი შედეგი დაფიქსირდა. 100 მეტრზე ტურნირის საუკეთესო შედეგი 2001 წელს დაფიქსირდა - 9.88 წამი. წლევანდელი სეზონის შედეგების მიხედვით, დიდი იყო იმის ალბათობა, რომ „მოკლე სპრინტის“ მთავარი ფავორიტი, იამაიკელი **ასაფა პაუელი** ტრინიდადელი **ატო ბოლდონის** შედეგს გააუმჯობესებდა. პაუელმა წინასწარ გარბენში მოკრძალებული 10.05 წამი აჩვენა, სამაგიეროდ ფინალში პირადი რეკორდი გაიმეორა - 9.72 წამი. მაგრამ ეს შედეგი ტურნირის რეკორდად არ ჩაითვლება, რადგან ზურგის ქარი დაშვებულზე მაღალი იყო.

ასევე ტურნირის რეკორდი დამყარდა მამაკაცებს შორის 800 მეტრზე სირბილში. კენიელი **დავიდ რუდიშა** თავიდანვე წინ გაიჭრა და ბოლომდე შეინარჩუნა ლიდერობა. რაც მთავარია, აფრიკელმა გააუმჯობესა ლეგენდარული ბრიტანელის **სებასტიან კოეს** 1979 წელს ნაჩვენები შედეგი. გარდა ამისა, წუთი და 42,04 წამი მძლეოსნობის ისტორიაში მერვე შედეგი გახლავთ.

აშკარა კრიზისშია ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში **სტივენ ჰუკერი**. ავსტრალიელმა ზედიზედ მეორე სტარტი წააგო ფრანგ **ლენო ლავილენიესთან**. ამ უკანასკნელს ხტომის სექტორში კონკურენტი არ ჰყოლია, რაც შეეხება ჰუკერს, მან სასტარტო სიმაღლე - 5.40 მეტრი ვერ აიღო.

საინტერესო სანახავი იყო ქალებს შორის სიმაღლეზე ხტომაში ხორვატი **ბლანკა ვლასიჩისა** და ამერიკელი **შონტე ჰოვარდ-ლავის** დუელი. ისინი ზედიზედ იღებდნენ სიმაღლეებს და ორივენი 2.01 მეტრზე შეჩერდნენ, მაგრამ გამარჯვებული ვლასიჩი აღმოჩნდა, რომელმაც ამ სიმაღლის აღებას ნაკლები ცდა მოანდომა. სხვათა შორის, ჰოვარდ-ლავი მიმდინარე სეზონის ლიდერია - 30 მაისს კოტბუსში მან 2.04 მეტრი დაძლია და თან ჩრდილოეთ ამერიკის რეკორდი დაამყარა.

ადგილობრივი პუბლიკის ყველაზე დიდ ინტერესს იწვევდა ჭოკით ხტომაში შეჯიბრი - ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი და სეზონის ლიდერი, ნორვეგიელი **ანდრეას ტორკილდსენი** თავის მთავარ მეტოქეს - მსოფლიოს ყოფილ ჩემპიონ **ტერო პიტკამიაკის** უპირისპირდებოდა. სხვათა შორის, Bislett Games-ზე უპირატესობა ფინელს ჰქონდა - მან ოსლოში სამჯერ იმარჯვა, ტორკილდსენმა - ორჯერ.

ამჯერად სკანდინაველებს შორის დუელი არ შედგა. პიტკამიაკიმ მხოლოდ მეოთხე შედეგი აჩვენა, ტორკილდსენს კი დიდი წინააღმდეგობა გაუწია ახალგაზრდა ჩეხმა **პეტრ ფრიდრიხმა**. ბოლოსწინა ცდაზე ის 35 სანტიმეტრით მიუახლოვდა ნორვეგიელს, მაგრამ ფავორიტმა ბოლო ცდაზე 86 მეტრი აჩვენა და ამით გამარჯვებულის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა.

ასე დასრულდა ოსლოს ეტაპი, მძლეოსნობის ვარსკვლავების მორიგი შეხვედრა კი რომში 10 ივნისს შედგება.

**ბრილიანტის ლიგა**

**III ეტაპი. ოსლო (ნორვეგია)**

**კაცები**

**100 მ.** 1. ასაფა პაუელი (იამ) - 9,72; **800 მ.** 1. დავიდ რუდიშა (კენ) - 1.42,04 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **5000 მ.** 1. იმანე მერგა (ეთი) - 12.53,81 (პირადი რეკორდი); **ერთი მილი.** 1. ასბელ კიპროპი (კენ) - 3.49,56 (სეზონის ლიდერი); **400 მ/თარჯრბენი.** 1. კერონ კლემენტი (აშშ) - 48,12; **ჭოკით ხტომა.** 1. რენო ლავილენიე (საფ) - 5,80; **ბირთვის კვრა.** 1. კრისტიან კანტველი (აშშ) - 21,31; **შუბის ტყორცნა.** 1. ანდრეას ტორკილდსენი (ნორ) - 86,00.

**ქალები**

**200 მ.** 1. კარმელიტა ჯეტერი (აშშ) - 22,54; **400 მ.** 1. ამენტე მონჩო (ბოტ) - 50,34; **3000 მ/სტიპლჩეზი.** 1. მილჩა ჩემოს ჩეივა (კენ) - 9.12,66 (სეზონის ლიდერი, ტურნირის რეკორდი); **100 მ/თარჯრბენი.** 1. ლოლო ჯონსი (აშშ) - 12,66; **სიგრძეზე ხტომა.** 1. ოლგა კუჩერენკო (რუს) - 6,91; **სიმაღლეზე ხტომა.** 1. ბლანკა ვლასიჩი (ხორ) - 2,01; **ბადროს ტყორცნა.** 1. ნადინე მიულერი (გერ) - 63,93.

ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **გერმანია** | |
| ბამბერგი-სკაილაინერსი | 63:65 |
| **საბერძნეთი** | |
| პანელინიოსი-მარუსი | 86:79 |
| ოლიმპიაკოსი-პანათინაიკ. | *შეწყდა* |
| **ესპანეთი** | |
| კახა ლაბორალი-რეალი | 64:56 |
| **იტალია** | |
| კანტუ-სიენა | 65:77 |
| მილანი-იუვე კაზერტა | 66:67 |

TV პროგრამა

**7 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

**22:00** არენა - სპორტული პროგრამა.

**რუსთავი 2**

**00:00** საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**06:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-არსენალი.
**08:10** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ლევერკუზენი.
**10:00** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რეალი-მარსელი.
**12:00** ახალი ამბები.
**12:20** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-რუბინი.
**14:20** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-მანჩესტერ იუნ.
**16:10** ახალი ამბები.
**16:30** გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვილიარეალი.
**18:20** გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. შალკე-ვოლფსბურგი.
**20:10** ახალი ამბები.
**20:40** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. ჩელსი-ტოტენჰემი.
**22:30** გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. პალერმო-იუვენტუსი.
**00:20** უკრაინის ჩემპიონატი. სეზონის შედეგები.
**01:25** გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. დებრეცენი-ფიორენტინა.
**03:25** გასული სეზონის ქრონიკა. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-ლიონი.
**05:15** გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.

**EUROSPORT**

**10:30** ახალი ამბები.
**10:45** ავტოსპორტი. რბოლა ამტანობაზე. ლე მანის სერია. ლე კასტეიე. საფრანგეთი. მიმოხილვა.
**11:45** ჩოგბურთი. როლან გაროსი. ფინალი. კაცები. რაფაელ ნადალი-როდინ სიოდერლინგი.
**12:30** ჩოგბურთი. გეიმი, სეტი, მატჩი. ტელეჟურნალი.
**13:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
**14:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**14:30** ჩოგბურთი. როლან გაროსი. ფინალი. კაცები. რაფაელ ნადალი-როდინ სიოდერლინგი.
**15:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**17:00** ველოსპორტი. რბოლა „კრიტერიუმ დოფინე ლიბერე“. I დღე. საფრანგეთი (LIVE).
**18:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. I დღე. ლონდონი. ბრიტანეთი (LIVE).
**21:30** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი (LIVE).
**22:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**22:15** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. მონაწილე ქვეყნების პრეზენტაცია. ტელეჟურნალი.
**22:45** მულტისპორტი.
**23:00** პრო-რესტლინგი.
**00:25** მულტისპორტი.
**00:30** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩები. მიმოხილვა.
**01:20** ევროგოლი. კვირის სტუმარი. ტელეჟურნალი.
**02:00** რალი. მსოფლიოს ტური რალი-რეიდში. II ეტაპი.
**02:20** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
**02:45** ავტოსპორტი. ლე მანის 24-საათიანი რბოლა. საფრანგეთი.
**03:15** მულტისპორტი.

ოლიმპიზმი

# ლონდონმა რეჟისორი იპოვა

ცხრა ოსკარის მფლობელი ფილმის - „მილიონერი ჯურღმულიდან“ (Slumdog Millionaire) რეჟისორ **დენი ბოილს** ლონდონში 2012 წლის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიის დადგმა შესთავაზეს - წერს ბრიტანული გაზეთი „თაიმსი“.

ზაფხულის თამაშების ორგანიზატორების აზრით, რეჟისორი შეძლებს ცერემონიის დაუვიწყარი სურათის შექმნას, როგორც ეს მის ფილმში იყო, რომელსაც კრიტიკოსებმა „ვიზუალურად ბრწყინვალე“ უწოდეს. გარდა ამისა, მხოლოდ ბოილი შეძლებს დაანახოს ყველას ბრიტანეთის ღია და მრავალფეროვანი საზოგადოება.

*„ჩვენ გვინდა, რომ ცერემონია ყველაზე სამაგალითო იყოს იმათ შორის, რომელიც მსოფლიოს უნახავს“*, - განუცხადა გაზეთს 2012 წლის ოლიმპიადის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა. მეორე წყარომ ხაზი გაუსვა იმას, რომ არანაირი ხელშეკრულება ჯერ არ გაფორმებულა, მაგრამ დარწმუნებით შეიძლება იმის თქმა, რომ ლონისძიების რეჟისორი სწორედ ბოილი გახდება. კითხვაზე, განიხილეს თუ არა ეს საკითხი უშუალოდ რეჟისორთან, ამაზე გაზეთის სტუმარმა შემდეგი თქვა - *„მეტის თქმის უფლება არ მაქვს“*. ამ საკითხთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას ზაფხულში მიიღებენ.

„თაიმსი“ წერს, რომ 53 წლის ბოილი ლონდონის აღმოსავლეთით ცხოვრობს - თამაშების ჩატარების ადგილიდან ძალიან ახლოს. მისმა სურათმა („მილიონერი ჯურღმულიდან“ ) ოსკარი მიიღო საუკეთესო ფილმისთვის და რეჟისურისთვის, აგრეთვე „ოქროს გლობუსი“ და სხვა პრესტიჟული კინოპრემია დაიმსახურა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რაფა და ფრანჩესკა





როლან გაროსის ქალთა ტურნირს **ფრანჩესკა სკიავონესა** და **სამანტა სტოსურის** ფინალის სახით მეტად მოულოდნელი დასასრული ჰქონდა. საერთოდ, ქალების ტურნირი მეტად მდიდარი აღმოჩნდა სიურპრიზებით. უკვე ნახევარფინალისთვის ბადეს არ შემორჩა არც ერთი ჩოგბურთელი, რომელსაც ეს ტურნირი თუნდაც ერთხელ ჰქონდა მოგებული. შემდეგ ამ ოთხეულს ორა **ელენა (დემენტიევა** და **იანკოვიჩი)** ჩამოშორდა, რომლებსაც ასეთი რანგის ტურნირის ფინალში ჰქონდათ ნათამაშები. საბოლოოდ, შაბათს ერთმანეთს შეხვდნენ ჩოგბურთელები, რომლებისთვისაც ეს იყო „სლემის" ტურნირების გადამწყვეტ მატჩში თამაშის პირველი გამოცდილება.

იტალიელისთვისაც და ავსტრალიელისთვისაც ეს ფინალი ისტორიული გახლდათ. ფრანჩესკა თავისი ქვეყნის პიონერი გახდა. ის პირველი იტალიელია, ვინც „დიდი სლემის" ტურნირის ფინალში მოხვდა. ავსტრალიელებს ბევრი დიდი გამარჯვება ჰქონიათ, მაგრამ ასეთი წარმატებისთვის დიდი ხანია არ მიუღწევიათ. კერძოდ, სამანტა 30-წლიანი შესვენების შემდეგ პირველი ავსტრალიელია, ვინც ფინალამდე მივიდა.

მიუხედავად იმისა, რომ სტოსური საკმაოდ მაღალ მეშვიდე ნომრად იყო განთესილი, მისი ფინალში გასვლა მაინც დიდი სიურპრიზი აღმოჩნდა. აქამდე „სლემებზე" ის მხოლოდ ერთხელ გავიდა მეოთხე რაუნდზე შორს (2009 წლის როლან გაროსი). ბადის მხრივ მას აშკარად არ გაუმართლა და ერთი მეორეს მიყოლებით მოუწია **სერენა უილიამსის, ჟუსტინ ანენისა** და **ელენა იანკოვიჩის** დამარცხებამ. სწორედ ეს სამი ქალბატონი ედგა ტურნირის წინ სათავეში ბუკმეიკერთა სიას.

პრაქტიკულად შეუძლებელი ჩანდა **ფრანჩესკა სკიავონეს** წარმატება. სულ მალე მას 30 წელი შეუსრულდება. ბოლო ჩოგბურთელი, ვინც ამ ასაკში „დიდი სლემის" ტურნირის ფინალს მიაღწია, ლეგენდარული **შტეფი გრაფი** იყო. მაგრამ ეს გერმანელისთვის მორიგი ფინალი გახლდათ, სკიავონესთვის - პირველი და ყველაზე მთავარი მსოფლიოში. საინტერესოა, რომ პირველი და ერთადერთი სეტი აპენინელმა პირველ წრეში რუს **რეგინა კულიკოვასთან** წააგო, ამის შემდეგ იტალიელი ყველა შეხვედრას ორ სეტში ასრულებდა. გამონაკლისი იყო **ელენა დემენტიევასთან** მატჩი, სადაც რუსმა პირველი სეტის წაგების შემდეგ შეწყვიტა ბრძოლა.

სკიავონე და სტოსური მანამდე ხუთჯერ შეხვდნენ ერთმანეთს და ოთხჯერ გამარჯვებას სტოსურმა მიაღწია. მაგრამ ეს სულ სხვა რანგის თამაშები იყო, აქ კი ორივესთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ნერვებთან გამკლავება. პარიზულმა ამინდმა მორიგი სიურპრიზი მოუმზადა ჩოგბურთელებს - მატჩის დაწყების წინ ტემპერატურა 30 გრადუსს აღწევდა.

თავიდან ორივე ფინალისტი უნაკლოდ გამოიყურებოდა და დამაჯერებლად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას. დიდი ხანი არც ერთს არ ჰქონია ბრეიკის გაკეთების შანსი. მხოლოდ პარტიის ბოლოს ფრანჩესკამ მოულოდნელად მოიპოვა სამმაგი ბრეიკ-პოინტი - პირველ რიგში, საკუთარი აქტიური მოქმედების წყალობით, ხოლო ამ შანსის გამოყენებაში მას მოწინააღმდეგე დაეხმარა, რომელმაც ორმაგი შეცდომა დაუშვა. ამის შემდეგ იტალიელმა წარმატებით ჩაანოდა სეტზე - 6:4.

სამანტა აშკარად დაბნეული ჩანდა, მაგრამ ბრძოლას აგრძელებდა. მეოთხე გეიმში მან პირველი ბრეიკ-პოინტები მოიპოვა და მეტოქის მოწოდების აღებაც მოახერხა. მაგრამ ავსტრალიელის წარმატება დიდხანს არ გაგრძელებულა. სკიავონემ დაიბრუნა დაკარგული ბრეიკი. საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა. სხვათა შორის, როლან გაროსის ფინალში 1998 წლის შემდეგ პირველად გათამაშდა „შემოკლებული გეიმი". დასკვნით გეიმში სკიავონე უნაკლოდ თამაშობდა - კარგად აწვდიდა, უკანა ხაზზე პრაქტიკულად ყველა ბურთს აგდებდა და ბადესთან საერთოდ არ ცდებოდა. მან პირველივე მატჩბოლიდან გაიფორმა კარიერაში ყველაზე დიდი გამარჯვება - 7:6 (7:2). ზედიზედ მეცხრე წელია პარიზულ კორტებზე ქალების ფინალი ორ სეტში სრულდება.

გამარჯვების აღნიშვნა მეტად ემოციური იყო. თავიდან სკიავონე **რაფა ნადალის** სტილში დავარდა კორტზე, შემდეგ თავისი პირადი რიტუალიც შეასრულა - კორტს აკოცა. ამის შემდეგ სკიავონე ტრიბუნაზე თავის გუნდთან ავიდა, სადაც მისი ნათესავები, მეგობრები და მწვრთნელები გაუჩერებლად ღრიალებდნენ, დახტოდნენ და ტიროდნენ. მთელი იტალია ზეიმობდა და ეს არც არის გასაკვირი, რადგან ამ ქვეყანას „დიდი სლემის" ტურნირებზე 1976 წლის შემდეგ არ გაუმარჯვია - მაშინ როლან გაროსი კაცებს შორის **ადრიანო პანატამ** მოიგო.

ფრანჩესკამ კარიერაში სულ მეოთხე ტიტული მიითვალა, მაგრამ წინა წარმატებები სახსენებელიც არ არის ამჟამინდელ ტრიუმფთან. ეს ნამდვილ ზღაპარს ჰგავს. მოკრძალებული ფიზიკური მონაცემების მქონე „მუშა" ჩოგბურთელი ყოველთვის ქალთა ტურის საშუალო დონეს განეკუთვნებოდა, მაგრამ ბოლო ორ კვირაში მან თავისი ცხოვრების მთავარი გარღვევა მოახდინა. დღეიდან ის მეექვსე ადგილს დაიკავებს მსოფლიოს რეიტინგში, არადა 12-წლიანი კარიერის განმავლობაში WTA-ის კლასიფიკაციის საუკეთესო ათეულშიც არასოდეს ყოფილა. გარდა ამისა, ასეთი გამარჯვება - ბრწყინვალე მაგალითია მათთვის, ვისაც გული უტყდება და ნაადრევად ასრულებს კარიერას. ფრანჩესკამ დაამტკიცა, რომ თუ საკუთარი თავის გჯერა და შრომა არ გეზარება, ადრე თუ გვიან შენსას მიაღწევ.

■ ■ ■

2010 წლის როლან გაროსი კაცების ფინალით დასრულდა, რომელშიც ერთმანეთს **რობინ სოდერლინგი** და რაფაელ ნადალი შეხვდნენ. სწორედ შვედმა ჩოგბურთელმა აგემა ნადალს ერთადერთი მარცხი საფრანგეთის ღია პირველობაზე - შარშან მეოთხე წრეში.

იმ მატჩიდან მოყოლებული, რაფაელს არც ერთხელ არ წაუგია გრუნტზე და გუშინდელ ფინალში სოდერლინგისთვის რევანშის აღების საშუალება მიეცა. აქ შეიძლება გავიხსენოთ სამი წლის წინ მათი მატჩი უიმბლდონზე, რომლის მსვლელობისას რობინმა მოწოდების წინ რაფაელის ყველასთვის ცნობილი ჟესტის პაროდირება გადაწყვიტა. რაფას ესეც ახსოვდა და მისი მოტივაცია ამ მხრივაც მაღალი იყო.

გარდა ამისა, სოდერლინგზე გამარჯვება ესპანელს ისევ დააბრუნებდა ATP-ის რეიტინგის სათავეში, თუმცა თავად ნადალისთვის ეს არ წარმოადგენდა მთავარ მიზანს: *„დამიჯერეთ, თუ მე კვირას გავიმარჯვებ, რეიტინგი მეორეხარისხოვანი იქნება. მთავარი ტურნირის მოგებაა. როლან გაროსი წელიწადში ერთხელ იმართება, ხოლო პირველი ნომრის დასაბრუნებლად წინ კიდევ ბევრი შანსი მექნება".* საინტერესოა, რომ ნადალს რეიტინგში დაწინაურების შანსი თავად სოდერლინგმა მისცა, რომელმაც მეოთხედფინალში **როჯერ ფედერერი** დაამარცხა.

როლან გაროსის მეორე ფინალამდე შვედმა ერთ-ერთი სეტი სწორედ შვეიცარიელთან წააგო, ერთი პარტია **ალბერტ მონტანიესს** დაუთმო, ხოლო ნახევარფინალში **ტომაშ ბერდიხთან** მას საერთოდ ხუთსეტიანი მატჩის ჩატარებამ მოუწია. ნადალს კი ტურნირზე არც ერთი სეტი არ წაუგია, მაგრამ მის თამაშს უნაკლო არ ეთქმოდა, რადგან ყოველ შეხვედრაში ჩვეულებრივზე მეტ უნებლიე შეცდომას უშვებდა, თუმცა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ შეძლო ამის გამოყენება.

ფინალში კი სულ სხვა ნადალი ვიხილეთ - პრაქტიკულად უშეცდომო და მებრძოლი, რომელიც ნებისმიერ ურთულეს ბურთს იგერიებს. და სოდერლინგმა ვერაფერი მოუხერხა ამ დაცვას. შვედმა პირველი ბრეიკ-პოინტი მოიპოვა, მაგრამ ვერ გამოიყენა, შემდეგ გეიმში კი საკუთარი მოწოდება დათმო. მეშვიდე გეიმი მან კინაღამ 40:0-დან წააგო, რაც რობინისთვის მძიმე დარტყმა იქნებოდა, მაგრამ სკანდინაველმა შეინარჩუნა მეტოქესთან მინიმალური ჩამორჩენა. თუმცა სოდერლინგის ყველა მცდელობა, მეტოქეს დაწეოდა, უშედეგო აღმოჩნდა.

სტატისტიკის მიხედვით, პირველ სეტის წაგებამ რობინს თითქმის არ დაუტოვა შანსი. „დიდ სლემზე" ჩატარებულ 95 მატჩში რაფაელმა მხოლოდ ერთხელ წააგო თამაში სადებიუტო სეტის მოგების შემდეგ და ეს 2007 წელს აშშ-ის ღია პირველობაზე **დავიდ ფერერთან** მატჩში მოხდა. გუშინდელი ფინალის მსვლელობამ ეს ტენდენცია დაადასტურა.

მეორე პარტიაშიც შვედს დასაწყისში რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, მაგრამ უმნიშვნელოვანეს გათამაშებებში სტაბილურად აცილებდა ბურთს კორტს. სიოდერლინგის დამაჯერებლობა აკლდა, ნადალი კი პირიქით, თითქმის წაგებულ გათამაშებებს იგებდა, რითაც კიდევ უფრო ამძიმებდა მეტოქის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას. 2:1 დაწინაურებულმა სოდერლინგმა ზედიზედ ხუთი გეიმი წააგო და მეორე სეტიც დათმო.

მესამე სეტი იმით დაიწყო, რომ რობინმა თავიდანვე წააგო გეიმი საკუთარ მოწოდებაზე - თანაც მთლიანად თავისი შეცდომების ხარჯზე. მისი სახის გამომეტყველებით მივხვდებოდით, რომ თავად შვედსაც არ სჯეროდა ამ მატჩის ბედის შემოტრიალების.

მცირე უპირატესობის მიღების შემდეგ, რაფაელი მშვიდად ინარჩუნებდა თავის მოწოდებას. ამ სეტში სოდერლინგს ბრეიკ-პოინტი აღარ ჰქონია (სულ მატჩში რვაჯერ მიიღო მეტოქის გეიმის აღების შანსი, მაგრამ ვერ ცერთი ვერ გამოიყენა). ბოლო გეიმში შვედმა ბრძოლაც ვერ გაუმართა რაფას და „მშრალი" ანგარიშით წააგო. 6:4, 6:2, 6:4 - ეს ნადალის მეხუთე გამარჯვებაა როლან გაროსზე. რეკორდსმენ **ბიორნ ბორგამდე** მას ერთი ტრიუმფი აკლია. სხვათა შორის, ეს ტიტული ესპანელისთვის საიუბილეოა კარიერაში - მეორმოცე!

რეიტინგის სათავეში დაბრუნებით, ნადალმა როჯერ ფედერერს **პიტ სამპრასის** მორიგი რეკორდის დამხობის საშუალება არ მისცა. ამერიკელი კლასიფიკაციაში 286 კვირის განმავლობაში ლიდერობდა და შვეიცარიელს ამ მიღწევამდე სულ ერთი კვირა დააკლდა. როჯერი უახლოეს ხანში ვერ დაუბრუნდება რეიტინგის მწვერვალს, რადგან მას უიმბლდონზე შარშანდელი 2000 ქულის დაცვა მოუწევს, ნადალის შემთხვევაში კი ყველა მოპოვებული ქულა ესპანელის მონაგარს დაემატება, რადგან რაფას შარშან ლონდონში არ უთამაშია. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ როჯერს ამერიკის ღია პირველობაზეც მეტი ქულა აქვს დასაცავი, ვიდრე ნადალს.

**კაცები**

**ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-რობინ სოდერლინგი (შვედ) 6:4, 6:2, 6:4.

**ქალები**

**ფინალი**

**ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 17)**-სამანტა სტოსური (ავსტრა, 7) 6:4, 7:6(2).

**გია თვალაბეიშვილი**




